# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 22 სექტემბერი, 2007 წელი.

№ 183 (5784)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# მიხეილ სააკაშვილი: საქართველო არ დაუშვებს ფართომასშტაბიანი კონფლიქტის გაღვივებას




საქართველო არ დაუშვებს ფართომასშტაბიანი კონფლიქტის გაღვივებას, განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ქუთაისში საქართველოს მთავრობის გასვლით სხდომაზე, როდესაც ზემო აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ქართული სპეცსამსახურებისა და პოლიციის რაზმების ოპერატიული და ზუსტი მოქმედება აღნიშვნის ღირსია.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, საქართველო სერიოზულად განწყობილი და კარგად მომზადებული ქვეყანაა და მსგავს იაფფასიან თამაშებს არ თამაშობს.

— ვართ ძალიან კარგად მოტივირებული იმისთვის, რომ დავიცვათ ჩვენი ქვეყანა და შევქმნათ ისეთი უსაფრთხოების სისტემა, რომელიც თითოეულ მის მოქალაქეს აძლევს ნორმალურად არსებობის საშუალებას, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, საქართველოს სახელმწიფო ორგანოები საკმარისად არიან მომზადებული, რათა პასუხი გასცენ ყველა სახის პროვოკაციას.

— ნუ გვეთამაშებით და ნუ გვეხუმრებით. სერიოზული პრობლემები შეგექმნებათ და არავის არ ვურჩევ ამ გზაზე შემდგომ სიარულს. ამ გზაზე სიარული მთავრდება იმით, რითიც დამთავრდა უცხოელების მიერ გაწვრთნილი სოხუმური სპეცრაზმის ზემო აფხაზეთის ხეობებში სიარული, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის განცხადებით, ყველა სახის შეიარაღებულ დივერსანტებსა და ტერორისტებს შემდგომში, პოლიტიკური დიალოგის მუდმივი წარმოების ფონზე, შეიარაღებული პასუხი უნდა გაეცეს.

მისივე თქმით, საქართველო მზად არის პოლიტიკური დიალოგისთვის და სამშვიდობო გადაწყვეტილებებისთვის, მაგრამ ტერორის მეთოდით საქართველოს დაშინება არავის გამოუვა და ყველა სახის პროვოკაციას შესაბამისი პასუხი გაეცემა.

ინტერპრესნიუსი

# SOS! სისხლიანი პროვოკაცია აფხაზეთში




10-11


**20 სექტემბერს მომხდარი ინციდენტის დროს დაკავებული სეპარატისტი მებრძოლების სია**

როლანდ მიტოს ძე ჩაგავა — მსახურობს სოხუმში, შუქურას რაიონში განლაგებულ უშიშროების დანაყოფში და უშიშროების სამსახურის სადაზვერვო ჯგუფის სერჟანტია;

მუხამედინ იურის ძე კიჩოვი — მსახურობს ოჩამჩირის უშიშროების სამსახურში სერჟანტად;

სურენ არდაშის ძე დილენიანი — მსახურობს ფსოუს უშიშროების სამსახურში რიგითად;

ირაკლი გენადის ძე ხორავა — მსახურობს შუქურას დასახლებაში განლაგებულ უშიშროების სამსახურის სამხედრო ნაწილში რიგითად;

ზურაბ არმენის ძე მურადიანი — მსახურობს უშიშროების სამსახურში რიგითად;

ჯამბულ სამველის ძე ოვანესიანი — 2006 წლის ნოემბრიდან მსახურობს ქალაქ ოჩამჩირის პორტში განლაგებულ უშიშროების სამსახურში რიგითად;

კობა ალიასის ძე ჩერქეზია — მსახურობს სოხუმში შუქურას რაიონში განლაგებული უშიშროების სამსახურის რიგითად.

შსს პრესსამსახური.

● სრულიად სომეხთა კათალიკოსმა აბრამმა ჯერ კიდევ V საუკუნეში ისე დასწყევლა ქართველი ერი, ასეთი ბალღამი არათუ ამოდენა ღირსებისა და პატივის სასულიერო იერარქს, წესითა და რიგით, სულაც ღვთისმგმობელსაც არ უნდა ამოეშვა პირიდან



⦾ მე შაირი არ მინდოდა...

# „ბარბაროსი ერის“ „ბარბაროსი“ შვილის „ბარბაროსული“ პასუხი

## დეპუტატი გაიბურთი ვინმე ტიგრანიანის ჭკუაზეა

**სწორედ ისეა, მე შაირი არ მინდოდა, შენ ამტეხე ძალადაო... მართლაც ყელში ამოვიდა ერთი ჯურის სომეხთა ყოველ ზღვარს გადაცილებული თავხედობა, მუხთლობა და ქვეგამხედვართა.** ვერა და ვერ მოიშალეს გესლის ნთხევა, ცილისწამება; არა და არ აყენებენ ცრუ ენა-პირსა მათთვის ამქვეყნად მხოლოდ სომხურ თარგზე გამოჭრილი სიმართლეა და თავისი ავადმყოფური, ბილწი, მოშხამული ფანტაზიით წარმოსახული ამ ვაისიმართლით უწამლავენ გონებას წესიერ თვისტომთ, განსაკუთრებით, ახალგაზრდობას; შუღლს აღვივებენ ორ ერს შორის. სამწუხაროდ, ქართველთა მიმართ ასეთი დამოკიდებულება ლამის ათადან-ბაბადან ილეგს სათავეს და აქნობამდე კი არ შენელდა, პირიქით, სულ უფრო ძლიერდება. ჰოდა, რაკი ამტეხეს, შევაჭმევ ამ ავყიებს იმას, რასაც იმსახურებენ.

სრულიად სომეხთა კათალიკოსმა აბრამმა ჯერ კიდევ V საუკუნეში ისე დასწყევლა ქართველი ერი, ასეთი ბალღამი არათუ ამოდენა ღირსებისა და პატივის სასულიერო იერარქს, წესითა და რიგით, სულაც ღვთისმგმობელსაც არ უნდა ამოეშვა პირიდან.

იქიდან მოყოლებული, ე. წ. „ველიკაია არმენიას“ იდეა-ფიქსით შეპყრობილებმა რაღა აღარ დაგვწამეს; სომეხმა ვაიმეცნიერებმა, ვაიმკვლევარებმა, თავისი მოკლე ჭკუით, სამშობლოც წაგვგვარეს და რა სიბილწე-სიბინძურეში აღარ სცადეს (და ცდილობენ კიდეც) ჩვენი ამოსვრა, ბევრი ჩვენი სისხლისმიერი მიიტაც-მიითვისეს კიდეც, მაგრამ არც ერთ ქართველ მოპასუხეს დიდი ილია, აკაკი, იაკობი, ვაჟა და ა. შ. იქნებოდნენ ეს, თუ მომდევნო თაობების სათანადო დარგის ქართველი მეცნიერები, ამოსუნთქვითაც კი არ შეურაცხყვიათ სომეხი ერი, არასდროს უკადრებიათ უკადრებელი.

მეც უნდა დავიოკო სამაგიეროს მიგების სომეხ ვაიმეცნიერთა და ჩემი ზოგიერთი ე. წ. კოლეგის დარი ყოვლად ბუნებრივი სურვილი, რათა მათ არ დავემსგავსო და იმათ წისქვილზე არ დავასხა წყალი, ვისაც სიზმრადაც ორი ერის გადაკიდება ეზმანება.

ამჯერად რამ „ამტეხა“? რამ და იმან, რომ სომხური საინფორმაციო სააგენტოს „ბაგონ ინფოს“ ცნობით, ქართველებს ავლაბარში ყოვლადწმიდა სამების დიდებული ტაძარი, თურმე, სომეხთა ძვლებზე აგვიგია და პათეტიკურ-რიტორიკულად ღაღადჰყოფს, „სხვა რა უნდა მოსთხოვო ამ ბარბაროს ერს?“

ახლა რა ვქნა? მოვდგე და ზოგი სომეხი მეცნიერის, ჟურნალისტისა და საინფორმაციო სააგენტოს დარად მთელ სომეხ ერს დავახურო ის, რასაც ასეთი სიბილწისა და ცილისწამების გამო ახურავენ ხოლმე ერის შურაცხმყოფელთ?! რუსთაველის ერია ბარბაროსი? თუმცა, „ვეფხისტყაოსანი“ ხომ ერთადერთ ხელნაწერად სომხებს ჰქონიათ, ისიც ჩვენთვის გაუმეტებიათ, ჩვენ კი გვითარგმნია, ღედანი გაგვინადგურებია და გულუბრყვილოდ, ძმურად მომნდობი სომხები ასე მუხთლად პირში ჩალაგამოვლებული დაგვიტოვებია?! აკაკის ერია ბარბაროსი? მაგრამ აკაკიც რომ სომეხი ყოფილა და აკაკი წერეთლის ფსევდონიმით წერდა? ფიროსმანის ერია ბარბაროსი? ამ დიდ მხატვართან რა ხელი გაქვთო, აჯაგრულნი არიან სომეხი „მკვლევარები“. სომეხი იყო, სომეხი და აქტრისა მარგალიტას სწორედ სომხური ხელგაშლილობით (აქ კი „ცოტა შეშლიათ“ძუფენდა ფიანდაზადმილიონ ვარდსო!

ვინლა დაგვრჩა? მეშინია ვახსენო. სიცოცხლეზე დაგენიძლავებით, ეგენიც „სომხები აღმოჩნდებიან“. ჩვენთვის, ვიღაც ვრაცები სადღაც რომ ვყვრილვართ, მხოლოდ ის ემეტებოდათ, რაც მოჭარბებულად მახინჯადა აქვთ — თუნდაც, ქალების ნიკაპამდე ცხვირები (ილია ჭავჭავაძე — „ქვათა ღაღადი“). არადა, ამ „ბარბაროსმა ერმა“ საუკუნეების მანძილზე, როცა სომხური სახელმწიფო აღარსად იყო, შეივრდომა და შეითვისა მეზობელი. ვინა კადრა (ეგებ, სჯობდა ეკადრებინათძ, წინა ხარ, უკან გადაჯექიო; თურქეთში ჟლეტის შემდეგ გასომხდა ლამის მთელი სამხრეთ საქართველო. მაგრამ, რაკი მაინც ბარბაროსები ვიყავით, რაკი თბილისიცა და სრულიად საქართველოც „ველიკაია არმენიის“ ერთი ქეციანი ნაწილი თუ ვიყავით და წერა-კითხვაც მესროპ მაშტოცისაგან გვისწავლია, აილეს და საჭურის ალა-მაჰმად ხანს გაწუფხვეს თბილისის კარიბჭენი; რაკი ბარბაროსები ვართ და საქართველო „ველიკაია არმენიას“ ნაგლეჯია, ამიტომაც შემოგვიტიეს პირველი დემოკრატიული თავისუფალი საქართველოს დროს და სულმოუთქმელად ირბინეს ერევნამდე; რაკი ბარბაროსები ვართ, და საქართველო „მათია“, ამიტომა შეიკვრნენ ბაგრამიანის ბატალიონად და ჩვენი ბავშვ-ქალების თავებიც ამიტომა აბურთავეს. ახლა კი ამ ბარბაროს ერს თავისი ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე — ყოვლადწმიდა სამების ლავრა — სომეხთა ძვლებზე აუშენებია.

რად უნდა ამას დამტკიცება ან ისტორიული წყარო, ანდა უბრალო ადამიანური წესიერება?

იხ. 7 გვ.

⦾ განსჯა

# მაინც სად არის პარაბოლა?

**ქვანახშირის შახტში „მოგზაურობა“ სამ კილომეტრ სიღრმეზეჩასვლით დავიწყეთ. ეს შახტი 15 წელი უმოქმედოდ იყო, ინფრასტრუქტურა იშლებოდა, მეშახტეებს კი თავი ვეღარაფრით გაჰქონდათ. ახლა მისი აღდგენა გერმანიის ფულითა და ალჭურვილობით მიმდინარეობს“.**

როგორც მიხვდით ეს ციტატა ქალაქ ტყიბულს ეძღვნება და მოყვანილია ნიუ-იორკელი მწერლის მელიკ კაილანის სტატიიდან, რომელშიც აღწერილია მისი მოგზაურობა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად. სტატია The Street Jornal-ში დაიბეჭდა და ძირითადად საქართველოს მიერ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გადადგმულ „გიგანტურ“ ნაბიჯებს ეძღვნება.

ძალიან კარგია, როცა უცხოელი მწერალი შენს ქვეყანაზე, მის პოტენციალზე და განვითარების სწრაფ ტემპებზე წერს. აქებს შენს ხალხს, შენს სამშობლოს, შენს პრეზიდენტს. ასეც უნდა იყოს, მაგრამ ამ სტატიის მიზანი ბატონი მელიკ კაილანის სტატიისგან განსხვავებით არ არის იმ ე.წ. „პოტიომკინის ქალაქის“ ქება-დიდება, რადაც ქალაქი ტყიბული გადაიქცა. არ არის თუნდაც იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ „მოყვარეს პირში უნდა უძრახო“, უნდა დაანახო ის პრობლემები, რომლებიც შელებილი ფასადების მიღმა იმალება და რიგითი მოქალაქეები ყოველ დღე აწყდებიან მათ.

უცხოელების მიერ ტყიბულით აღფრთოვანების კიდევ ერთი მაგალითი მინდა გავიხსენო. 1986 წლის ზაფხულში საქართველოში ჩატარდა საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა ყრილობა. ყრილობის დასრულების შემდეგ, კულტურული პროგრამის ფარგლებში, მოწვეული სტუმრები გადაანაწილეს საქართველოს რეგიონების მიხედვით. ტყიბულში სტუმრად ჩამოვიდნენ ცნობილი კომპოზიტორი

### ტყიბული – სამრეწველო ქალაქი, კურორტი, თუ რადიაქტიური ნარჩენების სამარხი?



მარკ ფრადკინი და რიაზანის კონსერვატორიის რექტორი. სტუმრების პატივსაცემად ტყიბულის თეატრში გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელმაც ძალიან თბილ ვითარებაში ჩაიარა. სტუმრები იმდენად აღფრთოვანდნენ ტყიბულის მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა მიერ კლასიკური ნაწარმოებების შესრულების დონით, რომ რიაზანის კონსერვატორიის რექტორმა ერთ-ერთი შემსრულებელი თავისთან მიიწვია და კონსერვატორიაში უგამოცდოდ ჩარიცხა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში“ აღფრთოვანებულმა განაცხადა, რომ გვეგონა სამრეწველო ქალაქში მივდიოდით, მაგრამ იქ ისეთი ბუნება დაგვხვდა, თავი ნამდვილ კურორტზე გვეგონაო, ასეთ სილამაზეში შეუძლებელია არ აღიზარდნონ გამორჩენილი ხელოვანებიო.

(არ მინდა დაუნახავი კაცის როლში აღმოვჩნდე, მაგრამ ისე, სასხვათაშორისოდ ვიტყვი, რომ პირველ შემთხვევაში სტუმარს უხარია ის, რომ გერმანული ფული ტრიალებს და მათი დანადგარები მუშაობენ, ხოლო მეორე შემთხვევაში სტუმარი რიგითი ტყიბულელებით, მათი ნიჭიერებითაა აღფრთოვანებულიძ.

ახლა რაც შეეხება თვითონ ქალაქ ტყიბულს: „ტყიბული — ქალაქი 1939 წლიდან, მდებარეობს ნაქერალას ქედის სამხრეთ კალთის ძირში, ზღვის დონიდან 590მ. თბილისიდან 264კმ (რკინიგზითძ, ქუთაის-ტყიბულის სარკინიგზო ხაზის ბოლო პუნქტი (44კმძ. ტყიბულში მოქმედებს 4 შახტი, აშენდა ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა, ქალაქში არის შაორჰესი, ჩაის ფაბრიკა, ხორცის, რძისა და პურის კომბინატები, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი ამზადებს ფართო მოხმარების საგნებს. ტყიბულში არის 7 ზოგადსაგანმანათლებლო და 1 საღამოს სკოლა, კულტურის სასახლე, 5 კლუბი, 8 ბიბლიოთეკა, სამუსიკო, სამხატვრო და სპორტული სკოლები, სახელმწიფო თეატრი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს სწავლების განყოფილება, ინდუსტრიული ტექნიკუმი, პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები, პიონერთა სასახლე, 7 საავადმყოფო და 2 პოლიკნინიკა“.

ეს მონაცემები შემცირებული სახით მოვიყვანე ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან. ბოლოდროინდელ მონაცემებს არ მოვიყვან, რადგან ყველასთვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ ამ ორიოდე წლის წინათ ტყიბულში ოროთახიან ბინას კარგ „ბურვაკში“ გაცვლიდა მონდომებული კაცი.

დღეს ვითარება საგრძნობლად შეიცვალა, ქალაქი გამოცოცხლდა, ბინების ფასმა მოიმატა, შპს „საქნახშირ (ჯი-აი-ჯი ჯგუფიძ“-მა შეისყიდა და აამუშავა მინდელისა და არჩილ ძიძიგურის სახელობის შახტები, სადაც დასაქმდა 900 კაცი, ხოლო გამამდიდრებელი ფაბრიკის ამუშავების შემდეგ დასაქმდება კიდევ 300 კაცი. განათდა ქუჩები, დაიგო თერჯოლა-ტყიბულის დამაკავშირებელი გზა და, რაც მთავარია, ქალაქში გამოჩნდა ახალგაზრდობა.

ამ რამდენიმე კვირის წინათ პრეზიდენტმა დაათვალიერა შაორის წყალსაცავი, რომელიც მართლაც შესანიშნავი საკურორტო ადგილია. თავის დროზე ამ წყალსაცავმა გარკვეულწილად შეცვალა ადგილობრივი მიკროკლიმატი, მაგრამ „ზოგი ჭირი მარგებელიას“ პრინციპიდან გამომდინარე, დღეს საკმაოდ კარგი პერსპექტივა გაჩნდა საერთაშორისო დასასვენებელი კომპლექსის ასაშენებლად. ამ კომპლექსს, მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიულად რაჭას ეკუთვნის, ტყიბულისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგანაც ტყიბულში შედის რკინიგზის ხაზი. აქედან გამომდინარე, განვითარდება როგორც სასაწყობე მეურნეობა, ასევე შესაძლებელი იქნება ადგილობრივ ბაზაზე კვების მრეწველობის განვითარებაც. შეიქმნება მცირე ტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა.

ეს ყველაფერი კარგი, **მაგრამ ტყიბულის მოსახლეობაში ბოლო ორი წელია, ძალიან ცუდი ჭორები ვრცელდება. შეიძლება ეს ჭორები ძალიან აბსურდულად ჟღერდეს, მაგრამ როგორც ნათქვამია, კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს.**

„ვარდების რევოლუციიდან“ ორი წლის შემდეგ გავრცელდა ხმები, რომ ტყიბულში მცხოვრებ თითოეულ ოჯახს 10000 დოლარს გადაუხდიდნენ, რათა მათ გაეყიდათ თავიანთი სახლ-კარი, ხოლო უმოქმედო შახტებს გამოიყენებდნენ რადიაქტიური ნარჩენების სამარხად. ამ ჭორებს არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თანახმა იყო, მიელო ეს თანხა და ბედის საძებნელად სხვაგან წასულიყო, ნაწილი კი აღშფოთებას გამოთქვამდა ტყიბულის რადიაქტიური ნარჩენების სამარხად გადაქცევაზე.

იხ. 6 გვ.

№ 183. შაბათი, 22 სექტემბერი, 2007 წელი.

სახელმწიფო

● არც ის არის გამორიცხული, რომ მემარჯვენეებისა და მრეწველების კონსულტაციები, უბრალოდ, კონსულტაციები იყოს და არჩევნებში ერთად გამოსვლას სულაც არ ნიშნავს



◎ აქტუალური თემა

# ვინ საით მიიწევს?

## სავარაუდოდ, მემარჯვენეები კობა ნარჩემაშვილს ჩაიხუტებენ

***დემოგრაფიული პრობლემა ახალი მემარჯვენეების საარჩევნო გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ საკითხზე ისინი საკანონმდებლო ინიციატივით გამოდიან და უმრავლესობის წევრებს მოუწოდებენ, ნუ დაიყოფიან ბანაკებად და ამის გამო ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი ნუ დაიბლოკება. თუმცა, ახლები არაფერს ამბობენ იმაზე, შეაგროვეს თუ არა მთელი საქართველოს მასშტაბით ხელმოწერები, რასაც ზაფხულში გვპირდებოდნენ. ანუ, შეეკითხებოდნენ ხალხს, მიიჩნევენ თუ არა საჭიროდ ამ პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფო პოლიტიკის გატარებასა და საგანგებო კანონის მიღებას.***

ახლები ვარაუდობდნენ, რომ, თუ ხელმოწერების სერიოზული რაოდენობა იქნებოდა, ეს მათ პოზიციას კიდევ უფრო გაამყარებდა, რათა ხელისუფლება ამ პრობლემაზე რეალურად დაფიქრებულიყო და, რაც მთავარია, დაუყოვნებლივ გადაედგა ქმედითი ნაბიჯები. ხელმოწერები შეგროვდა თუ არა, როგორც ითქვა, ამის თაობაზე, ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. მემარჯვენეები მიიჩნევენ, რომ ამ თემით საარჩევნო სპეკულირება არასწორი იქნებოდა. ხელისუფლებას თავის ხედვას სთავაზობს და შეგვახსენებენ, რომ მსოფლიო ბანკისა და გაეროს ოფიციალური მონაცემებით, 2050 წლამდე საქართველოში მოსალოდნელია მოსახლეობის 41 პროცენტით შემცირება.

– დემოგრაფიული პროგრამა ჩვენი საარჩევნო გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია, მაგრამ მივიჩნევთ, რომ არასწორი იქნებოდა ამ თემით საარჩევნო სპეკულირება. ჩვენს ხედვას ვთავაზობთ ხელისუფლებას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კიდევ ერთხელ გვაქვს სურვილი, რომ ხელისუფლებას თანამშრომლობის ხელი გავუწოდოთ, – აცხადებს მემარჯვენეების ლიდერი დავით გამყრელიძე.

ამ ეტაპზე ახალი მემარჯვენეები სხვა პარტიასთან გაერთიანებას კატეგორიულად გამორიცხავენ, მაგრამ გავრცელდა ხმები, რომ მემარჯვენეებისა და მრეწველების ფრაქცია ორად გაიხლიჩა და მრეწველები ცალკე გავიდნენ, გამყრელიძის ფრაქცია დაშლის წინაშე დგას. მაშინ მემარჯვენეებს ლაშა ნარჩემაშვილმა უშველა. შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის კობა ნარჩემაშვილის ძმა ამჟამად ახალი მემარჯვენეების პოლიტიკური პარტიისა და ფრაქციის წევრია. ამბობენ, რომ ახალი მემარჯვენეების პარტიულ სიაში შესაძლოა კობა ნარჩემაშვილიც აღმოჩნდეს. მემარჯვენეები მიიჩნევენ, რომ ის ძალიან სერიოზული კადრია თავისი პროფესიული მიმართულებებით და მასთან სიამოვნებით ითანამშრომლებენ.

თავის დროზე დავით გამყრელიძეს მინისტრ კობა დავითაშვილთან დაპირისპირება ნარჩემაშვილის კონკრეტულ სიტუაციაში ახლებისთვის მიუღებელ ნაბიჯს დგამდა. მემარჯვენეები მიიჩნევენ, რომ კობა ნარჩემაშვილი მაშინ სხვა მინისტრებთან შედარებით ღირსეულად მოიქცა. მან თავისი ნაბიჯით აჩვენა, რომ შეუძლია საკუთარ გუნდს, თუნდაც გასაჭირის დროს, უერთგულოს (დავით გამყრელიძემ ერთგულება თეა ტლაშაძესაც შეუძლო). შინაგან საქმეთა ექსმინისტრი კობა ნარჩემაშვილი მემარჯვენეებთან შესაძლო დამოყვრებას ჯერჯერობით არ ადასტურებს. მიიღებს თუ არა იგი ამგვარ გადაწყვეტილებას, მალე შევიტყობთ.

არც ის არის გამორიცხული, რომ მემარჯვენეებისა და მრეწველების კონსულტაციები, უბრალოდ, კონსულტაციები იყოს და არჩევნებში ერთად გამოსვლას სულაც არ ნიშნავს. თუმცა, ისიც დასაფიქრებელია, რომ ეს ორი პარტია ერთმანეთის მიმართ პოლიტიკურ სიმპათიებს ამ ბოლო დროს ხშირად გამოხატავდა.

მოგეხსენებათ, ჯერარშექმნილი ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს გია ცაგარეიშვილს უმრავლესობის წევრები საჯაროდ გაკეთებული განცხადებების გამო გაუსწორდნენ. დეპუტატი კობა დვალიშვილი ირწმუნება, რომ ცაგარეიშვილზე თავდასხმას არ აპირებდა, მაგრამ მან პროვოკაციაზე წამოაგო და ოპონენტი შემოელახა. ოქრუაშვილს ყველა თანამებრძოლი რომ გაულახონ, როგორც ჩანს, დროზე ადრე ის ასპარეზზე მაინც არ გამოვა. ეს დრო როდის დადგება, ზუსტად არავინ იცის. კულუარებში ლაპარაკობენ, თითქოს ოქრუაშვილს პრობლემა სამოქმედო პროგრამის გამო შეექმნა და პარტიის პრეზენტაციაც ამიტომ გაიწელაო. რა პროგრამას წარმოადგენს თავდაცვის ექსმინისტრი, არ ვიცით, თუმცა, მისი პოზიცია ყველასათვის ცნობილია – იგი ტერიტორიების ძალისმიერი გზით დაბრუნების მომხრეა. ოქრუაშვილმა ისეთი განწყობა შექმნა, თითქოს მას უნდოდა ცხინვალში შესვლა და ხელი შეუშალეს.

ოქრუაშვილთან მოაზრებული შვიდი დეპუტატიდან სამი – თორთლაძე, გუნცაძე და გაჩეჩილაძე რესპუბლიკელებისა და კონსერვატორების ზიარი ფრაქციის – დემოკრატიული ფრონტის წევრები არიან. ასე რომ, დემოკრატიულ ფრონტს შეიძლება პრობლემა გაუჩდეს, თუ ფრაქციის შევსება დროზე არ უზრუნველყვეს.

კახა კუკავა ოპოზიციურ პარტიებს შორის კოალიციის შექმნაზე სუბრობს და დასაშვებად მიიჩნევს, რომ მაგალითად, ოქრუაშვილს ჰქონდეს კოალიცია რესპუბლიკელებთან და არა კონსერვატორებთან ან პირიქით.

– ბუნებრივია, ჩვენ საერთო ფრაქცია გვაქვს რესპუბლიკელებთან. თუმცა, ზოგ საკითხზე განსხვავებული ხედვაც გვაქვს. იმის პროგნოზირება, რომ კონსერვატორებს და რესპუბლიკელებს ერთნაირი დამოკიდებულება ექნებათ ოქრუაშვილის მიმართ, არ შეიძლება, – აცხადებს იგი.

**რესპუბლიკელები უარყოფენ გავრცელებულ ხმებს, თითქოს ხელისუფლებაში ირაკლი ოქრუაშვილის მოყვანა სურთ.**

**– ჩვენ არავის მოყვანას ხელისუფლებაში ხელს არ შევუწყობთ. თუ მოვალთ ხელისუფლებაში, ამას თვითონ, სხვებთან ერთად გავაკეთებთ და ხელისუფლება იქნება იმ პრინციპების შესაბამისი, რაც აქვს ჩვენს პარტიას, – აცხადებენ ისინი.**

**მზია გელენავა**

№ 183. შაბათი, 22 ნოემბერი, 2007 წელი.

◎ ფიქრწაღებული

# იმ ჭიქას რა ვუყო!

## იედუტ, ნო ნე ნაში კაზაკი



**„ დამოუკიდებლობის“ მორიგი წლისთავი დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს სამხრეთ ოსეთში – გინდა ეგრეთ წოდებული უთხარი, გინდა ესრეთ წოდებული... მე შენ გეტყვი და, ტაშისმკვრელი მელაკუდები არ გამოუჩნდებოდნენ („მელაკუდამ ტაში დაჰკრა, ამფერ ჩემო დათუნაო“ძ სეპარატისტი აფხაზების, ჩრდილოკავკასიელთა, დნესტრისპირელთა, რუსეთელთა, კერძოდ, რუს კაზაკთა სახით.**

კაზაკობა ჩემს ახალგაზრდობაში მიხეილ შოლოხოვმა შემაყვარა („დონის მოთხრობები“, „წყნარი დონი“, „გატეხილი ყამირი“ძ. „გადამაყვარა“ აფხაზეთის ომმა, სადაც კაზაკები სეპარატისტთა მხარეს იბრძოდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ ქართველებს ( კაზაკი ხალხი საერთოდ სიმკაცრითაც გამორჩეულიაძ.

რამდენიმე წლის წინათ ჩვენი გაზეთის რედაქციის ერთ-ერთ კაბინეტში (იყო ასეთი ძველი, კეთილი, „კაბინეტებიანი“ დროცძ საქართველოს კაზაკთა კავშირის ხელმძღვანელები გამაცნეს (ჩემდა გასაკიცხად, მანამდე არც ვიცოდი მსგავსი გაერთიანების არსებობაძ. ვერ ვიტყვი,შემორჩა თუ არა ეს კავშირი. იმას კი ვიტყვი, რომ აფხაზეთის ომის დროს საქართველოს კაზაკობას ხმა არ აუმაღლებია რუსი თანამოძმეების წინააღმდეგ და მით უფრო, აფხაზეთში არ ჩასულა თავისი ქვეყნის დასაცავად. ახლაც არ ილებს ხმას ცხინვალში რუსი კაზაკების ვოიაჟის დასაგმობად.

რაკი სიტყვამ მოიტანა, განა იგივე არ ითქმის ქართველ ჩეჩნებზე(ქისტებზეძ? რასაც ჩეჩნები აფხაზეთში სჩადიოდნენ ( მგონი, ახლაც სჩადიანძ, იმის დავიწყება ან პატიება შეიძლება? თუ აფრინეს მაშინ ქისტებმა დელეგაცია გამძვინვარებულ თანამოდგმელებთან, რასაა, რომ აკეთებთო? სხვა მხრივ ხომ დიდ გულზე იყვნენ?

დიახ, ჩრდილოელმა ჩეჩნებმა ასე „დაგვავალეს“ აფხაზეთის ომში, ჩვენ კი, მაპატიეთ და, ქართული გულარხეინობით ( დოყლაპიობას მოვერიდებიძ ჩეჩნეთის „წარმომადგენლობა“ გავუხსენით თბილისში და ხიზრი ალდამოვს ოფისი ვუზოძეთ. ახლა რომ რუსეთი აფხაზეთის წარმომადგენლობას „იჩემებს“ მოსკოვში, ეს მოგვწონს?...

მკითხველის ნებართვით, თემას კიდევ უფრო „გავშლი“. იმ ომის დროს, როგორც მახსოვს, ძალიან აქტიურობდა თურქეთიდან 700 თუ 800 - ათასიანი აფხაზური დიასპორა. „სამაგიეროდ“, გაჩუმებული იყო, კვლავ როგორც მახსოვს, რამდენიმემილიონიანი ქართული დიასპორა. ჩვენი გამოსარჩლებით არც ირანის ქართულ დიასპორას მოუკლავს თავი ( იქაც მგონი მილიონებზე მიდის სათვალავიძ.

მოსკოვის და, საერთოდ, რუსეთის, ქართულ დიასპორაზე არაფერი არ ვთქვათ? გაიხსენეთ, ადამიანის სამოღვაწეო რამდენ სფეროში (მეცნიერება, ხელოვნება, ტექნიკა, მედიცინა, ლიტერატურა...ძ გვყავანან გამორჩენილი ადამიანები, პირდაპირ ნიშნოვანი ფიგურები და თუ ვინმეს გამოუხატავს მკვეთრი პროტესტი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის არაერთი მტრული ქმედების გამო? არც გამოსთქვამენ – პირადი კეთილდღეობის შენარჩუნება უწინარეს ყოვლისა! რა გამოდის, ყველგან ასე დედალი დიასპორა გვყავს?

გასაკვირია, ღმერთმანი – საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობა ამბიციურია, პრეტენზიულია, შემოტევაზეა, ზოგ შემთხვევაში ავტონომიურობის მოთხოვნაზეა. ამ ფონზე რატომ გამოიყურება ასე უძლურად, დაბეჩავებულად, მაგალითად, საინგილოს ქართველობა? თუ გსმენიათ, ოდესმე თურქეთში ან ირანში „ამხტარიყოს“ ქართული დიასპორა?...

... დიდი სამამულო ომის წლებიდან ერთ-ერთი პოპულარული სამხედრო სიმღერა მახსენდება: „Казаки, казаки, едут по берлину наши казаки“

ახლაც едут казаки, მაგრამ „не наши, თანაც едут по Грузии“...

მკითხველს ეგებ ამ წერილით ნაციონალისტი ან უარესი, შოვინისტი ვეგონო. ღმერთი, რჯული, ასე არ არის, ნაციონალური მოძრაობის წევრიც კი არა ვარ საკმაოდ ტოლერანტული და ინტერნაციონალური გახლავართ; ოღონდ რა ვუყო იმ სიმართლის ჩაწვდომის, ობიექტური სურათის წარმოდგენის მცდელობის ჭიას, რომელიც კვლავ ამიფუთფუთდა?...

**თამაზ ებანოიძე**

◎ ინფორმაცია

## ცაგარეიშვილმა პარტია დატოვა

**დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმა პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ოფიციალურად დატოვა.**

**ამის შესახებ ჟურნალისტებს გუშინ საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველების“ ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ განუცხადა.**

**მისივე თქმით, ფრაქციის დატოვების შესახებ ცაგარეიშვილს ჯერ განცხადება არ წარუდგენია.**

**როგორც ცნობილია, გია ცაგარეიშვილი ირაკლი ოქრუაშვილის მხარდამჭერ დეპუტატთა ჯგუფშია.**

## დეპუტატების ფული გადაარჩენს რთველს?

**„კონსერვატიული“ პარტია არ აპირებს, გადაიხადოს 50 ან 100 ლარი, რომელსაც რთველის ხელშეწყობისთვის დეპუტატებს სთხოვენ.**

**როგორც ზვიად ძიძიგურმა გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ისინი ყურძენს საკუთარი ოჯახებისთვის ყოველთვის ყიდულობენ, ხოლო ამ პრინციპით თანხას არ გადაიხდიან.**

**– არ ვაპირებთ, ბოკერიასა და ნადირაძის სახელობის ღვინოების ჩამოსხმას შევუწყოთ ხელი, – აღნიშნა ძიძიგურმა.**

**როგორც ცნობილია, დეპუტატებს პარლამენტის აპარატიდან სთხოვენ, რთველის ხელშეწყობის მიზნით 50 ან 100 ლარი გადაიხადონ.**

**ინტერპრესნიუსი**

• სტუმრებმა ერთხმად მოითხოვეს, რომ ტუალეტებში მაინც არ დაამონტაჟონ ვიდეოთვალი: უზნეობაა ბავშვის თვალთვალი ბუნებრივი მოთხოვნილების, ანუ მოსაქმების დროსო



◎ ფიქრები ხმამაღლა

# „ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“

## „საშველს რომ აღარ მომცემს ხოლმე მამულზე ფიქრი“

*ის მცირედი რამ, რაც წინა მასალაში ბიძინა ივანაშვილის შესახებ მოგითხრეთ, ზღაპრულ ოცნებას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ ცხოვრებას. ამიტომაც ახლა მით უფრო ხელშესახებ რეალობით ჟღერს „ნატვრის ხიდან“ დიდი ეროსის კინოგმირის ღაღადისი – „ქაღალდზე მეოცნებეთა დრო წავიდა! საქმეა, ბატონო, საჭირო, საქმე“. და იქვე – „საით მიდიხარ, საქართველოვ, საით? თფუუ!!!“*

*ერთგვარი წარმატებების მიუხედავად, მთლად სწორად და გამართულად რომ ვერ მივდივართ, ფაქტია. მრავალი მაგალითის მოყვანა თუ თემის „ამოწევა“ შეიძლება ამ ჩემი ტკივილიანი ეჭვების საფუძვლიანობის საილუსტრაციოდ და, თუ ღმერთმა ინება და შევძელი, მომავალში ყველაფერ ამაზე დავწერ კიდეც. ახლა კი ერთ, ერთი შეხედვით უწყინარ საკითხს შევეხები: ჩვენი ხელისუფლების მორიგ ავანტიურას განათლების სფეროში.*

### „ჰომო სოვეტიკუსიდან“... ნეტავ სადამდე?..

**როგორც ჩვენი უახლესი ისტორიიდან არის ცნობილი, ბოლშევიკ რევოლუციონერთა, უფრო სწორად, წითელ კუტჩისტთა ბოლვითმა იდეამ, ლენინ-სტალინის წითელ იმპერიაში შემავალი მრავალი ნაციისგან შეექმნათ ერთი, საბჭოთა სუპერნაცია, კრახი განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ ამ „დიადი მიზნის“ მიღწევისთვის ლამის მთელი გასული საუკუნე, 70 წელიწადი იჯახირეს, სისხლის მდინარეები ადინეს საბჭოთა იმპერიაში შემავალ კულტურულ ერებს, მაინც ვერ შეძლეს „ჰომო სოვეტიკუსის“ შექმნა.**

თავად ეს ტერმინი – „ჰომო სოვეტიკუს“ – აყვავებულმა, მაძღარმა დასავლეთის პოლიტოლოგებმა მოიგონეს და სტალინის მიერ ჩამოშვებული რკინის ფარდის ჭუჭრუტანებიდან უმზერდნენ ჩვენს გაუსაძლის ყოფას.



წინამდებარე წერილის შექმნის კატალიზატორი 19 სექტემბრის „ღია ეთერი“ გახდა. ყველამ იცის ე. წ. საჯარო სკოლებში ჩვენი განათლების მინისტრის კახა ლომაიას მორიგი ნოვაციის შესახებ. გიორგი თარგამაძის სტუმრები ლომაიას „რეფორმის“ ავ-კარგიანობაზე მსჯელობდნენ, უფრო სწორად, თან პოლიციის რეგულარული ვიზიტ-საუბრებიც და იგივე პოლიციის მუდმივი „მორიგეობაც“ სასწავლო პროცესის დროს. გიორგი თარგამაძის წყალს ნაყავდნენ, თორემ ვინ გიჟი იტყვის მოსწავლეებმა სკოლაში დანებითა და ყუმბარმტყორცნებით, გინდა ნარკოტიკებით იარონო.

როგორც „ღია ეთერიდან“ შევიტყვე, კახა ლომაიას ნორმატიული აქტის თუ რაღაც ამგვარის მეშვეობით, რაც თავისთავად არის კანონის დარღვევა, კალმის ერთი მოსმით დაუწესებია საჯარო სკოლებში ე. წ. ვიდეოთვალების დაყენება, ანუ ბავშვების ტოტალური თვალთვალი, რაღაც გაურკვეველი ე. წ. მოსწავლის პირადი საქმე, რომლის გაცნობის უფლება მასწავლებელს, მშობელს და პოლიციას ექნება. იქნება მოსწავლეებსტუმრებმა ერთხმად მოითხოვეს, რომ ტუალეტებში მაინც არ დაამონტაჟონ ვიდეოთვალი: უზნეობაა ბავშვის თვალთვალი ბუნებრივი მოთხოვნილების, ანუ მოსაქმების დროსო.

კახა ლომაია, როგორც აზარტული თამაშების მოყვარულები იტყვიან, უეჭველ თამაშს თამაშობს. ანუ წინასწარვე მოგებულია მისი „რეფორმა“. თუ კაი ბიჭი ხარ, თქვი, რომ ბავშვების ტოტალური თვალთვალი უზნეობაა, რომ ე. წ. დახასიათებები, რომლებიც ყველა ბავშვის ე. წ. პირად საქმეებში იქნება ჩაკერებული, ბოლშევიკური გადმონაშთია. თუმცა კომუნისტებს ასე შორს არ შეუტოპავთ. მახსოვს, ამ 40 წლის წინათ, როცა თქვენი მონა-მორჩილი უფროს კლასებში ვსწავლობდი, შემოიღეს პირველად ყოფაქცევაში დამაკმაყოფილებელი, ანუ სამიანი შეფასება. მანამდე ყველას ავტომატურად ფრიადი გვეწერა. სხვანაირად როგორ შეიძლებოდა? ჩვენ ხომ კომუნიზმის მშენებელი მშობლების წესიერი შვილები ვიყავით! თუმცა „იმ“ სამიანისთვის, არავის დახასიათება არ იყო საჭირო: ახლა ვინმე „ამათთაგანი“ მეტყვის – შენისთანა ბებრების მოწაფეობის დროს ვიდეოთვალი არ იყო, თორემო...

იხ. 6 გვ.

◎ თაღლითობა?!

# TV-ლოტომ ისევ „ჩაილურის წყალი დალია“?!



**ბუნებრივია, იკითხავთ, რატომ „ ისევო“? იმიტომ, რომ თითქმის სწორედ ამ სათაურით და ზუსტად ასეთსავე ფაქტზე ჯერ კიდევ 2005 წლის დეკემბერში ვწერდით ჩვენს გაზეთში.**

ძველი რომ აღარ გავიხსენოთ, რა მოხდა ახლა?

საქართველოში ერთობ პოპულარული სატელევიზიო გათამაშების – TV-ლოტოს მორიგი, 178-ე ტირაჟი თავად მისმა ორგანიზატორებმა სსკ „ფიგარომ“ და ტელეკომპანია „იმედმა“ ორიოდე კვირით გადასწიეს და 26 აგვისტოსთვის დანიშნეს. ვერ გეტყვით, თუ იმ ცხელ დღეებში ამ მორიგი ტირაჟის რამდენი ბილეთი გაიყიდა, მაგრამ ერთი ცხადია, რომ ამ გათამაშების მოყვარულთათვის „არდადეგები“ არ არსებობს და უეჭველია, ათი ათასობით ადამიანი მოუთმენლად ელოდა „ფორტუნას გაღიმებას“. თუმცა არ ვიცით, რატომ, მაგრამ იმ დღეს ტირაჟი არ გაიმართა. ტელეარხ „იმედის“ ეკრანზე გამოჩნდა და რამდენიმეჯერ განმეორდა მოძრავი ტიტრები შეტყობინებით, რომ ტირაჟის გათამაშება 9 სექტემბრისთვის იყო გადატანილი.

TV-ლოტოს მოყვარულთ მეტი რა დარჩენოდათ, იმედით მოუცადეს 9 სექტემბერსაც. მაგრამ იმ კვირადღესაც, დილის 11 საათზე ტელეეკრანზე TV-ლოტოს დაწყების ტრადიციული ტიტრები კი არ გამოჩნდა, არამედ ყბადაღებული საპნის ოპერა „მჩხავანა“... არა, ბოდიში და, „ველური კატა“ დაიწყო. თუ ორი კვირის წინათ გათამაშების მესვეურებმა მაინც შეგვატყობინეს, რომ ტირაჟი გადაიდოო. ახლა, რატომღაც, ესეც აღარ გამოიმეტეს (?!ძ გოგიჩა ერთხელაც არ გამოჩენილა ტელეეკრანზე, თუ ბასტიბუბუს მეტად საინტერესო კონცერტებს არ ჩავთვლით.

სხვათა შორის, უკვალოდ გაქრა TV-ლოტოს მთავარი სპონსორი „მომგებიანი კამათლის“ რეკლამაც – 100 სამზითვო ნაკრებს, პირდაპირ კონვეირიდან გადმოსულ გერმანულ მანქანებს და სხვა უამრავ ნივთ-ფულად მოგებას რომ გვპირდებოდა.

რასაკვირველია, მივაკითხეთ იქ, სადაც ეს ბილეთები შევიძინეთ, ჯერ ერთი, ამ გათამაშების ბილეთები ძირითადად საგაზეთო ჯიხურებში იყიდებოდა, მაგრამ პრესის მოძულე ქვეყნისა თუ ქალაქის მესვეურებმა თითქმის გააქრეს ისინი ქალაქის ცენტრალური ქუჩებიდან, მაგალითისთვის შორს რომ არ წავიდეთ, ერთ საგაზეთო ჯიხურს ვეღარ ნახავთ თავისუფლების მოედნიდან და რუსთაველის პროსპექტიდან დაწყებული თითქმის ჭავჭავაძის პროსპექტზე, 55-ე სკოლამდე (თუ არ ჩავთვლით, სადმე მიწისქვეშა გადასასვლელებში ან ჩიხებსა და შესახვევებში შეხიზნულ ფეხზე მოვაჭრეებსძ.

იხ. 6 გვ.

◎ ინფორმაცია

### ოქრუაშვილის მომხრეები ფრაქციის შექმნას არ ჩქარობენ

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის თანამოაზრეები პარლამენტში ფრაქციის შექმნას არ ჩქარობენ.

როგორც დეპუტატმა ქეთი მახარაშვილმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, ოქრუაშვილის მხარდამჭერი ფრაქციის ჩამოსაყალიბებლად მოქმედებები პარტიის პრეზენტაციის, ყრილობისა და პარტიის იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის შემდეგ დაიწყება.

რაც შეეხება თავად ირაკლი ოქრუაშვილს, ქეთი მახარაშვილის ინფორმაციით, იგი თურქეთშია.

ამასთან, მახარაშვილმა უარყო ინფორმაცია, რომ ჯერ უსახელო პარტიის ოფისი კანონდარღვევით არის შეძენილი.

მან ჟურნალისტებს მოუწოდა, დაინტერესდნენ, თუ რა ფულით აქვს შეძენილი ოფისები „ნაციონალურ მოძრაობას“.

### ქუთაისის მერი თანამდებობიდან გადადგა

ქუთაისის მერი ნიკოლოზ კაჭკაჭიშვილი თანამდებობიდან გადადგა. ეს ინფორმაცია იმერეთის გუბერნატორმა აკაკი ბობოხიძემ დაუდასტურა.

თავად ნიკოლოზ კაჭკაჭიშვილი ჟურნალისტებთან არ გამოჩენილა.

ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა ქალაქის მერის გადადგომის მიზეზი, მით უფრო მაშინ, როცა გუშინ ქუთაისში მთავრობის გასვლითი სხდომა ჩატარდა.

უკვე საუბრობენ ქუთაისის მერის სავარაუდო კანდიდატურაზეც. როგორც ქუთაისის მერიაში აცხადებენ, კაჭკაჭიშვილს საკრებულოს წევრი ანდრო ლოსაბერიძე შეცვლის.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქუთაისში მეექვსე მერი გამოიცვალა.

### გაზის ტარიფს არ გადახედავენ

სემეკი გაზის სამომხმარებლო ტარიფის გადახედვას არ აპირებს. ამის შესახებ კომისიის თავმჯდომარემ გურამ ჩალაგაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ნებისმიერ გაზგამანაწილებელ კომპანიას აქვს უფლება, გააკეთოს განაცხადი ტარიფის ზრდის მოთხოვნით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სემეკი ამ ტარიფს გადახედავს.

ჩალაგაშვილის ინფორმაციით, აზერბაიჯანული გაზის შესაძლო გაძვირებას ავტომატურად სამომხმარებლო ტარიფის ზრდა არ მოჰყვება, რადგან ის საშუალო შეწონილი ტარიფის შესაბამისად ითვლება.

ამჟამად სამომხმარებლო ტარიფში ჩადებული საშუალო შეწონილი ტარიფი 1000 კბ.მ-ზე 167 აშშ დოლარს შეადგენს.

როგორც ცნობილია, გავრცელდა ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანი საქართველოსთვის გაზის გაძვირებას აპირებს.

ინტერპრესნიუსი

№ 183. შაბათი, 22 სექტემბერი, 2007 წელი.

● გამოძიება ჩიხში მოექცა. ამ ასაკის კაცი, რომელსაც ორი ურთულესი ოპერაცია აქვს გადატანილი და დამოუკიდებლად სიარული არ შეუძლია, ნამდვილად ვერ მოახერხებდა ხუთ ტონიანი ავზის აწევას და წაღებას



ერიჰა!

*დედოფლისწყაროში მცხოვრები 82 წლის გიორგი მჭედლიშვილი შრომისუუნაროა და მუდმივად ავადმყოფობს. მოხუცს რამდენიმე რთული ოპერაცია აქვს გადატანილი, მაგრამ რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ყველაფრის მიუხედავად, კახეთის სამხარეო პროკურატურა ხანდაზმულს 5-ტონიანი ავზის აწევასა და წაღებაში და 70 მეტრამდე რკინიგზის რელსის მოპარვაში ადანაშაულებს (!ძ. კახეთში მოქმედი არასამთავრობო სექტორისა თუ უფლებადაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს ფაქტი კახელი ძალოვნების კლასიკური სახეა და იგი რეგიონში არსებულ განუკითხაობაზე მეტყველებს.*

# ჯართის უკანონო ბიზნესის გამო დედოფლისწყაროში 82 წლის მოხუცი დაიჭირეს!

## „გამომძიებელმა ღვედაშვილმა ჩვენება არ წამაკითხა და თავისი ხელით ჩაწერა, თითქოს ბრალს ვაღიარებ...“

ინფორმაციის გაჟონვისთანავე დედოფლისწყაროს პროკურატურის წარმომადგენელთან **დავით დულაშვილთან** დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ მან ტელეფონი რამდენჯერმე გაგვითიშა. ჩვენ ინფორმაციის მიღების მიზნით პოლიციის შენობასაც ვესტუმრეთ, თუმცა კომპეტენტურ პირთაგან ვერც ერთი მოვიხელთეთ. (!ძ

თავად განსასჯელი, ჯართის უკანონო ბიზნესში პოლიციის მაღალჩინოსნების მონაწილეობაზე საუბრობს და მიიჩნევს, რომ ის „ხელის შესაწმენდად“ დასჭირდათ... მჭედლიშვილი პოლიციელთა გვარებსაც ასახელებს. ხსენებული გვარები კახეთში ყველასთვის კარგადაა ცნობილი და მათზე მითქმამოთქმა დღემდე არ ცხრება.

**გიორგი მჭედლიშვილი:** „არაფერი მომიპარავს... უბრალოდ, ნავთობსერვისის სამართველოს ბაზის ახლოს მიწის ნაკვეთი მაქვს. ამიტომ იმ ორგანიზაციის თანამშრომელმა მთხოვა, როცა ნაკვეთში ვიქნებოდი, გაძარცვულ-გაპარტახებული ბაზისთვის მიმეხედა. ერთ დღეს, როცა ნაკვეთში მივედი, დავინახე, რომ მოსაპარად გამზადებული რკინები ბაზიდან გამოტანილი იყო და გზაზე ეწყო. შევშფოთდი და ვცდილობდი, გადამელაგებინა და პატრონისთვის შეტყობინებას ვაპირებდი. ამ დროს, მოულოდნელად თავზე პოლიციის თანამშრომლები დამადგნენ, დამაკავეს და პოლიციაში წამიყვანეს. მაიძულებდნენ, მეღიარებინა, რომ ჯართს ვიპარავდი, თუმცა რაც არ ყოფილა, როგორ ვაღიარებდი... ყველაფრის მიუხედავად, საქმე „შეკერეს“ და სასამართლოს გადასცეს. მოსამართლემ რომ დამინახა რა ალალი და გასაცოდავებული, დაუძლურებული მოხუცი ვიყავი, მხოლოდ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა შემიფარდა. მანამდე **გამომძიებლები მემუქრებოდნენ, „რადგან არ აღიარებ, დაგაპატიმრებთო“. გამოძიების დროს, დედოფლისწყაროს შ/ს რაიგანყოფილების გამომძიებელმა ალექსანდრე ღვედაშვილმა თავისივე დაწერილ ჩვენებაზე ხელი ისე მომაწერინა, არ წამაკითხა. გაირკვა, რომ ჩვენებაში ღვედაშვილი ბრალს მაღიარებინებს (!ძ. როცა ეს გავიგე, ჩემმა შვილმა საჩივარი დაწერა. თუმცა პოლიციის ადგილობრივი მაღალჩინოსნები ისე იყვნენ ჯართის უკანონო ბიზნესში ჩართულნი, რომ ჩემთვის არავის ეცალა... სინამდვილეში კი პოლიციის მაშინდელი უფროსის, გელა ჯალიაშვილის, მისი მოადგილის ნოშრევან ნატროშვილისა და სხვების მიერ ხდებოდა ნავთობის ბაზის და სხვა ორგანიზაციების გაძარცვა. დედოფლისწყაროელ სამართალდამცველებს საკუთარი, ოღონდ სხვის სახელზე გაფორმებული ჯართის მიმღები პუნქტებიც ჰქონდათ, სადაც მოპარულ ლითონებს იღებდნენ. გელა ჯალიაშვილი და მისი თანამზრახველები პოლიციიდან მოგვიანებით გაათავისუფლეს, თუმცა დღემდე დაუსჯელნი არიან. ალბათ, მათ უკან მეტად გავლენიანი პირები დგანან. მთელი დედოფლისწყარო ჯართის დიდ ხროვად აქციეს და ნაწილ-ნაწილ ყიდიან,“** — აცხადებს 82 წლის მოხუცი.

დედოფლისწყაროს პროკურორი **გოჩა ჯანყარაშვილი** აცხადებს, რომ წინასწარი გამოძიება არასრულყოფილად ჩატარდა და ვერ დადგინდა დანაშაულში სხვა პირთა მონაწილეობის საკითხი. სწორედ ამიტომ საქმე დამატებით გამოძიებაში დაბრუნდა:

„სხვადასხვა გარემოებებთან ერთად, გასარკვევი იყო, როგორ მოახერხა ასაკოვანმა მჭედლიშვილმა მძიმე წონის ნივთების მოპარვა ისე, რომ არავინ დახმარებია...“ აღნიშნავს პროკურორი ჯანყარაშვილი.

აქვე საყურადღებოა ის მომენტიც, რომ გამომძიებელი ალექსანდრე ღვედაშვილი საქმეს „ორი ყურის პრინციპით“ მიუდგა და პროკურორის დავალება სულაც არ გაუთვალისწინებია.

„განსასჯელი გიორგი მჭედლიშვილი წინასწარ პატიმრობაში თავს აბსოლუტურად დამნაშავედ სცნობდა. ამიტომ სასამართლო გამოძიებისას უნდა გაირკვეს, რამდენად უტყუარია ჩვენება, რომელიც მან გამოძიებას მისცა. როგორც თვითონ აღნიშნავს, მას გამომძიებელმა ღვედაშვილმა აღიარებით ჩვენებაზე ხელი შეცდომით მოაწერინა. აღსანიშნავია, რომ იგი 82 წლისაა, რომელსაც დამცველი არც წინასწარ პატიმრობაში ჰყოლია, როგორც ჩანს, სწორედ ამით ისარგებლეს დედოფლისწყაროელმა სამართალდამცველებმა. მისთვის ადვოკატის დანიშვნა სავალდებულო იყო, რადგან იგი შრომისუუნაროა, ასაკოვანია, ავადმყოფობს და არ შეუძლია საკუთარი ინტერესების დაცვა...“ — **აცხადებს „ადამიანის უფლებათა ცენტრის“** კახეთის ოფისის ხელმძღვანელი **გელა მთივლიშვილი.**

„მიმაჩნია, რომ გამოძიება ჩიხში მოექცა. ამ ასაკის კაცი, რომელსაც ორი ურთულესი ოპერაცია აქვს გადატანილი და დამოუკიდებლად სიარული არ შეუძლია, ნამდვილად ვერ მოახერხებდა ხუთტონიანი ავზის აწევას და წაღებას...“ — ამბობს მჭედლიშვილის ადვოკატი **მაგული ღვალაძე.**

„გამომძიებელს რომ დაეწერა, გიორგი მჭედლიშვილი აღნიშნული ნივთების მოპარვას მისი სიმძიმიდან გამომდინარე ვერ მოახერხებდაო, მაშინ ქურდობისთვის ბრალდებული მაჩემი უნდა გაემართლებინათ... ამას კი ნამდვილად ვერ გააკეთებდნენ... რისი მთავარი მიზეზიც ის გახლავთ, რაზეც ამდენს ვდაობთ... საქმე იმაშია, რომ ყველა შემთხვევაში, რომელიც ჯართის ბიზნესთანაა დაკავშირებული, თავად პოლიციელები არიან ორგანიზატორები. ანუ პოლიცია ჯართს თავად იპარავს და შემდგომ საქმე გახსნილად რომ გამოაცხადონ, უდანაშაულო ადამიანებს აკავებს. საგულისხმოა, რომ მას შემდეგ, რაც ამის შესახებ ხმამაღლა განვაცხადე და პოლიციელთა უკანონო ქმედებებზე ბრძოლა ხმამაღლა დავიწყე, ჩემს ოჯახს ძალიან ავიწროვებენ. დედოფლისწყაროს გამგებლის დავით ლეკიშვილის ჩათვლით. ყველა ნაბიჯზე პრობლემებს მიქმნიან და მავიწროვებენ... შინაგანად ვერ ვიტან უსამართლობას და სწორედ ამიტომ ვიბრძვი, მაგრამ როგორც წესი, სიმართლე არავის სიამოვნებს და სწორედ ამიტომ აითვალწუნეს ჩემი ოჯახი. ამას წინათ, წყალგაყვანილობასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემებზე ერთ-ერთი ტელევიზიით გამოვედი და დედოფლისწყაროს გამგებელი დავით ლეკიშვილი დავადანაშაულე. რის შემდეგაც ბატონი დავითი სახლში მომივარდა და რაკი ტელევიზიით გამოვედი ამის გამო ჩემზე ზეწოლა განახორციელა. მას მხარი აუბა დედოფლისწყაროს გამგეობის პრესმდივანმა ქალბატონმა ანა ბენაშვილმაც, რომელმაც ადგილობრივ გაზეთში საკმაოდ შეურაცხმყოფელი წერილი გამოაქვეყნა. პრესმდივანი აღნიშნავს, რომ თურმე პროტესტის გამოხატვა (დემოკრატიულ ქვეყანაშიძ სამარცხვინოა... არადა დღე და ღამ სწორედ ამას გვიკიჟინებენ, რომ თავისუფალ და დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის გზას ვადგავართ... როგორც ჩანს, დედოფლისწყაროში რევოლუციურ ცვლილებებს ჯერ არ ჩამოუღწევია და ისევ შევარდნაძისეული მმართველობის სტილია. სიმართლის თქმისთვის კი დედოფლისწყაროში სასტიკად დევნიან და ჯოხსაც უდანაშაულო ადამიანებზე ტეხენ...“ — აცხადებს ჩვენთან საუბრისას განსასჯელის შვილი **ქეთევან მჭედლიშვილი**.

რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოში ამ ფაქტთან დაკავშირებით, სასამართლო სხდომა გაიმართა. მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ ჯართის გადატანის დროს, გარკვეულ ნაწილებს მართლაც ხსნიდა. კახეთში მოქმედი არასამთავრობო სექტორი მიიჩნევს, რომ მჭედლიშვილი აიძულეს სასამართლოზე აღიარებითი ჩვენება დაედასტურებინა. საგულისხმოა, რომ ყველაფრის მიუხედავად, დედოფლისწყაროს რაიონულმა სასამართლომ 82 წლის ავადმყოფი მჭედლიშვილი მაინც გაასამართლა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მჭედლიშვილს ერთწლიანი პატიმრობა და პირობითი სასჯელი მიესაჯა (!ძ.

ადგილობრივ სამართალდამცველთა მისამართით, საკმაოდ მწვავე შეფასებებს აკეთებს ადგილობრივი მოსახლეობაც. დედოფლისწყაროელები თამამად საუბრობენ, რომ ჯართის ბიზნესში პოლიციელთა ჩართვა და შემდგომ უდანაშაულო ადამიანებზე გადაბრალება რაიონში ტრადიციად იქცა. შეგახსენებთ, სწორედ ჯართის ბიზნესს შეეწირა პოლიციის შეფი **გელა ჯალიაშვილი.** მოსახლეობა ჯალიაშვილის „შავბნელ“ წარსულზეც ღიად საუბრობს და მითქმამოთქმა დღემდე არ ცხრება მის პირად ინტერესებზე...

შეგახსენებთ, რომ ხსენებულ რაიონში, ახლახან ჯართის ბიზნესის გამო, რამდენიმე მაღალჩინოსანი დააკავეს, მათ შორის დედოფლისწყაროს სასამართლოს აღმასრულებელი **დავით ოდიშელიძე.** ადგილობრივები იმასაც დაუფარავად აღნიშნავენ, რომ ჯართის ბიზნესში გარეულ მაღალჩინოსნებს, ტრადიციულად, დედოფლისწყაროს ამჟამინდელი პოლიციის უფროსი **დიმა ბოჭორიძეც აქტიურად ლობირებს. მაშასადამე, ბოჭორიძის პირადი ინტერესები რომ არა, დაკავებულთა სია გაცილებით დიდი იქნებოდა...**

**ილია მარტყოფლიშვილი,**
კახეთიდან

ინფორმაცია

## დამნაშავეა თუ არა ბლუაშვილი?

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ძარცვაში მსჯავრდებულის, 18 წლის ზურაბ ბლუაშვილის საქმესთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა.**

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სპიკერმა მოსამართლემ მაია ჯვარშეიშვილმა განაცხადა, მოსამართლე რევაზ ნადოის მიერ 19 სექტემბერს გამოტანილი განაჩენი, რომლითაც ბლუაშვილს 4 წლითა და 6 თვით პატიმრობა და 3500-ლარიანი ჯარიმა მიესაჯა, ემყარებოდა საქმეში არსებულ ფაქტობრივ მტკიცებულებებს.**

**მისივე თქმით, არც ერთი მოწმე არ ადასტურებდა, რომ დანაშაულის მომენტში მსჯავრდებული გამოცდაზე იმყოფებოდა.**

**„დაცვის მხარის მიერ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს სასამართლოში დაკითხულმა მოწმეებმა, კერძოდ, პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ ბლუაშვილი 16 საათამდე გამოცდაზე იმყოფებოდა. ასეთი რამ მოწმეებს არ უთქვამთ. ერთ-ერთმა პედაგოგმა აღნიშნა, რომ ბლუაშვილი სასწავლებელში 14 საათამდე იმყოფებოდა, დანაშაული კი 16 საათზე მოხდა“, — განაცხადა ჯვარშეიშვილმა.**

**სპიკერ-მოსამართლის განცხადებით, საინფორმაციო საშუალებით არც ერთი მოწმის ჩვენება არ მოუსმენია, რომელიც მსჯავრდებულის 16:00 საათამდე გამოცდაზე ყოფნას დაადასტურებდა.**

**ამასთან, დაცვის მხარე ჟურნალისტებთან კომენტარში განმარტავდა, რომ მოწმეების ჩვენებების მიხედვით ბლუაშვილს ალიბი აქვს, რაც დანაშაულის მომენტში გამოცდაზე ყოფნაში მდგომარეობს.**

**„დანაშაულის მომენტში იგი გამოცდაზე იმყოფებოდა, რაც არაერთმა მოწმემ დაადასტურა“, — განაცხადა ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა.**

**პროცესით „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებიც დაინტერესდნენ, რადგან საქმეში დაზარალებულად ცნეს სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ერთ-ერთი მსჯავრდებულის ალექსანდრე ლაჭავას მეუღლე ნათია რუხაძე.**

**დანაშაული 2007 წლის 20 ივნისს ყაზბეგის 10 ნომერში მოხდა. რუხაძეს ოქროს ყელსაბამი ჩამოგლიჯეს. ზურაბ ბლუაშვილი ამავე ქუჩაზე ცხოვრობს.**

**ინტერპრესნიუსი**

# საზოგადოება

● „რალა დროს ქალამნებიანი ვაჟა-ფშაველაა?“ დღეს ხომ მარიო ჩიმარო უფრო „ხოდშია“...



◎ ფიქრები ხმამაღლა

# „ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“

**(მეოთხე გვერდიდან)**

ვიდეოთვალი თუ არ იყო, საბჭოთა მილიცია ხომ იყო? ჰოდა, სკოლებში მილიციის პუნქტების გახსნა თვით სტალინსაც არ მოსვლია აზრად.

რალა ბევრი გავაგრძელო? ამიტომ მთავარს ვიტყვი, იმას, რისი თქმაც „ღია ეთერში“ მინდოდა, ვინმეს რომ ეპასუხა ჩემს ტელეფონის ზარზე. ვიტყვი იმას, რაც არც „ღია ეთერის“ არც ერთ სტუმარს მოსვლია აზრად და იქნებ ლომაიას „რეფორმის“ მთავარ მზაკვრობას ვერც საზოგადოების დიდი ნაწილი აცნობიერებს. ამისთვის ჯერ წერილის ამ ქვესათაურზე – „ჰომო სოვეტიკუსიდან“... სადამდე? – პასუხის გაცემა დამჭირდება.

ჰოდა, გავცემ კიდეც:

## სადამდე და, ჰომო ვარდიკუსამდე!!!

**შეთქმულებების თეორიების მოყვარული არ გახლავართ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ანუ ზოგადად ე. წ. „განათლების რეფორმაში“ და, კონკრეტულად, წერილის თემასთან მიმართებაში, სწორედ რომ, ანტიქართული შეთქმულებასთან გვაქვს საქმე. ლომაიას მორიგი რეფორმატორული ნოვაცია ლამაზად და ოსტატურად არის შეფუთული მოზარდებში დამნაშავეობასთან ბრძოლის კეთილშობილურ ლოზუნგში.**

სინამდვილეში რა ხდება? რა და, ჩვენ, ჩვენი შვილების მშობლები ხომ დაგვამონეს? ბოლომდე ვერა, მაგრამ საზოგადოების არც თუ უმნიშვნელო ნაწილი ნამდვილად. ჰოდა, ახლა ამ „რეფორმის“ ნამდვილი მიზანი ის გახლავთ, რომ უკვე ჩვენი შვილები შეაჩვიონ მუდმივ თვალთვალს, აქედან გამომდინარე, ერთმანეთის უნდობლობას, ჩაშვება-ბეზღებას. ამას დაუმატეთ ე. წ. პატრიოტთა ბანაკების ბუჩქებში პრეზიდენტის დონეზე ლობირებული ტრენინგები და ჰომო ვარდიკუსებიც გამოიჩეკებიან. კიდევ ათასი ჯეობარამტანები, სადაც ერთმანეთის ჩაძირვა-დაძირვას აღმერთებენ და არა ქრისტესმიერი თმენით მოყვასის სიყვარულს.

მამებსა და შვილებს შორის, ილიასეული გაგებით, ბრძოლა ყოველთვის იყო, მაგრამ არა ისე, როგორც დღეს მიდის პროპაგანდა მამა-შვილთა დაპირისპირებისა. ჩვენ, დღევანდელი მშობლები, ბაბუა-ბებიები „დრომოჭმულ“ ეროვნულობას, მართლმადიდებლობას, ტრადიციებს ვერა ვთმობთ. არადა, თენგიზ ჩანტლაძის ერთი მინიატიურისა არ იყოს – „რალა დროს ქალამნებიანი ვაჟა-ფშაველაა?“ დღეს ხომ მარიო ჩიმარო უფრო „ხოდშია“.

*გონს მოვეგოთ ქართველებო! ხმა ამოვიღოთ, თორემ დღეს ჩვენი, მშობლების დუმილი ხვალ იმის გარანტია იქნება, რომ მატეო ფალკონეზე გაზრდილ მამებს პავლიკა მოროზოვებად, ჰომო ვარდიკუსებად დაგვიბრუნდებიან ჩვენი შვილები ლომაიას „რეფორმირებული“ საჯარო სკოლებიდან.*

**დავით მხეიძე**

◎ ინფორმაცია

## მარნეულის გამგებლის მოადგილეც დაიჭირეს

**კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობის ფაქტზე მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გია სისვაძე დააკავეს.**

**როგორც შს სამინისტროს პრესსამსახური იუწყება, სისვაძე, კანონით დადგენილი აკრძალვის მიუხედავად, საწარმოს მართვაში მონაწილეობდა, რითაც მას უკანონო უპირატესობას უწესებდა.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ განსჯა

# მაინც სად არის პარაბოლა?

**(მეორე გვერდიდან)**

შემდეგ ეს ჭორები ნელ-ნელა მიწყნარდა, მაგრამ ზოგიერთი სკეპტიკოსი შახტების აღდგენას სწორედ ამ ოპერაციას უკავშირებს და ამბობს, რომ მთელი ის მოძრაობები, რაც ტყიბულში მიმდინარეობს, თვალის ახვევის მიზნით ხდება.

ღმერთმა ქნას, რომ ეს ყველაფერი მართლაც ჭორი იყოს და არავითარი რადიაქტიური სამარხი არ გაკეთდეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფასებს, რაც რადიაქტიური ნარჩენების მოშორება ღირს და იმასაც, რომ ამ მთავრობისგან ყველაფერია მოსალოდნელი, რბილად რომ ვთქვა ამ საკითხზე სულ ცოტა დაფიქრება მაინც ღირს.

იმ შახტებში კი, რომლებსაც წერილის დასაწყისში მოხსენიებული ამერიკელი მწერალი საქართველოს განვითარებისა და მომავალი წარმატების სიმბოლოდ სახავდა, საკმაოდ სერიოზულად არის დარღვეული უსაფრთხოების ნორმები. ჩემთან საუბარში რამდენიმე ძველმა მეშახტემ პირდაპირ თქვა, რომ „არანაირ ხელფასად არ ულირთ საკუთარი ხელით ჩაცმული „სპეცოვკის“ საკუთარივე ხელით გახდის შესაძლებლობა“.

კიდევ უამრავი პრობლემაა ტყიბულში, მაგრამ უმთავრესი პრობლემა ქალაქის ფუნქციაა. ტყიბული ვერასდროს ვერ იქნება დიდი სამრეწველო ქალაქი, ხოლო ის 1200 დასაქმებული მეშახტე ამინდს ვერ შეცვლის. სწორედ ამიტომ ქალაქმა ფუნქცია უნდა შეიცვალოს. არადა ამის პერსპექტივა ნამდვილად არის. მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და ბუნებრივი რესურსები სამრეწველო ქალაქიდან ტურისტულ ქალაქად გადაქცევის საშუალებას ნამდვილად იძლევა, მაგრამ ამ საქმეს სერიოზული დაჯდომა, ნამდვილი სპეციალისტების გათვლები და ქალაქის მომავლისადმი გულიანი, სიყვარულიანი მიდგომა სჭირდება.



დიდი პრობლემებია საქართველოს რეგიონებში. ის საკითხები, რაც ტყიბულელებს აწუხებთ, ნამდვილად არ არის უცხო არც ლანჩხუთელისთვის და არც ხაშურელისთვის. არ არის უცხო არც თელაველისთვის და არც სენაკელისთვის. ბუნებრივია ყველა ქალაქსა, თუ რაიონს საკუთარი სპეციფიკა და პერსპექტივა აქვთ, მაგრამ ყველას ერთი საერთო რამ გააჩნიათ, ამ საერთოს კი ერთი ცნობილი ფირმის რეკლამის მცირე ინტერპრეტაციით შემოგთავაზებთ: **„ყველა ქალაქს აქვს სტაფილოსფრად შეღებილი პოლიცია, ჯართად გატანილი ყოფილი ქარხნები და განვითარების გეგმის უქონლობა“.**

ქალბატონი მაია ნადირაძე ოპოზიციასთან კამათის დროს ყოველთვის იშველიებს სხვადასხვა უცხოური კვლევითი ინსტიტუტების მონაცემებს, რომლებშიც საქართველოს წარმატებებია აღწერილი. ასეთი დასკვნების მოსმენის დროს მახსენდება ჩაშლილი გაქცევის სცენა ფილმიდან „შერეკილები“, როდესაც ჩაფიქრებული ქრისტეფორე მგალობლიშვილი დილეგის კედელზე შესრულებული გამოთვლების შემოწმების შემდეგ მხრებს აიჩეჩავს და გაკვირვებული სახით იტყვის **„წესით ეხლა ჩვენ ტყეში ვართ“,** მაგრამ მიზანა ბრეგვაძის მახვილი თვალი შეამჩნევს, რომ პარაბოლა იქ არ არის, სადაც უნდა იყოს. პრობლემა კი ძალიან მარტივად გადაიჭრება, სატრფოს ხილვას მოწყურებული მიზანა გამწარებული დაჰკრავს ხელს ციხის კედელს და ისიც, როგორც ყველა მორყეული შენობა, ინგრევა.

**მთელმა საქართველომ იცის, რომ „პარაბოლა“ იქ არ არის, სადაც უნდა იყოს. ამიტომ სჯობს, ხელისუფლებამ გადახედოს საკუთარ „გამოთვლებს“ და დროულად გამოასწოროს დაშვებული შეცდომები, თორემ ყველა ციხე ადრე, თუ გვიან, ინგრევა.**

**გია გაბრიჭიძე**

◎ თაღლითობა?!

# TV-ლოტომ ისევ „ჩაილურის წყალი დალია“?!

**(მეოთხე გვერდიდან)**

მეორეც, თუ მაინც სადმე მივაგენით ასეთ ჯიხურებს, მისმა გამყიდველებმა არაფერი იცოდნენ საერთოდ გათამაშებისა თუ მორიგი ტირაჟის ბედიგლის შესახებ. მხოლოდ ერთგან, მეტროს სადგურ „დიდუბის“ წინ ჯიხურში დაგვაიმედეს



– ის ტირაჟი აუცილებლად გათამაშდებაო. ღმერთმა „კარგი ყურით“ გაგიგონოთ!

არ ვიცი, თუ რას ფიქრობენ სსპ „ფიგაროს“ (მცხეთაში რომ დაბინავებულაძ ან „იმედის“ მესვეურები უამრავი ადამიანის ასე აბუჩად აგდების თაობაზე, მათ ხომ კარგად იციან, რომ ბევრი მათგანი, დიდი თუ პატარა მოგების იმედით, პირიდან ლუკმას იცლიდა და იმ ერთ ლარს ელეოდა, ორი პური მაინც რომ მოუვიდოდა (!ძ.

მაშინ, 2005 წლის ბოლოს, ზოგიერთმა ჯიხურმა ლატარიის ძველი ბილეთები ახალზე გადაცვალა, მაგრამ განა ყველამ გააკეთა ეს? ყოველ შემთხვევაში TV-ლოტოს მესვეურები არ დაზარალებულან. ახლაც ძველებური რომ მოინდომონ და გამოუყენებელი ბილეთების დაბრუნებას საგაზეთო ჯიხურებში მოინდომონ, ალბათ, ყოველ შემთხვევაში თბილისში მაინც, მთელ ფულს TV-ლოტოს ორგანიზატორები „შეიტყაპუნებენ“, რადგან იმ ჯიხურების ძებნაში ლარიანი ბილეთის მფლობელი კიდევ სულ ცოტა 80 თეთრს აღარ გადაყრის, თუმცა ოპტიმისტი კაცი „იმედის“ იმედს არ კარგავს და დაკარგულ ტირაჟს მაინც ელოდება.

**ვალიკო სიმონიშვილი**

*P. S. წერილის დაბეჭდვის წინ აღმაშენებლის 142-ში TV-ლოტოს და „მომგებიანი კამათლის“ ადგილ-სამყოფელს მივაკითხეთ. იქ მხოლოდ ასეთი განცხადება დაგვხვდა: „მიმდინარე რევიზიის გამო ოფისი დაკეტილია. მუშაობა ორი კვირის შემდეგ განახლდება“. თუმცა არ იყო მითითებული, თუ საიდან იწყებოდა ამ „ორი კვირის“ ათვლა – 12 აგვისტოდან, როცა მორიგი ტირაჟიც და წინა ტირაჟების მოგებების განაღდებაც ორი კვირით გადაიდო. იქნებ 26-27 აგვისტოდან, ან ახალი თარიღიდან – 9 სექტემბრიდან? ხვალ უკვე მესამე „ორი კვირა“ გადის, ვგონებთ, რევიზია საეჭვოდ გაჭიანურდა, რატომ?!*

*ამ თემას ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით.*

*ვ. ს.*

№ 183. შაბათი, 22 სექტემბერი, 2007 წელი.

● საგარეო საქმეები ისევე, როგორც ბიზნესი და, ზოგადად, ეკონომიკა, გაცილებით უფრო მოქნილი პოლიტიკით უნდა წარიმართოს



ჩვენ და მსოფლიო

# ჯერ მოქნილობაა, შემდეგ კი კეთილგანწყობა

**ფაქტობრივად, ნებისმიერ ქვეყანასთან რუსეთის კავშირების ძნელად ასახსნელი მოუქნელობის, „ცალვექტორიანობის“ მთავარი მიზეზი, როგორც მას რუსეთელი, ისე საზღვარგარეთელი პოლიტოლოგები ხსნიან, ის გახლავთ, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა მხოლოდ ერთ უწყებას – უშუალოდ პრეზიდენტ პუტინს დაქვემდებარებულ საგარეო საქმეთა სამინისტროს აბარია, რომელსაც კავშირი მხოლოდ სხვა ქვეყნების ანალოგიურ სტრუქტურებთან – ანუ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან ან მათ ხელმძღვანელებთან (ბუში იქნება ეს თუ სარკოზი)ძ აქვს. ოფიციალურ რუსეთს არასოდეს აქვს საქმე ოპოზიციასთან – ლეგალურია იგი თუ არალეგალური. არც ჰქონია ასეთი ურთიერთობა იმ გამონაკლისის გარდა, როცა კომუნისტურ ეპოქაში მხარს უჭერდა ამა თუ იმ ქვეყნის (ისიც, არა ყველასძ კომუნისტურ პარტიას.**

თუკი პირველი პოსტულატის რაღაცნაირად გამართლება კიდევ შეიძლება (ბოლოს და ბოლოს, საგარეო საქმეები, რომ იტყვიან, ხელმწიფის საქმეაძ, რუსეთის საგარეო პოლიტიკის მეორე თავისებურება, კერძოდ, მხოლოდ ოფიციალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობის სურვილი, ერთობ ძნელი გასაგებია.

ამ შემთხვევაში თვალში საცემია ე.წ. „გადატანის“ მცდელობა, როცა თანამოსაუბრის ფსიქოლოგიური პორტრეტის დასახატად ნატურად... საკუთარ თავზე იღებენ. იმის გამო, რომ საუკუნეთა განმავლობაში უცხოელი დიპლომატების ურთიერთობა რუსეთის ოპოზიციასთან, ყოველთვის რუსეთის სუვერენიტეტის ხელყოფის მცდელობად აღიქმებოდა, თავად რუსეთის ხელისუფლებას თავი ამ პარადიგმის შესაბამისად უჭირავს და, აქედან გამომდინარე, საქმეს მხოლოდ უცხოელ „უფროსობასთან“ იჭერს. თან უკვირს კიდეც, როცა ისინი ასეთივე „პატივისცემით“ არ პასუხობენ.

რუსეთის (და არა მარტო მისმაძ მთავრობამ არა მარტო უნდა იცოდეს, რომ სხვა ქვეყნებში არსებობს პოლიტიკური ძალები, რომლებიც განსხვავდებიან ამჟამად ძალაუფლებაში მყოფთაგან, მზად უნდა იყოს საიმისოდ, რომ ეს ძალები მალევე შეიძლება მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, განსაკუთრებით კი ეს არადემოკრატიულ ქვეყნებს ეხება. მაშინ ხომ ადვილია ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკის სრული შეტრიალება, ასეთ შემთხვევაში კი ნებისმიერი „მოუქნელი“ მთავრობა მეტად უხერხულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს, რაც არაერთხელ მომხდარა კიდეც.

საერთაშორისო ექსპერტი პეტრე ილინსკი აღნიშნავს, რომ მთავრობა, (ნებისმიერ ქვეყანაში!ძ თუ პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმიანობას, კარგად უნდა ერკვეოდეს იმაში, რომ სხვა სახელმწიფოებში არის პოლიტიკური ძალები, რომლებიც მმართველი ძალისგან განსხვავებულია, ზოგჯერ დიდადაც.

ის, რომ რუსეთი ხშირად მეტად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში, დავას არ იწვევს, – მიაჩნია პოლიტოლოგს, რომელიც აღნიშნული მტკიცების გასამყარებლად ასეთ კითხვას სვამს: – აბა, სხვანაირად რით უნდა ავხსნათ რუსეთის ხელისუფლების დაუოკებელი სურვილი, მხარი დაუჭიროს სხვადასხვა რეაქციულ რეჟიმებს, სეპარატისტულ მისწრაფებებს? საგულისხმოა ისიც, რომ მსგავსი პოლიტიკური მისწრაფებების მქონე „ყოჩაღი ბიჭები“, საბოლოო ანგარიშით, ყველანი დიდი გაიძვერები არიან!

აღსანიშნავია ისიც, რომ საზღვარგარეთის ნებისმიერ ქვეყანაში, ოპოზიციური ძალების გარდა, მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ დიდი ბიზნესის კომპანიები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ბიზნესის წარმომადგენლები, უწინარესად, ყველა ქვეყანაში, საკუთარ ინტერესებზე ზრუნავენ, ხოლო საქველმოქმედო, რელიგიური, პროფესიული არასამთავრობო ორგანიზაციები, ძირითადი მოღვაწეობის გარდა, ხშირად საგარეო პოლიტიკის გატარების იარაღებადაც გვევლინებიან, რაც ზოგჯერ მათი ქვეყნებისთვის გაცილებით უკეთესი შედეგის მომტანია, ვიდრე ოფიციალური პოლიტიკა. საქმე კი ის არის, რომ **ნჯო**-ები ხშირად უკეთ იცავენ თავიანთი სამშობლოს ინტერესებს სწორედ იმიტომ, რომ ოფიციოზთან ნაკლებად აქვთ კავშირი, იმიტომ, რომ დამოუკიდებლები არიან. ასეთი ორგანიზაციები კი არც რუსეთში, არც ჩვენში, ფაქტობრივად, არ არსებობს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური მომენტია სხვადასხვა ქვეყნის კერძო პირთა უშუალო ურთიერთობები, მათი პირადი კონტაქტები. ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც რუსეთისთვის, რომელსაც ყოველწლიურად უამრავი ხალხი სტუმრობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ასევე სამხრეთ კავკასიისთვის, სადაც რამდენიმე მინავლებული რეგიონულ-სეპარატისტული კონფლიქტია (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, ყარაბაღიძ, რომელთა მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად ნებისმიერი შესაძლებლობა, რაოდენ მცირეც უნდა იყოს, მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული.

საბოლოო ანგარიშით უნდა ითქვას, რომ სულაც არ არის აუცილებელი, რომ ყველა საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტის მიღწევა მხოლოდ უმაღლეს დონეზე იქნას მიღწეული. შესაბამისად, ნაკლებგონივრული იქნებოდა ჩვენს მიმართ ორი-სამი (გნებავთ, ათიძ სხვა ქვეყნის პრეზიდენტისა თუ პრემიერ-მინისტრის კეთილმეგობრული განწყობის იმედად ყოფნა – ნუ დაგვავიწყდება, რომ 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ, ამიტომ, **საგარეო საქმეები ისევე, როგორც ბიზნესი და, ზოგადად, ეკონომიკა, გაცილებით უფრო მოქნილი პოლიტიკით უნდა წარიმართოს.**

**ოთარ ტურაბელიძე**

მე შაირი არ მინდოდა...

# „ბარბაროსი ერის“ „ბარბაროსი“ შვილის „ბარბაროსული“ შეხმიანება

(მეორე გვერდიდან)

კანადიდან ჩამოხეტებულმა ვინმე სომეხმა ლინგვისტმა რაფ ტიგრანიანმა ხომ იხილა თავისი მართალი თვალით, რომ ნამდვილად ასეა?! ჰოდა, მორჩა და გათავდა! თუმცა, „შემთხვევით“ კი არ შეუვლია, ყოფილ ჰოჯოვანგში, ზემოთქმული მკრეხელობის გამო, 2005 წელს უცნობებიათ სომეხთა თბილისის სათვისტომოდან (ესენი იმათი შთამომავლები ხომ არ არიან, ვინც საჭურისს გაუღო თბილისის კარი?ძ. მაშინ კი გასჭირვებია დაჯერება, მაგრამ ნანახს საით წაუვიდოდა?

ჩვენი სომეხი პარლამენტარი ბატონი ვან ბაიბურთი აღნიშნავს, 1930-იან წლებში იქ სომეხთა სასაფლაო იყო, ზოგმა ჭირისუფალმა გადაასვენა თავისი მიცვალებულები, მაგრამ ბევრი ნეშტი დარჩა და, კარგი იქნებოდა, ჯერ ნეშტები გადაესვენებინათ და მერეღა დაეწყოთ მშენებლობაო. მოიარებით, მაგრამ მაინც დაუჭირა მხარი თვისტომთ.

ავლაბრელი ვარ. „ბაზრის“, ანუ 84-ე საშუალო სკოლა დავამთავრე 1969 წელს. შატალოზე ჰოჯოთვანგშიც ხშირად ავდიოდით. სადღა იყო სასაფლაო, ბატონო ვან?! ბაღი იყო, დიდი ბაღი, სადაც ტიგრან გელოიანის პაპა ყომარს აგორებდა! ნამუსიც კარგი საქონელია! რაც თბილისში ძველი ბაღებია, თითქმის ყველა ყოფილი სასაფლაოა. ახლა, როგორა გგონიათ, კულტურულ დონეზე დასულ არქეოლოგთა სიფრთხილით ექცეოდნენ ამ ძვალშესანახებს თუ ბულდოზერებით გადაუვლიდნენ?! გაიარეთ „ჩელუსკინელების“ ხიდზე, მოსაპირკეთებულ ქვებზე ახლაც იკითხება საფლავის წარწერები. და მაინცდამაინც სამების ტაძრის აშენებამ დააქცია სომეხთა სასფლაო, შეურაცხყო მათი საძვალეები?! თუ იმ კანადელმა არ იცის ეს, იმ ცრუ და ერების გამთიშველმა თბილისის სომეხთა სათვისტომომ და თქვენც ხომ მშვენივრად უწყით ეს? ბოლოს და ბოლოს, საპატრიარქოსთვის მიგემართათ. ნუთუ, წამით მაინც შეიძლება იფიქროს თუნდაც სხვა კონფესიის წარმომადგენელმა, რომ ქართული წმიდა, სამოციქულო, კათოლიკე მართლმადიდებელი ეკლესია იცრუებდა ან მიცვალებულთა ხელყოფას იკადრებდა? რისი ღირსნი ხართ თქვენ ყველანი, ვინც თვით წმინდა ეკლესიას შეურაცხყოფთ? გაუწყრეს ყველას ამ მიწის მადლი, ვინც უმადურად ვერა დაინახა რა!

ბატონმა ვანმა, იმ ვიღაც არნო სტეპანიანმა ჩექმის ყელივით რომ გადმოაგდებს ხოლმე ენას, ვიჩაგრებით საქართველოშიო და ქვემძრომულად შემოგვიგდებს ხოლმე, რა მოხდა, სომხებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში მეორე სახელმწიფო ენად სომხური რომ შემოვიღოთ და ავტონომიაზეც გადაგვიკრავს ხოლმე, რატომ ენაც არ დაასველეს, არ გვეკადრება ქართველთა ბარბაროსებად მოხსენიება, ჩვენო სომხეთელო ძმებოო?!

რაღა ფასი აქვს, ბატონი ვანის სატელევიზიო გაცხადებას, არ გაუვათ იმათ, ვისაც ორი ერის გადაკიდება უნდაო, თუ თავადაც იმ ტიგრანიანის ნათქვამს იმეორებს, ოღონდ პირდაპირ არ გვიწოდებს ბარბაროსებს და ჩვენს ეკლესიას შეურაცხყოფს?

**ძაღლი მიაკვდა იმას სულში, ვისაც არათუ ერების, ორი ადამიანის გადაკიდება მაინც უნდოდეს! ეგებ, მეც ველარ მოვზომე, მაგრამ ემოცია ფაქტებზეა დაფუძნებული, უტყუარ ფაქტებზე, მაგრამ თუ მაინც ვინმეს ეწყინა, სხვას რას ელოდა ბარბაროსი ერის ბარბაროსი შვილისგან?**

**კონსტანტინე გურგენიძე**

ინფორმაცია

## პირველად თამარაშენში

**თამარაშენის კინოთეატრის შენობაში მუშაობა დაიწყო პირველმა საერთაშორისო კონფერენციამ სახელწოდებით „საქართველოში მიმდინარე რეფორმები – ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“.**

**კონფერენცია ქართული მხარის ინიციატივით ტარდება. მას ესწრებიან საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ამასთან, კონფერენციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა რუსეთის ელჩმა ვიაჩესლავ კოვალენკომ.**

**როგორც სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში დავით ბაქრაძემ განაცხადა, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც რეგიონში ასეთი ტიპის კონფერენცია ტარდება. მინისტრის თქმით, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები ოფიციალურად ეწვივნენ თამარაშენს.**

**კონფერენციაზე ხაზგასმით ითქვა, რომ კონფლიქტის დარეგულირების თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეალური და ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებას.**

**როგორც გამომსვლელები აღნიშნავენ, კონფლიქტების დარეგულირების თვალსაზრისით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია, რადგან თავად ინტეგრაციის პროცესი ერთ-ერთი მყარი გარანტი და საშუალება იმისა, რომ რეგიონში იყოს სტაბილურობა, კონფლიქტები კი მშვიდობიანად მოწესრიგდეს.**

**კონფერენციაში მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტის წევრები, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი მანჯგალაძე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ელენე ხოშტარია, საქართველოს ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.**

## ქალთა წარმომადგენლების აქცია

**საქართველოში მშვიდობისა და კონფლიქტების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ქალთა წარმომადგენლობამ გმირთა მოედანზე სამშვიდობო აქცია გამართა.**

**ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალთან ინვალიდ-მეომართა და დაღუპულ მებრძოლთა მეუღლეთა კავშირის თავმჯდომარე მანანა მეზუკეს ინიციატივით გუშინ შაოსანი დედებიც შეიკრიბნენ. მათ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლებს.**

**მანანა მეზუკეს განცხადებით, საჭიროა კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით მოგვარება და აუცილებელია, რომ მოლაპარაკებებში ქალებმაც მიიღონ აქტიური მონაწილეობა.**

**ანალოგიური აქცია თბილისის გარდა გორში, ცხინვალში, ქუთაისში, ახალციხესა და გალშიც გაიმართა.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 183. შაბათი, 22 ნოემბერი, 2007 წელი.

# წუთისოფელი

ძვირფასი ფრიდონი მეტისმეტად შეშფოთებულია, რომ ბოლო დროს მთიან აჭარაში შესამჩნევად ძლიერდება ისლამის ზეგავლენა — მეზობელი ქვეყნის გარკვეული ძალების მიერ ხდება ხელმოკლე ოჯახების ახალგაზრდობათა გადაბირება



## გულწრფელი წიგნი

### მცირე წინათქმა

*მემუარებით ქართული მწერლობა არც ისე მდიდარია და ამდენად ძალზე გამიხარდა, როცა, ორიოდე წლის წინათ, ჩემმა უფროსმა მეგობარმა ფრიდონ ხალვაშმა მითხრა, გადავწყვიტე, ჩემი ცხოვრების წიგნი დავწერო და სათაურიც შერჩეული მაქვს — „ომრი“ — აჭარაში შემორჩენილი ეს სიტყვა ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს იმ შინაარსს, რაც ჩაფიქრებულ წიგნს ექნებაო.*

*ფრიდონ ხალვაშს დიდი და მღელვარე ცხოვრება აქვს გამოვლილი, არაერთი ეპოქალური მოვლენის, ტრაგედიისა თუ სასიამოვნო ამბის მომსწრეა და დარწმუნებული ვიყავი, მის მიერ განცდილი და დამახსოვრებული უთუოდ მხურვალე გამოძახილს იპოვიდა მკითხველთა გულში. ფრიდონ ხალვაშის ცხოვრებაზე ბევრი რამ ვიცით მისი ადრინდელი, სანახევროდ დოკუმენტურ მასალაზე აგებული რომანიდან — „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“, მაგრამ წინამდებარე წიგნში მეტი ინტიმურობითა და სიცხადით არის გადმოცემული მშობლიური გარემოს მადლი და ცხოველმყოფელობა. ზომიერად და მუდამ თავის ადგილას არის გამოყენებული აჭარის დიალექტის თავისებურებანი.*

*მომხიბლავი უშუალობით, სახიერადაა მოთხრობილი ათასი მოულოდნელობით აღსავსე ცხოვრებაში გადადგმული პირველი ნაბიჯები, სიყვარულით შექმნილი ახალგაზრდა, პატიოსანი ოჯახის ფეხზე დადგომა, პირველი დაბეჭდილი ლექსების სიხარული, რის შემდეგაც ფრიდონ ხალვაშმა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი დიდ ქართულ მწერლობაში და გვიჩვენა მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ვეთაყვანებოდეთ და ვუვლიდეთ ყველაზე წმინდა საუნჯეს — ქართულ ენას.*

*განსაკუთრებით შთამბეჭდავი, საინტერესოა ქართველ მწერალთა ჯგუფთან ერთად თურქეთში ჩასული ფრიდონ ხალვაშის შეხვედრები დიდ მამულიშვილთან ახმედ მელაშვილთან, რომელიც საქართველოს მტრებმა ვერაგულად მოკლეს. ადრე, საბჭოთა ცენზურის პირობებში, შეუძლებელი იყო იმ დეტალებზე საუბარი, რასაც „ომრის“ ავტორი ამჟამად ასე დაწვრილებით გვამცნობს.*

*ასევე ბევრ საგულისხმო სიმართლეს ვგებულობთ შუა აზიაში გადასახლებულ, ჩვენდა სავალალოდ, გამუსლიმანებულ ქართველებზე (მესხებზე), რომელთა მიმართაც ადრევე იყო დაშვებული საბედისწერო შეცდომები (მათთვის თავიდანვე უნდა გაგვეხსნა ქართული სკოლები), დროულად ვერ ვუპატრონეთ და, ბოლოს, მათი შემზარავი ტრაგედიის მოწმენი გავხდით. ერთი ტვინსნეული კაცის წამოსროლილი აბსურდული სახელწოდება „თურქი-მესხები“, დემაგოგიის მიზნით, აიტაცეს ჩვენმა მოძულეებმა — უზბეკეთსა და ყირგიზეთში გადასახლებულთა უმრავლესობა სისხლით, წარმომავლობით ქართველები იყვნენ და ცალკეულ შემთხვევებში მეტი წინდახედულობა და გონივრულობა რომ გამოგვეჩინა, მათი მშობლიურ წიაღში დაბრუნება შესაძლებელი იყო.*

*ძვირფასი ფრიდონი მეტისმეტად შეშფოთებულია, რომ ბოლო დროს მთიან აჭარაში შესამჩნევად ძლიერდება ისლამის ზეგავლენა — მეზობელი ქვეყნის გარკვეული ძალების მიერ ხდება ხელმოკლე ოჯახების ახალგაზრდობათა გადაბირება. ამ არასახარბიელო მოვლენის თაობაზე მან „საქართველოს რესპუბლიკაში“ საგანგებო წერილიც გამოაქვეყნა.*

*დასასრულ, ერთი უნდა აღვნიშნო — ეს შესანატრად გულწრფელი წიგნი, ფრიდონ ხალვაშის ნაფიქრ-ნააზრევი სიხარული თუ გულისტკივილი, მთელი საქართველოს საჭირისუფლოდ და გასაგონადაა ნათქვამი.*

ემზარ კვიტაიშვილი

## ფრიდონ ხალვაში
# „ომრი“
### დოკუმენტური მოთხრობა



*„ომრი“ — სიცოცხლე, ერთი კაცის ცხოვრება, ადამიანის სიცოცხლის მთელი ხანგრძლივობა, წუთისოფელი, ღვაწლი, ამაგი. „ოი, რა ტყვილაი გიმიარა ოზდაათი წლის ომრმა“ (გაზ. „საქართველო“, 1916. №248); „მე ჩემი ომრი მოვჭამე, აწმისიქით, თქვენ თავზე იფიქრეთ, ბაღნემო!“ (ნიკო მარი — ჭან. გრამ. ომური).*

*(„ქართული ენის აჭარული დიალექტი“, შ. ნიჟარაძე, 1971).*

*თუმცა არაგულიდანაა ეს სიტყვა, აჭარა — ტაო-კლარჯეთში ისე გაჩვენებურებულა, იქაურთა საუბარში ხშირად გაიგონებ, სანამ ლექსიკონში არ ჩავიხედე, არც მეგონა, თუ იგი უცხოური წარმომავლობისა იყო. „ომრი“ — ჩვენებურების ქართულია.*

*ავტორი*

20.08.05

დილიდან წვიმს. მიწა სიამოვნებისაგან გასუსულა. მაღლა სახურავი მღერის. დაბლა სიმინდები ფურჩულებენ. სახლი და მე გორაზე ვართ, მარტონი. აგვისტოს წვიმის სიმყუდროვე ჩუმია ნატვრის ცრემლივით.

მოწყენილი არ ვარ, მაგრამ რაღაცნაირი სევდის ფიქრი, ღამის პეპლასავით, თავს დამფარფატებს. მთხოვს, მეძახის, მეკიდება, — წამოი, წამომყევი, შენი ომრი ერთად მოვიარ-მოვინახულოთო. შენ ახლა აქ ხარ, სადაც შენმა ნენემ, აიშემ, ფეხი პირველად მიწაზე დაგაბიჯებინა და საიდანაც, მერე, ქვეყანაზე ასიარულდიო.

აგერაა მამაშენის (ბაბასძ დანატოვარი ყანა-ბაღჩა, ლეღვის, ბიის, დემირა ვაშლის ხეები. ხომ გახსოვს, განსაკუთრებით აგვისტოს წვიმაში, მამაშენი, ყანა-ბაღჩას ფეხშიშველა (მიწა რომ სხეულით ეგრძნოძ შემოივლიდა.

შენი ომრი შენი ყანა-ბაღჩაა. აგერაა შენი აგვისტო, შენი შემოდგომაც და... შენი წვიმაც. წამომყევი, ან მე წამოგყვები. ერთად მოვიაროთ შენი ომრის ზოგი კუთხე-კუნჭული მაინც, — მეუბნება ფიქრი.

— კაი, წამოვალ, მირჩევნია შენ წამოგყვე, — ვეუბნები.

— მაშინ, უფრო იოლია, კალმით იმოგზაურებ, — მპასუხობს.

ვგრძნობ, ფიქრი და მე მოვრიგდებით.

ეს კი, რასაც ვწერ, არც მემუარია, არც ავტობიოგრაფია, არც რომანი.

ეს, უბრალოდ, საკუთარ ომრთან საუბარია. იგი ყველასი გაკვეთილი ვერ იქნება, თუმცა, ბევრ ჩვენებურს, ალბათ, ცოტათი გამოადგება.

გულში კი,ვითომ სხვაგან ვარ, ჩემთვის ვჩურჩულებ: ღირდა?.. ღმერთო ერთო, დიდო გამჩენელო, გმადლობ, რომ არ მაცოდინებ, როდისაა აღსასრული ჩემი.

მართლაც, ამ დუნიაზე ეს ერთადერთი არცოდნაა, ყველა ცოდნას რომ გირჩევნია.

## გაღვიძება სექვზე

ბუხრიანში ორი სექვია — გაღმა-გამოღმა. ორივეზე თითო ძველი, „არდაჰანიდან მოტანილი ხალი“ აგია.

იასის (ხუთი ნამაზი: — საბაქნამაზი, ეულა, იქინდი, აქშანამაზი, იასიძ ლოცვის შემდეგ, ნენეი ლოგინებს გაშლიდა (დააგებდაძ. ფითილამოწეული ჭრაქი (ქორლამპაძ ბუხარში შიგნით ეკიდა, ან კვარი ენთო. ნაიასევს მარტო ნაკვერცხლები ჭინჭვალობდა ოჯალში (ბუხარიძ.

ღამით მხოლოდ ნენეს ზურგზე მიმხობილ-მიბღაჭებულს ჩამეძინებოდა. დილა-იალუნზე, საფერხეს, გამომეღვიძებოდა.

მოდი, ახლა, გახსენების პირველ დღედ იმ გაზაფხულის ერთ დილას ამოვირჩევ, რომელიც, რატომღაც, ძალიან დახატულად მაგონდება.

უშუშო ფანჯრის ღრიჭოში ახალამოსული ბრიალა მზე გაჩრილიყო და სხივების ყირმიზი თითები ჩემი თვალებისკენ გამოეშვირა. მე საბანქვეშ ვეგდე ისევ, სექვზე. მზესნა აასტრა ლოგინიდანო, — ბაბაი მეტყოდა, — თვარა მემრე დღის იღბალებს სხვები მოგასტრობენო. მარა საბანქვეშ ნენეს დატოვებული სითბო ადვილი დასათმობი როდი იყო.

შინ ალარავინაა. „ვოიში, ვოიში“, — ხარებს მიდენიან. ბაბას ხმას არ გავდა. რაღაცა სხვანაირი ჭახე ხმა იყო. აა! — მივხტი, მევლუდს, ჩემ უფროს ძმას მიანდო ალბათ ჯილდა ბაბამ.

„გულიაღის“ (სუნამოსძ მსუბუქი სუნი მეცა. თანაც დერეფნის იატაკის ძელებიც აკრაჭუნდნენ.

გადამძვრალი საბანი წევიფარე. ვხედავ — ჭეჭელაიაზმიანი გოგოები მომაცვივდნენ, გადამაძრეს საბანი და უნიფხური გამომათრიეს, ფეხზე დამაყენეს.

კისკისით მომიგანდაგანას. „ჰატლატიტაი-შურდულიტაი“ მომიმღერეს და თითების ტკაცუნით აცეკვდნენ.

ყაზმირის დაფრეწილი შარვალი მონახეს, ჩამაცვეს. დამკოცნეს, დამკბინეს. ისინიც ხომ პატარები იყვნენ, ჩემზე სამიოთხი წლით უფროსები. ლეჩაქებს ძენერებზე ცინცქილები უხდებოდა; ჭრელი ღაზლის პაიჭები და ყირმიზი წუღა-ჩაფულიები ფეხებზე; რუებად დაპლესილ კაბებზე წენგოსფერი ფუსკულებიანი სარტყელები შემოეკოჭათ.

მახსოვს, ყანიდან დაღლილი მამაჩემი რომ ამოვიდა. ბადიშების გულის მოსაგებად, საჯი (კეცზე დასახური ღადაროს დასაყრელი თუნუქიძ აიღო და დაკორძილი ხელებით განდაგანა დაუდაფდაფა.

* * *

მევლუდი და ფატი, ჩემზე კარგა უფროსები, სკოლაში უკვე დადიოდნენ. გავეტირებოდი დილაობით, მეც მინდა-მეთქი. ერთხელ, ჩუმად, შორიახლოდან ავედევნე.

ისე, შინ, და-ძმის რვეულებში, ხან მეც ვიქექებოდი. ანბანის დაწერასაც ვაფერებდი.

სკოლის წინ ქეთო მასწავლებელი დახვდათ. ეს ვინ მოიყოლიეთო, იკითხა. მოიხედეს, ძმა გამიჯავრდა, — შინ წეეთრიე, თვარა...

— არა, იყოსო, — მასწავლებელმა. მეც ერთ ცარიელ მერხზე დამსვა, იმდღინდელი ნაჯღაბნ-ნაწვალები, ჩემი გამოყვანილი ანბანები, ცალკე, სქელ ფურცელზე გადამატანინა. ისინი, მერე, ნენემ მახასით (მაკრატელიძ ცალ-ცალკე გამოჭრა, ძაფზე აასხა და, ჩემი დახატული ქართული ანბანები ყელზე ჩამოიკიდა.

## ჩემი ოცდაჩვიდმეტი

სამშობლო, უფრო, — აჭარა, ჩემსავით უბრყვილოდ, მორჩილ-მიმნდობად წარმომედგინა. გულს ბწკენდა მისი სიბეჩავე, მიუსაფრობა, უცოდინრობით გამოწვეული სიმორცხვენი.

1937-ის გაზაფხული იქნებოდა. ხიდის ცხმორისში ამოვიდა ზექერია ბერიძე. აჭარის „თაბაქსირიოს“ ხელმძღვანელი. სოფლსაბჭოდან ხალხი შეიყარა „დიდი კაცის“ დასანახად. ჩვენ, შვიდწლედელი ბალღებიც, შევერიეთ იქმყოფთ. ზექერია „ემადინით“ მოგრიალდა. ხაკის გალიფე-კიტელიაზიაცკებში იყო. თავზე ბუხრის ქუდი ეხურა. ნახა თამბაქოს მიმღები წერტი, შეიარა საბჭოშიც. იქიდან გამოსული, კიბეზე შედგა, ქუდი მოიხადა, შეკრებილთ მიესალმა, — გამარჯობა თქვენი, მეზობლებოო. მერე გვერდით ბერიკაცები შენიშნა, იმათ ცალკე — „სელამალეიქუმო“, გასძახა. ადიდა საბჭოთა კავშირი, პარტია, აჭარის ბედნიერი მომავალი. კაის ორატორობდა. იმ წელიწადს, მაშინდელი აჭარის მთელი ზემდგომობა, ზექერია ლორთქიფანიძის მეთაურობით (იმ ჯგუფში მოხვდა ჩემი მოწონებული ზექერია ბერიძეცძ, დახვრიტეს.

* * *

1937 წლის 12 დეკემბერი საბჭოთა უზენაესი საბჭოს პირველი არჩევნები იყო. მაგონდება გაზეთში წაკითხული გრიშაშვილის ლექსის კუპლეტი ბელადისადმი:

**„მე არ ვიქნები**
**თორმეტში მოსკოვს,**
**როცა ხმას მოგცემს**
**შენი უბანი,**
**როცა შენს სახელს**
**აზიზად მოქსოვს**
**ლექსი, სიმღერა და საუბარი“.**

**მაგრამ, როგორც უკვე წერილობითაც დასტურდება, ყველაზე დიდი დაცარიელება აჭარისა რუსების შემოსვლისას მოხდა**



◉ გულწრფელი წიგნი

რომელიღაც სოფლელი დეპუტატობის კანდიდატი შვიდწლედშიც შეგვახვედრეს და, მეც, მეექვსეკლასელი, მიმასალმეს. შიშით, მთლად ჩავშავდი. მაგრამ პირველ, გაჭირვებით ამოცოდვილებულ სიტყვას, უცებ თავგანწირულად მივადევნე სხვა, უფრო ადვილად ნაპოვნი.

შემდეგ, შეხვედრა იყო ისმაილ ფუტკარაძესთან და თბილისელ გიორგი სტურუასთან. სტურუა მუშურ-გლეხურად, შელახულ-გახუნებულ კოსტუმში იყო. დანდალოშიც წამიყვანეს. იქ მიტინგი გარეთ, ეზოში გამართეს.

რვეულის „ჟვერზე" წყალა მელნით ნაწერი უცბად მოვარდნილმა წვიმის წვეთებმა სულ მიმომიდღაბნა. ვერც ერთ ასოს ველარ ვარჩევდი. მეგონა, ციცაბო კლდის წვერზე ვარ და უფსკრულში უნდა გადავიჭრამეთქი. ზღვა ხალხი შემომცქეროდა, თავს მაღგანან ქვეყნის იმხელა კაცები. რა ვქნა, ვინ მომეხმარება?

მაგრამ ვაიძულე სტრიქონები სიტყვებად დაკაკლულიყვნენ. ბოლომდე ჩავრიხინდი, გადავრჩი!

## მშვიდობის ბოლო გაზაფხული

1941. მარტში ამბავი დაირხა, სოფლის ბიჭებს რკინიგზის სასწავლებელში ითხოვენო. კოლექტივის გამგეობა 300 მანეთს გამოუწერს, ვინც წავაო და, ისიც გარკვევით ითქვა, ვინც სარკინიგზო სკოლაში წავა, ტანსაცმლით და კვებით უზრუნველყოფილი იქნებაო.

ძმამ მითხრა, მე სადაცაა გამოვრიგდე უნდა, ბაბა-ნენესთან შენ უნდა დარჩე, უნდა ოჯახს მიხედოო. მაინც ჩაველი რაიკომში და წამსვლელთა სიაში ჩავეწერე, ბანკიდან გამოტანილი ასი ცალი სამმანეთიანის „პაჭკა" ხელში დავიჭირე და ქედის ხიდზე, დანარჩენ ცხრა ბიჭთან ერთად, ჩვენს წასაყვანად გამოყოფილ, ძელის საჯდომებიან „გრუძავიკზე" მოვთავსდი. ბათუმის ვაგზლიდან იმავე საღამოს მატარებელში ჩაგვსვეს (საით მივყავდით, არ გაგვიმხილესძ.

გაგვითენდა სოხუმში. იქაც ძელის საჯდომებიან „გრუძავიკით" კაიხანს ვიჯაკუნეთ და ეშერაში ჩამოსვლა გვიბრძანეს. ზღვის ახლო მწვანე ფერდობზე ბრეზენტის რამდენიმე კარავი ჩანდა.

უამრავმა ყმაწვილმა მოიყარა თავი საქართველოს ყველა კუთხიდან. დავრიგდით, დავიკავეთ საწოლები და ველოდებით, სადაა სკოლის შენობა. მეორე დილით კარგი ახალტარგაყრილი ნიჩბები, წერაქვები, ზოგსაც – „ატბოინიმალატოკები" დაგვირიგეს და, ახალგანათხარ გვირაბში შეგვამწკრივეს. სოხუმ-სოჭის რკინიგზის გაცხარებული მშენებლობა იყო.

მთელი აპრილ-მაისი გვირაბში, ხან ჩამონგრეულ ქვალორღს ურიკაზე ვყრიდი, ხან წერაქვს ვიქნევდი, ხანაც ქვის სანგრევ ავტომატ-ჩაქუჩზე ვიყავი.

მაისის პირველი კვირაც მიიწურა და, მისავათებული, საწოლიდან ველარ ვდგები. ავად ვარ. მოდის ინსტრუქტორ-ბრიგადირი, რუსი. ექიმი მოიყვანა, გამსინჯა, გადამაბრუნა, გადმომაბრუნა და ბრიგადირს ეუბნება: – „ვრიოტ, უ ნევო ვსიო ვ ნორმე". წამომაგდო ბრიგადირმა და ისევ გვირაბში შემდენა. ღამით წერილი მივწერე „სოფლსაბჭოს" მდივანს. მამაჩემის გონჯა ყოფნაზე ექიმის დამოწმებული დეპეშა მომაშველემეთქი. ასაშენებელმა, მომიხერხა ასეთი დეპეშა.

უბედურება ის იყო, ჩემი ის ჩანაფიქრი და მამაჩემის ნამდვილი ავად გახდომა ერთმანეთს დაემთხვა. დეპეშა მართლაც მოვიდა, მარა მთელი კვირა მიმალავდნენ თურმე.

მერე სხვა რაღაცათა შესამოწმებლად მოსულნი დეპეშას წააწყდნენ. რატომ ადრესატს არ მიეცითო და დატრიალდა ამბავი. მომნახეს. თუ წახვალ, დილით სოხუმამდე წარმომადგენელს გაგაყოლებთო. დაბრუნებაზე ხელწერილი დამადებინეს და ხელბარგიდან მთავარი რამეები დამატოვებინეს.

სოფელში, ალმართში, ხმაურია. ვხედავ, რიგ-რიგობით, ზურგზე მომხობილი მამაჩემი ჩამოყავთ. საცოდავი თვალებით შემომხედა. ფაშარ, წვერებიან ყბაზე ვაკოცე, იცრემლებოდა.

ოპერაციაზე უარს ამბობს. ვნახე. – ბაბი, – ვეუბნები, – ექიმს დაუჯერე. ყურში ჩამჩურჩულებს, – ბიძაშენი, რესულაი, ოზურგეთში წევიდა, წამალინა ჩამეიტანოსო. საღამოს, მართლაც, ორი ლიტრიანი ბოთლით რაღაცნაირი ნაყენი ჩამოვიდა. მთელი ღამე სვა. მივედი დილით, ბაბაი შინ წასასვლელად მოწყობილ-მოკალიბებული შემხვდა. კარქა ვარო.

რა წამალი იყო ასეთი? (1954-ში ისევ მოუარა მამას ისეთივე შეკავება. ისევ წავიდა ოზურგეთს რესულა, მაგრამ ცარიელი დაბრუნდა, მეწამლე გარდაცვლილა. თავის ვაჟიშვილს კი წამლის საიდუმლო არ დაუტოვა. ჰოდა, მამაჩემი იმ წელს დაიხარჯაძ.

18 თუ 20 ივნისს (1941-იაძ ქედის რაიკომის პირველ მდივანთან დამიბარეს. კარლო ლომაძე იყო. კარი შემიღეს, შევედი. მას ჩემკენ არც გამოუხედია. ახლო მოდიო, – დაიძახა.

– შენ სადაც იყავი, იქ რატომ არ მიდიხარ, – მეკითხება.

– მამა ავად მყავს.

– მერე, შენ მოარჩენ, თუ?

– ვერა, მარა, რა ვიცი... რამე რომ...

– „რამე რომ"-დე აგწევენ, იცოდე (ე. ი. დაგიჭერენო).

– რანა ვქნა, აბა? – ვიბნევი.

– ადი ახლა სახლში, მოემზადე. ხვალ დილით ამოგაკითხავენ. გაიგე?!

– კი!.. წაველი.

გათენდა 22 ივნისი. დილით პირის დასაბანად, ეზოში, ღარის წყალთან მივირბინე. ამ დროს ჩექმების დრაგა-დრუგით კოსტოხადან ჩამორბის წითელარმიელი, წელზედაგახდილი (იქ საჰაერო-სამეთვალყურეო პუნქტი იყოძ ალტაცებით მეუბნება, – ნა რასსვეტე, სეგოდნია... ერთი სიტყვით, გერმანიამ ომი დაიწყო ჩვენთანო. მეო, – მომახარა, – ახლავე ფრონტზე მაგზავნიანო. აი, ვაჩვენებ მაგ „მერზავცებსო".

შეიშხეფა პირსახეზე ცივი წყალი და ჩექმების ბრახუნით ისევ აირბინა ალმართი. რაიკომიდან ჩემს წასაყვანად აღარავინ ამოსულა.

უმეტესობა მამაკაცებისა გაიწვიეს. სოფლსაბჭოში მარტო თავმჯდომარე დარჩა. შვილი ფრონტზე ჰყავდა.

ოქტომბრის მიწურულს, ჩვენს ეზოში ძახილი გაისმა. საბჭოს თავმჯდომარე, მევლუდ კეკელიძე იყო. შინ არ შემოვალო, მეჩქარებაო. მამაჩემი გარეთ გაიყვანა და უთხრა: – იშიღავ, შენი ბიჭი ბაღანაა, მარა წიგნის ბიჭია და გამატაი ჩემთან, საბჭოში ვამუშავებ. ბაბას გაუკვირდა, შეშინდა.

– მუუფერებ ყოლიფერს. ისტავლის, თან ისაქმებს, მემრე... – დაამშვიდა საბჭოს თავმჯდომარემ.

1941 წლის 1 ნოემბერს სოფლის კლუბ-სამკითხველო ჩავიბარე.

მევლუდ კეკელიძე! სამოცს კარგა გადაცილებული, თხელი, მოძრავი, მუდამ წესრიგში მყოფი, თავდაჯერებული, არდამთმობი, კუშტი, პრინციპული, სამართლიანი, სახელმწიფო ინტერესების ერთგული, ნაყვავილარი, ხმელი, მზედაკრული სახე, რომელსაც მჭრელად მოციმციმე თვალების სინათლეები აცოცხლებდა. გლეხობისა და სოფლის ინტელიგენციის თავგადადებული ძომაგი. კომუნისტური პარტიის საქმეში გულგრილთა მიმართ მუდამ ულმობელი.

ერთი წყვილი ძალამანი და ღაზლის წინდები პორთფელში, ან საბჭოში მაგიდის უჯრაში ედო. როცა სოფლებში ფეხით წავიდოდა, ძალამანიც დასჭირდებოდა. სჭიროდა კი – თითქმის ყოველდღე. მთელი ომის განმავლობაში სოფსაბჭოს წინამძღოლობდა. გადასახადების აკრეფა, ხვნა-თესვა, მოსავლის აღება, გაჭირვებულთა შველა, სახელმწიფოს მძიმე დავალებათა დროზე განაღდება. ეს ყველაფერი მისი დღე-ღამური სამუშაო იყო.

მახსოვს, 1942-ის ზაფხული. ყირიმის ფრონტიდან მისი შვილის თანამებრძოლისაგან, წერილი მოვიდა. ოსმანი ცეცხლის ხაზზე ჩემს გვერდით დაეცაო. თვითონ დავკრძალეო. დაცემული შვილის ჯიბიდან ამოღებულ სურათს, შინგამოსაგზავნ ბარათს და მანდატს ოჯახს უგზავნიდა. ეს წერილი ჯერ მხოლოდ უმცროს შვილს, მურადს, ებარა. მალე მამამ, მევლუდმა, გაიგო. მამაცურად შეძლო გაძლება. წერილს გულის ჯიბით ომის დასრულებამდე ატარებდა.

## ფრონტი ზურგში

უნდა ითქვას, მაშინ, ომში, ფრონტზე, ნამდვილად არ შეიძლებოდა ის გაჭირვება ყოფილიყო, რაც ჩვენში, ანუ ზურგში იყო. პურის ცხობა ხიდის ცენტრში შეწყდა; აღარც პური, აღარც ფქვილი, აღარც შაქარი, აღარც მარილი.

სექტემბერში გათოვდა, ჭახე სიმინდები ჩალეწა. დილით მჭადის ნატეხიც აღარ იყო. შეწუხებული, დარცხვენილი მამაჩემი (მალულად გულში ამაყობდა, რომ შვილი მოსამსახურე ვიყავიძ, აკანკალებულ ხელს მხარზე მომითათუნებდა: – შენ წაი, ბაბი, მემრე რაცხაებს მოვგვი-მივგვი, გამვაფქვევ და პაწა ჭადპურას ჩამოგიტან, ჰაგრე?

მართლაც, მერე, თითქმის შუადღისას, კლუბ-ბიბლიოთეკის კარს, რომელიც სოფლსაბჭოს ფიცრულის ქვეშ, ბათუმხულოს შარაგზის პირას იყო, მამა მოადგებოდა, ილლიაში ნენეს გამოცხობილი (ხაპის, კარტოფილის, წიფლის ძერეჭის, ქატოსა და ძველი ნაფუნჩხების ნარევებისაგან მონაზელიძ ჭადის ნატეხით, რაც ჩითის ძველ ნაფრეწში იყო გამოხვეული. შიგ, ხანდახან, ერთი კაკალი მოხარშული კვერცხიც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ერთხელ, ჩემზე ადრე სამსახურში გამოცხადებულ საბჭოს თავმჯდომარეს (ვატყობდი, უხემსო იყოძ გავუბედე და ჩემი საგზალი შუაში გავუყავი.

– რატომ ძენი ახლა ეს, – მითხრა და ნაგვეხი მჭადი მიიჩოჩა ახლოს. მე მაშინვე განვერიდე, არ ეუხერხულოს-მეთქი.

კეკელიძე ალბათ გეგელიძე იყო თავიდან. ასე მოიფიქრია მაშინაც და ახლაც ასე ვფიქრობ.

ჩვენ, სოფელში, სხვა გვარისანი, ყველანი, მოსულები ვართო, მეტყოდა ბაბაი, ხალვაშები – ხალადან, „ჩანჩხალველები" (სანიკიძეებიძ – ჩანჩხალოდან, აბუქეთელოლლები (ბერიძეებიძ – აბუქეთიდან, სირაბიძეები – კვაშტიდან და სხვა.

პირველად აჭარა მაშინ დაიცალა, როდესაც ყველაზე ძველი, ქრისტიანული მხარე საქართველოსი, აჭარა (ანდრია პირველწოდებული ხომ აქ, „ქართლის ცხოვრების" დასტურითაც, ჯერ კიდევ ქრისტეს სიცოცხლეში, მოსულა და უქადაგნიაძ, 1620 წლიდან უკვე ოსმალოთა ხელში გადადიოდა. აი, მაშინ, აჭარიდან ნახევარზე მეტი მოსახლეობა ქართლ-კახეთისკენ დაიძრა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რჯულის, რწმენის გადასარჩენად. აი, ალბათ მაშინ, პირველად „დაიცალა" აჭარა. წასულთა თავისუფალ მიწას და სახლკარებს დარჩენილები იკავებდნენ.

მაგრამ, როგორც უკვე წერილობითაც დასტურდება, ყველაზე დიდი დაცარიელება აჭარისა რუსების შემოსვლისას მოხდა. გამუსლიმანებული ჩვენებურობა ახლა უკვე ოსმალოებმა დააშინეს, – რუსები მუსლიმებს ციმბირში გაგყრიანო. „ერთმორწმუნე" რუსეთი ეცადა, განსაკუთრებით ზღვისპირეთი გაეთავისუფლებინა ჩვენგან. ეს „ზღაპრული ალაგები" თავის გენერლებისთვის უნდა „სადაჩეებად" დაერიგებინა. ასი ჩვენებურიდან, საშუალოდ, სამოცდაათი, ოსმალეთისკენ „მუჰაჯირებად" გაყარეს. ეს 1878 წლის შემდეგ ხდებოდა.

(გაგრძელება იქნება)

◉ ინფორმაცია

### გაეროშ მშვიდობის დღე აღნიშნა

**გაერომ 21 სექტემბერს მშვიდობის საერთაშორისო დღე აღნიშნა.**

**ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა თავის გზავნილში მსოფლიოს მოუწოდა, რომ 21 სექტემბერს, ადგილობრივი დროით შუადღისას ყველა საომარი მოქმედება შეწყდეს და მშვიდობის საერთაშორისო დღეს წუთიერი დუმილით პატივი მიაგონ.**

**მშვიდობის დღის აღნიშვნის საზეიმო ცერემონიალი წელს ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინის ბაღში დაიწყება. პან გი მუნი გაეროს კეთილი ნების ელჩებთან, მაიკლ დუგლასთან, ჯეინ გუდალთან და ელი უეიზელთან ერთად „მშვიდობის ზარი" ჩამოჰკრეს.**

**„მშვიდობის ზარი" იაპონიამ გაეროს 1954 წელს აჩუქა. იგი მსოფლიოს 60 ქვეყნის მონეტებისგან არის ჩამოსხმული.**

**მშვიდობის საერთაშორისო დღე 1981 წელს დაარსდა.**

### რუსეთის ელჩი მოლაპარაკების ფორმატს არღვევს

**რუსეთის ელჩმა ვიაჩესლავ კოვალენკომ კომენტარი გააკეთა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ მონაწილეობს თამარაშენის კონფერენციაში.**

**როგორც ელჩმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, მსგავსი ღონისძიებები მოლაპარაკებათა არსებულ ფორმატს არღვევს.**

**– ვფიქრობ, ასეთი ტიპის ღონისძიებები ხელს არ შეუწყობს რეგიონში მშვიდობის დამყარებას. კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრს დავით ბაქრაძეს გავუგზავნე მოტივირებული წერილი, თუ რატომ არ ვილებთ მონაწილეობას კონფერენციაში, – აღნიშნა კოვალენკომ.**

**მან ასევე კომენტარი გააკეთა მოძრაობა „კოკოითი, ფანდარასტ"-ის შესახებაც და აღნიშნა, რომ სახელწოდებები, რომლებიც გაძევებას და მსგავს შინაარსს შეიცავს, არ შეიძლება ხელს უწყობდეს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას.**

**კონფერენციის სახელწოდებით – „საქართველოში მიმდინარე რეფორმები, საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები" თამარაშენში გუშინ გაიმართა. მასში საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 183. შაბათი, 22 სექტემბერი, 2007 წელი.

№ 183. შაბათი, 22 სექტემბერი, 2007 წელი.

# პირმოუკრავი იარა ჩვენი

● ფაქტია, რომ საქართველოს პროვოკაციებში ჩათრევა სურთ და ქართულმა მხარემ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ამ პროვოკაციულ ქმედებებს გავრცელების საშუალება არ მიეცეს



# SOS! სისხლიანი პროვოკაცია აფხაზეთში

## საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევის ტოლფასი ინციდენტი

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სვანეთისა და ზემო აფხაზეთის დამაკავშირებელი გზის მახლობლად მომხდარ ინციდენტს საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევად აფასებს.**

ამის შესახებ სამინისტროს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაშია აღნიშნული.

განცხადების მიხედვით, ხუთშაბათს, დაახლოებით 12.00 საათსა და 30 წუთზე აფხაზი სეპარატისტების შეიარაღებულმა დაჯგუფებამ ცეცხლი გაუხსნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები იძულებულნი გახდნენ, საპასუხო ცეცხლით ეპასუხნათ.



ქართული მხარე ადასტურებს, რომ ინციდენტის შედეგად დაღუპულია ორი აფხაზი შეიარაღებული სეპარატისტი, დაიჭრა ერთი, ხოლო ექვსი დაკავებულია.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის თქმით, სეპარატისტების შეიარაღებული დაჯგუფება ჯერ კიდევ 18 სექტემბერს შეამჩნიეს აღნიშნულ რაიონში, რაც, როგორც ჩანს, წარმოადგენდა ოპერაციას გზის მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩაშლისა და ზემო აფხაზეთში მცხოვრები სამოქალაქო მოსახლეობის იზოლირების მიზნით.

— ჩვენ კატეგორიულად ვგმობთ პროვოკაციისა და ძალადობის ამგვარ აქტებს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და გენერალური პროკურატურა ამჟამად იკვლევენ დაკავებულების ვინაობას. სავარაუდოდ, ისინი სეპარატისტული ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები არიან, — ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს მთავრობა დაუკავშირდა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის გაეროს დამკვირვებელთა მისიას მომხდარის სწრაფი შეფასებისა და შესაბამისი ანგარიშის მომზადების თხოვნით.

— საქართველო კიდევ ერთხელ გმობს პროვოკაციისა და ძალადობის ყველა გამოვლინებას ჩადენილს უკანონო შეიარაღებული სეპარატისტული დაჯგუფებების მიერ, რომლებსაც ასევე ეკისრებათ პასუხისმგებლობა 1993 წლიდან აფხაზეთის 500 ათასზე მეტი მცხოვრებლის ეთნიკურ წმენდაზე, — აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

## გალში დაცვას აძლიერებენ

**გალის რაიონის სოფლებში შეიარაღებული პირების გადაადგილება შეიმჩნევა, თუმცა იქ დამატებითი ძალები შეყვანილი არ არის.**

ამის შესახებ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენელმა თორნიკე კილანავამ განაცხადა.

მისივე თქმით, ზემო ზონის რამდენიმე სოფელში ე.წ. მილიციის თანამშრომლების გააქტიურებული გადაადგილება შეიმჩნევა, თუმცა ეს არ იძლევა დამატებითი ძალების შეყვანის შესახებ ინფორმაცის დადასტურების საფუძველს.

კილანავას ინფორმაციით, გვიან ღამით გალის რაიონში თათბირი გაიმართა, სადაც გადაწყდა, რომ რაიონის შესასვლელებთან დაცვა გაძლიერდეს. ამ დროისთვის გალის შესასვლელები ბლოკირებული არ არის.

## ინციდენტი საომარ მოქმედებაში არ უნდა გადაიზარდოს

**საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციაში“ იმედოვნებენ, რომ ქართული მხარე პროვოკაციას არ წამოეგება და კოდორის ხეობაში მომხდარი ინციდენტი საომარ მოქმედებაში არ გადაიზრდება.**

როგორც ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე აცხადებს, ქართულმა მხარემ სასწრაფოდ უნდა გამოიძიოს მომხდარი ფაქტი და ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციებს მიაწოდოს.

მისივე თქმით, ასეთ შემთხვევებში საერთაშორისო ორგანიზაციებს ძალიან მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ.

— ფაქტია, რომ საქართველოს პროვოკაციებში ჩათრევა სურთ და ქართულმა მხარემ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ამ პროვოკაციულ ქმედებებს გავრცელების საშუალება არ მიეცეს, — აღნიშნა ჩიხრაძემ.

მისივე თქმით, კოდორის ხეობის მოსახლეობა მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული.

ამასთან ფიქრია ჩიხრაძე აღნიშნავს, რომ რუსი სამშვიდობოები კონფლიქტის მხოლოდ კონსერვაციას უწყობენ ხელს და მათი გაყვანის საკითხი ვითარების გამწვავების დროს არ უნდა დაისვას. — საქართველოს ხელისუფლებამ ამ საკითხთან დაკავშირებით პოლიტიკური ნაბიჯი უნდა გადადგას, — მიიჩნევს დეპუტატი.

## ტყემალაძე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს ადანაშაულებს

**საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველების“ ლიდერი ზურაბ ტყემალაძე არ გამორიცხავს, რომ ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე მომხდარი ინციდენტი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ იყო დაგეგმილი.**

როგორც საუბრისას ტყემალაძემ აღნიშნა, ქართულმა მხარემ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ამ პროვოკაციებში არ ჩაებას. — თუმცა, იმავდროულად, ყველაფერი უნდა გააკეთდეს, რომ მსგავსი პროვოკაციები აღკვეთოს, — აღნიშნა დეპუტატმა.

რაც შეეხება რუს სამშვიდობოებს, ზურაბ ტყემალაძის განცხადებით, „იგი მიესალმება კონფლიქტის რეგიონში სამშვიდობოების, ოღონდ არა — რუსეთის ყოფნას“.

მისივე თქმით, რუსი სამშვიდობოების გაყვანისა და მათთვის მანდატის შეწყვეტის გადაწყვეტილება ქართულ მხარეს დიდი ხნის წინათ უნდა მიეღო.

## რისთვის გვყავს ჯარი და მთავარსარდალი?

**კონსერვატორები ზემო აფხაზეთის გუშინწინდელი ინციდენტის შეფასებისას რადიკალურები არიან.**

— გუშინწინდელი ინციდენტი პროვოკაცია იყო, მაგრამ არ მსურს, კმაყოფილი ვიყო მხოლოდ იმით, რომ პროვოკაციებს ღირსეული პასუხი გავეცით, — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტმა უნდა შეასრულოს დაპირება და როგორც აფხაზეთში, ისე ცხინვალში ტერიტორიული მთლიანობა აღადგინოს.



— იმიტომ ჰყავს ქვეყანას ჯარი, ამ ჯარს — მთავარსარდალი და იმიტომ იძლევა საქართველოს კონსტიტუცია ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად მათი გამოყენების შესაძლებლობას, რომ ეს საშუალებები გამოყენებულ იქნეს, — ამბობს ძიძიგური და დასძენს, რომ მოსახლეობამ უნდა იცოდეს, როდემდე შეიძლება იყვნენ კოკოითისა და ბაღაფშის მძევლები.

## ეს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული მტრული აქციაა

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კოდორში მომხდარი ინციდენტის გამო აღშფოთებას გამოთქვამს.**

როგორც პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ამ პროვოკაციის მიზანია საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩათრევა.

— აღნიშნულ პროვოკაციას განვიხილავთ, როგორც საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ მტრულ აქციას, რომელშიც, აფხაზ სეპარატისტებთან ერთად, რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, — ნათქვამია განცხადებაში.

ედპ მიესალმება და მხარს უჭერს საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების ადეკვატურ რეაქციას და მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, ჯეროვანი შეფასება მისცენ აფხაზ სეპარატისტთა და მის მხარდამჭერთა პროვოკაციულ ქმედებებს.

## ლაკობა ჩვენ გვადანაშაულებს

**საქართველომ აფხაზეთში მდგომარეობის გართულებით მორიგი რევანში აიღო. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმს“ აფხაზეთის დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანმა სტანისლავ ლაკობამ განუცხადა.**

მისივე თქმით, საქართველო პროვოკაციებს მოლაპარაკებების გაძლიერების პროცესს ამთხვევს.

— ანალოგიური მდგომარეობა ჯერ ცხინვალში შექმნეს, ახლა კი — სოხუმში, — განაცხადა ლაკობამ.

ლაკობას ინფორმაციით, აფხაზეთის ხელისუფლებას ეჭვი არ ეპარება, რომ ინციდენტი ზემო კოდორში მყოფი ქართული სამხედრო ფორმირებების მიერ იყო ინსპირირებული.

სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მსხვერპლი ქართულ მხარესაც არის, თუმცა ოფიციალური თბილისი ამაზე დუმილს ამჯობინებს.

## აფხაზები და რუსი სამშვიდობოები ერთმანეთს დაერივნენ

**აფხაზ მესაზღვრეებსა და რუს სამშვიდობოებს შორის გალის დაბალ ზონაში გუშინ შეიარაღებული დაპირისპირება მოხდა.**

ამის შესახებ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა რაულ ქირიამ განაცხადა.

მისივე თქმით, შეტაკების შედეგად არიან დაღუპულებიც და დაჭრილებიც.

## აფხაზეთში ოფიცერთა მობილიზაცია იწყება

**აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ ოფიცერთა შემადგენლობის მობილიზაცია გამოაცხადა. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „აზხაზია“ იუწყება.**

სააგენტოს ცნობით, მობილიზაცია 20 სექტემბერის შეიარაღებულ შეტაკებას უკავშირდება.

— ოფიცერთა მობილიზაცია ხუთშაბათს დაიწყო. საარტილერიო დანაყოფებმა და საჯარისო ნაწილებმა საზღვრებზე დაცვის გაძლიერების ბრძანება მიიღეს, — განაცხადეს აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის მინისტროში.

მისივე თქმით, აფხაზეთის შეიარაღებული ძალები სრულ სამხედრო მზადყოფნაში არიან.

— არც აფხაზურ და არც რუსულ მხარეს მომხდარი ინციდენტის გახმაურება არ სურდათ. ჩვენი ინფორმაციით, დაღუპულები რუსი სამშვიდობოები არიან. დაღუპულებიც და დაჭრილებიც ამ დროისთვის უკვე სოხუმში არიან გადაყვანილები, — აღნიშნა ქირიამ.

მისი თქმით, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება მომხდარს რუს სამშვიდობოებსა და აფხაზ სეპარატისტებს შორის დაპირისპირებად აფასებს.

ინციდენტის მიზეზი უცნობია.

## ქიშმარია ინფორმაციას მალავს

**კოდორის ხეობაში მომხდარი ინციდენტის დროს დაღუპულების, დაჭრილებისა და დაკავებულების შესახებ ინფორმაციას აფხაზური მხარე კვლავ არ ავრცელებს.**

გალის რაიონში სერგეი ბაღაფშის წარმომადგენელს რუსლან ქიშმარიას დავუკავშირდით და ვკითხეთ, ცნობილია თუ არა აფხაზური მხარისთვის მათი ვინაობა.

ქიშმარიას თქმით, მას დაღუპულების, დაჭრილებისა და დაკავებულების შესახებ დეტალური ინფორმაცია აქვს, მაგრამ ქართველი ჟურნალისტებისთვის მისი მიწოდების სურვილი არ გააჩნია.

— ინციდენტსა და მის მონაწილეებზე ყველაფერი დეტალურად ვიცი, თუმცა თქვენ არ გეტყვით. შეგიძლიათ, ამ შეკითხვით თქვენს ვანო მერაბიშვილს მიმართოთ, — განაცხადა ქიშმარიამ.

**ინტერპრესნიუსი**

**თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა, რომელმაც შეწყვიტა ვიზიტი სოჭში, ამ თავდასხმას უწოდა „აგრესია საქართველოს მხრიდან“ და აღნიშნა რომ მიიღებს ადეკვატურ საპასუხო ზომებს**




**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# კონფლიქტმა კოდორის ხეობაში უმაღლეს წერტილს მიაღწია

**20 სექტემბერს საღამოს საქართველოსა და აფხაზეთს შორის დაპირისპირება კინაღამ ომში გადაიზარდა: კოდორის ხეობაში მოხდა თავდასხმა აფხაზთა სასაზღვრო პუნქტზე, რის შედეგადაც დაიღუპა ორი სამხედრო მოსამსახურე, ოთხი – დაიჭრა და კიდევ ათი კაცი უგზოუკვლოდ დაიკარგა.**

თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა, რომელმაც შეწყვიტა ვიზიტი სოჭში, ამ თავდასხმას უწოდა „აგრესია საქართველოს მხრიდან“ და აღნიშნა რომ მიიღებს ადეკვატურ საპასუხო ზომებს.

შეტაკება მოხდა ტყვარჩელის რაიონში, ბახუნჯარის მთასთან – ეს აფხაზეთში ყველაზე მაღალი სასაზღვრო წერტილია, რომლის შემდეგაც იწყება კოდორის ხეობის ზემო ნაწილი, აფხაზეთის ხელისუფლების კონტროლს რომ არ ექვემდებარება, და სადაც ამ ბოლო ხანებში უყრიან თავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებს.

ბახუნჯარის სასაზღვრო პუნქტთან აფხაზ ახალწვეულთა საწვრთნელ ბანაკს გაუხსნეს ცეცხლი საღამოს შვიდი საათისთვის – აფხაზური მხარის მონაცემებით, მოკლულია ორი სამხედრო მოსამსახურე, დაჭრილია ოთხი და კიდევ ათი – უგზოუკვლოდ დაიკარგა.

„ამ თავდასხმის დაწვრილებითი დეტალები ჯერჯერობით არ არის ცნობილი, შეიძლება მხოლოდ იმის მტკიცება, რომ ჩვენს ახალწვეულებს დაესხნენ თავს ქართველი სამხედრო მოსამსახურეები“, – განაცხადეს თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შტაბში.

ამ ინციდენტთან დაკავშირებით, აფხაზთა პრეზიდენტმა შეწყვიტა მონაწილეობა სოჭის საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმში და სასწრაფოდ დაბრუნდა სოხუმში, სადაც გამართა აფხაზეთის უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა.

„საქართველომ განახორციელა აგრესია და ჩვენ ამას ადეკვატური ზომებით ვუპასუხებთ“, – თქვა ბაღაფშმა სხდომის დაწყების წინ, ერთი საათის შემდეგ კი აღნიშნა, რომ ძალოვან უწყებებს უბრძანა იმოქმედონ „სიტაუციის შესაბამისად“.

ხომ არ ნიშნავს ყოველივე ეს იმას, რომ აფხაზთა არმიამ შეიძლება დაიწყოს საომარი მოქმედება კოდორის ხეობის ზემო ნაწილში დისლოცირებული ქართველი სამხედროების წინააღმდეგ? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი ვერც ერთმა აფხაზმა სახელმწიფო მოხელემ ვერ გაგვცა.

თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ კი განაცხადა: „ეჭვი არ არის, რომ აფხაზ მესაზღვრეებს გაუხსნეს ცეცხლი ქართველმა სამხედროებმა და ეს არის საქართველოს მხრიდან მორიგი აგრესიული აქციის შედეგი“. როგორც მინისტრმა თქვა, აფხაზთა არმიაში ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აფხაზეთის კოდორის ხეობის ზემო ნაწილში აღწევენ შეიარაღებული ფორმირებები.

მაგრამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გვითხრეს, რომ „არავინ არავის არ დასხმია თავს, უბრალოდ, დააკავეს აფხაზთა დივერსიული ჯგუფი, რომელიც ცდილობდა გზის მშენებლობისთვის ხელის შეშლას. ზემო აფხაზეთი ზამთრის პერიოდში პრაქტიკულად მიუდგომელია და გზის გაყვანა მნიშვნელოვნად გაამარტივებს იქ ჩაღწევას, რის შედეგადაც ეს რეგიონი ხელმისაწვდომი გახდება წელიწადის ნებისმიერ დროს. რა თქმა უნდა, აფხაზთა დე ფაქტო ხელისუფლებას გზის გაყვანა არ აძლევს ხელს“.






Коммерсантъ

# რუსეთის ელჩი თამარაშენში არ ჩავა



**რუსეთის ელჩმა საქართველოში ვიაჩესლავ კოვალენკომ უარი თქვა საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობაზე, რომელსაც ეწოდება „რეფორმები საქართველოში და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“. ეს ღონისძიება გაიმართება ქართული მხარის კონტროლს დაქვემდებარებულ სოფელ თამარაშენში, რომელიც ცხინვალის მახლობლად მდებარეობს.**

კონფერენციაზე საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები და დიპლომატიურ მისიათა მეთაურები, სხვა საკითხებთან ერთად, იმსჯელებენ საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის სტატუსზეც.

რუსეთი არ მიიღებს მონაწილეობას ღონისძიებაში, რომელშიც იწვევენ თბილისისადმი ლოიალურად განწყობილი სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რადგან, როგორც მოსკოვში ვარაუდობენ, ეს სტრუქტურა არღვევს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებისათვის მოლაპარაკების ფორმატს.

რუსეთის ელჩის ასეთი პოზიციის გამო საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში დავით ბაქრაძემ „ვრემია ნოვოსტეის“ კორესპონდენტან საუბრისას გამოთქვა სინანული: „ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ რუსეთმა დაიკავოს ღირსეული ადგილი რეგიონში ვითარების მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების, ადგილობრივ მოსახლეობასა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ნდობის აღდგენის პროცესში“.




**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# გელა ბეჟუაშვილი დარწმუნებულია, რომ აფხაზებთან დიალოგი წარმატებული იქნება

**დადგა დრო, რომ დავიწყოთ უშუალო დიალოგი თბილისსა და სოხუმს შორის თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკაში კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე, და ამ დიალოგის წარმატებაში ეჭვი არ მეპარება, – აღნიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა.**

„ჩვენ პოლიტიკურ დონეზე გავგზავნით შესაბამის წერილს და გავუსვამთ ხაზს, რომ საჭიროა პირდაპირი დიალოგის დაწყება ქართველებსა და აფხაზებს შორის. ვიღაცას, მესამე ძალას ხელს აძლევს ეს დაპირისპირება. ამას ისინი ვერ მიაღწევენ. ჩვენ უთუოდ გამოვნახავთ საერთო ენას აფხაზებთან“, – განუცხადა ბეჟუაშვილმა ჟურნალისტებს.

შეეხო რა ზემო აფხაზეთში დივერსიული ჯგუფის ლიკვიდაციის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ სპეცოპერაციას, მინისტრმა აღნიშნა, რომ ქვეყნის მთავრობა არ დაუშვებს ვითარების დესტაბილიზაციას კოდორის ხეობაში.

„მეორე მხრივ, ეს იმას ადასტურებს, რომ გაეროში საქართველოს მეგობართა ჯგუფმა უნდა გამოიჩინოს მეტი აქტიურობა და მისცეს შესაბამისი შეფასება ასეთ მოქმედებას“, – განაცხადა ბეჟუაშვილმა.

როგორც საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა თქვა, საქართველოს დელეგაცია მუშაობს ამ მიმართულებით, და მომავალ კვირას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უთუოდ მისცემს შეფასებას ზემოაღნიშნულ ინციდენტს ნიუ-იორკში, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლისას.




**მარინე კვარაცხელია,**

**(იბეჭდება შემოკლებით)**

НОВОСТИ

• დონორებისგან აღებული ეგრეთ წოდებული იმუნოციტების ინექციის წყალობით, ონკოლოგიური დაავადებების განკურნება შეიძლება გახდეს რეალური უახლოესი ორი წლის განმავლობაში



# «ალ-ყაიდა» პაკისტანის ლიდერს ემუქრება

**უსამა ბენ-ლადენმა პაკისტანელ მუსლიმანებს მოუწოდა, რომ გამოუცხადონ წმინდა ომი ქვეყნის პრეზიდენტს ფერვეზ მუშარაფს.**

„ალ-ყაიდას“ ლიდერის აუდიოჩანაწერი ინტერნეტში გავრცელდა იმ დღეს, როცა პაკისტანის ხელისუფლებამ გამოაცხადა არჩევნების გამართვის თარიღი, რომელზეც ხელახალი არჩევისათვის გენერალ მუშარაფს დიდი შანსი აქვს.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, სექტემბერში ინტერნეტში გამოჩნდა ბენ-ლადენის უკვე რამდენიმე გზავნილი. ამ მიმართვებიდან სულ ცოტა ორი გაავრცელეს 11 სექტემბრის წინ.

„პაკისტანელი მუსლიმანები ვალდებული არიან გამოუცხადონ ჯიჰადი და იბრძოლონ ქვეყანაში ფერვეზ მუშარაფის, პაკისტანის მთავრობის, მისი არმიისა და ყველა იმ პირის წინააღმდეგ, ვინც ეხმარება პრეზიდენტს“, – ხაზგასმულია აუდიოჩანაწერში.

როგორც ცნობილია, ხუთშაბათს ინტერნეტში განათავსეს „ალ-ყაიდას“ იერარქიაში გავლენით მეორე ადამიანის აიმან აზ-ზავაჰირის ვიდეომიმართვა.

„ალ-ყაიდას“ ორივე ლიდერმა თავიანთ მიმართვებში გაუსვეს ხაზი იმას, რომ უკვე მრავალი დღეა არსებობს დაპირისპირება პაკისტანის არმიასა და აბდულა რაშიდ ღაზის მეთაურობით მოქმედ ისლამისტებს შორის. ივლისში დაწყებული ამ დაპირისპირების მიზეზი გახდა ისლამაბადის „წითელი მეჩეთი“.

„ალ-ყაიდას“ წევრები ვაცხადებთ, რომ ვიძიებთ შურს აბდულა რაშიდ ღაზის გამო. მუშარაფს და ყველა იმ პირს, რომლებიც მას ეხმარებიან, ასევე ვაზღვევინებთ ყოვლად უდანაშაულო ხალხის დაღვრილ სისხლს“, – ხაზგასმულია ბენ-ლადენის მიმართვაში.

„ჩვენ კვლავ ვრჩებით ექსტრემისტებისა და ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლის იდეის ერთგული. ჩვენი პოლიტიკა არ შეცვლილა, – განაცხადა „ფრანს პრესის“ სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში პაკისტანის შეიარაღებული ძალების ოფიციალურმა წარმომადგენელმა რაშიდ არშადმა. – თუ ვინმე გვემუქრება, ეს მათი პოზიციაა. მთელი ხალხი ჩვენ გვიმაგრებს ზურგს, ხოლო პაკისტანის არმია ერთ-ერთი საყოველთაო-სახალხო ინსტიტუტია“.

პაკისტანის საარჩევნო კომისიამ პრეზიდენტის არჩევნები დანიშნა მიმდინარე წლის 6 ოქტომბრისთვის. პაკისტანის საარჩევნო კომისიის მეთაურის თქმით, პრეზიდენტის პოსტის კანდიდატებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ 27 სექტემბრამდე.

პაკისტანის პრეზიდენტს ირჩევენ არა პირდაპირი კენჭისყრით, არამედ ფედერალურ პარლამენტსა და რეგიონალურ საკანონმდებლო ასამბლეებში მათ სასარგებლოდ მიცემული ხმების დათვლის შედეგად.

მუშარაფი არჩევნებში გამარჯვების ძირითად კანდიდატად ითვლება. მთავრობაში დარწმუნებულები არიან, რომ მუშარაფს ახალი ვადით აირჩევენ, რადგან პარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობა მისი მომხრეა.

არჩევნების გამართვის ვადების შესახებ საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებამ ოპოზიციის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რომელიც ახლა ამას ასაჩივრებს ქვეყნის უზენაეს სასამართლოში.

მუშარაფის მოწინააღმდეგები მოითხოვენ, რომ პრეზიდენტის არჩევნები გაიმართოს საყოველთაო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომელიც იანვრის შუა რიცხვისთვის არის დანიშნული.

**გარდა ამისა, უზენაესმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, აქვს თუ არა მუშარაფს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მაშინ, როცა იგი კვლავ რჩება შეიარაღებული ძალების სარდლად, ან იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი გადამდგარ გენერლად ჩაითვლება. ოპოზიცია მოითხოვს რომ მუშარაფმა აღარ შეითავსოს პრეზიდენტისა და არმიის სარდლის თანამდებობები.**

# FORBES ჟურნალმა ბილ გეიტსი ზედიზედ მეთოთხმეტედ აღიარა ყველაზე მდიდარ ამერიკელად

**MICROSOFT კომპანიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ბილ გეიტსმა ზედიზედ მეთოთხმეტედ დაიკავა პირველი ადგილი 400 ყველაზე მდიდარი ამერიკელის სიაში. ჟურნალის მიერ 20 სექტემბერს გამოქვეყნებული მონაცემებით, ამ ადამიანის ქონება შეფასებულია 59 მილიარდ დოლარად.**

მეორე ადგილი დაიკავა ინვესტორმა უორენ ბაფეტმა, რომლის ქონება 52 მილიარდ დოლარს შეადგენს. ამ ორ ადამიანს მნიშვნელოვნად ჩამორჩება მესამე ადგილზე გასული ლასვეგასელი მაგნატი შელდონ ადელსონი, რომელიც 28 მილიარდი დოლარით მესამე პოზიციაზე გავიდა.

სიაში მეოთხე ადგილი მიაკუთვნეს Microsoft-ის კონკურენტი Oracle ორგანიზაციის მეთაურს ლარი ელისონს, რომელიც 26 მილიარდ დოლარს ფლობს. Google საძიებო ინტერნეტ-სისტემის დამაარსებელი სერგეი ბრინი (იგი წარმოშობით რუსეთიდანაა) და მისი კოლეგა ლარი პეიჯი მეხუთე ადგილს ინაწილებენ. თითოეულის ქონება 18,5 მილიარდ დოლარს შეადგენს.



სიაში მომდევნო ადგილი მიაკუთვნეს ინვესტორ კირკ კერკორიანს, რომელიც 18 მილიარდი დოლარის ქონების პატრონია. Dell საკომპიუტერო კორპორაციის მფლობელმა მაიკლ დელმა ამჯერად მხოლოდ მე-8 ადგილ დაიკავა. მისი კაპიტალი 17,2 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.



შეერთებული შტატების უმდიდრეს მცხოვრებთა პირველ ათეულში ბოლო ადგილებზე გავიდნენ ძმები ჩარლზ და დევიდ კოჩები, რომლებიც ფლობენ ჩრდილოეთ ამერიკაში ერთ-ერთ უდიდეს კერძო კომპანიას – Koch Industries. თითოეულის ქონება 17 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.



ოთხასი უმდიდესი ადამიანის ნუსხაში წარმოდგენილთა პირადი კაპიტალების საერთო თანხა 1,55 ტრილიონ დოლარს აღწევს, –იტყობინება Forbes.



# ჯორჯ ბუშს ირანის კეთილი ნების იმედი აქვს

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გამოთქვა იმედი, რომ მსოფლიო გაერთიანება დიპლომატიის მეშვეობით შეძლებს ირანის დარწმუნებას იმაში, რომ აიღოს ხელი ბირთვული იარაღის შექმნის განზრახვაზე.**

როგორც ბუშმა თქვა, თუ ეს არ მოხდება, ირანი მოექცევა ფინანსურ იზოლაციაში, და მის წინააღმდეგ შემოიღებენ ახალ ეკონომიკურ სანქციებს.

„არაერთხელ მითქვამს: იმედი მაქვს, რომ ირანი გამოიჩენს კეთილ ნებას ქვეყანაში ბირთვული სამუშაოების შეწყვეტის საკითხში, – თქვა ბუშმა. – ჩვენ ვეცდებით ამ მიზანს მივაღწიოთ მოლაპარაკების გზით. ვმუშაობთ მჭიდრო პარტნიორობის რეჟიმით ჩვენს ფრანგ მოკავშირეებთან და იმედი გვაქვს, ირანელი ხალხი შეიგნებს, რომ უკეთესი იქნება მორიგების მიღწევა საერთაშორისო გაერთიანებასთან, ვიდრე ქვეყნის გაწირვა იზოლაციისათვის“.

ასეთი პასუხი გასცა პრეზიდენტმა ბუშმა პრესკონფერენციაზე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბერნარ კუშნერის მიერ გაკეთებული განცხადების თაობაზე დასმულ კითხვას. როგორც ცნობილია, კუშნერმა ამ დღეებში განაცხადა, რომ საჭიროა მზადება ირანის წინააღმდეგ ომისთვის.

პარასკევს გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი-ქვეყნის და გერმანიის წარმომადგენლებმა იმსჯელეს იმაზე, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ირანთან ურთიერთობაში.

თავის მხრივ, ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ აღნიშნა, რომ უნდა გამკაცრდეს სანქციები ირანის წინააღმდეგ. სარკოზიმ, რომელმაც უკვე მოიხვეჭა სახელი როგორც საკმაო უკომპრომისო პოლიტიკოსმა აღნიშნა, რომ ყოველგვარ მოთმინებას აქვს საზღვარი.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრისგან განსხვავებით, ქვეყნის პრეზიდენტს არ უხსენებია სიტყვა „ომი“, თუმცა განაცხადა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას ხისტი პოზიცია ირანთან ურთიერთობაში.

„მე არ მითქვამს სიტყვა „ომი“, – აღნიშნა სარკოზიმ, – მაგრამ უნდა შევიგნოთ, რომ ირანი ძალზე რთულ პრობლემას უქმნის მთელ მსოფლიოს. თეირანი ცდილობს ატომური ბომბის წარმოებას. მე კი ვაცხადებ, რომ ეს დაუშვებელია. როგორ იქნება ამ პრობლემის გადაჭრის გზები? როგორ შეიძლება ვაიძულოთ ირანი, რომ მიბაძოს ჩრდილოეთ კორეის და ლიბიის მაგალითს, რომლებმაც აიღეს ხელი თავიანთი ბირთვული პროგრამების განხორციელებაზე? ასეთ სიტუაციაში ჩვენ მივმართავთ მოლაპარაკებას, დიალოგს, და, თუ საჭირო იქნება, სანქციებსაც. არსებული სანქციები თუ არ იკმარებს, მე დაჟინებით მოვითხოვ უფრო მკაცრი ზომების მიღებას“.

# მეცნიერები ორიოდე წლის შემდეგ მზად იქნებიან კიბოს დამარცხებისთვის

**დონორებისგან აღებული ეგრეთ წოდებული იმუნოციტების ინექციის წყალობით, ონკოლოგიური დაავადებების განკურნება შეიძლება გახდეს რეალური უახლოესი ორი წლის განმავლობაში, როგორც The Daily Telegraph lothc, ამერიკელმა მეცნიერებმა შეძლეს მიეღწიათ წარმატებისთვის ამ პრობლემის გადაჭრის გზაზე. მათ სცადეს გამოეყენებინათ დონორებისგან მიღებული სიმსივნისადმი მედეგი „უძლავრესი“ უჯრედების გადანერგვის მეთოდი.**

ლაბორატორიულმა ექსპერიმენტებმა დაადასტურეს, რომ იმუნოციტები (უჯრედები, რომლებიც აგებენ პასუხს ორგანიზმის იმუნური რეაქციისთვისძ, ზოგიერთ ადამიანში შეიძლება თითქმის 50-ჯერ უფრო ეფექტიანი აღმოჩნდეს კიბოს წინააღმდეგ საბრძოლველად, ვიდრე სხვათა ორგანიზმებში. ცდების შედეგად დადასტურდა, რომ იმ თაგვების უჯრედები, რომლებიც კიბოს წინააღმდეგ დიდი მედეგობით გამოირჩევიან, შეიძლება გამოიყენონ სხვა თაგვების ორგანზმში ახალი წარმონაქმნების მკურნალობის დროს. ეს იმის საშუალებას იძლევა, რომ კიბოსადმი მედეგი იმუნური სისტემის უჯრედები – დონორებისგან მიღებული ეგრეთ წოდებული გრანულოციტები – გამოიყენონ პაციენტის იმუნიტეტის მრავალჯერ გაძლიერებისა და მისი პოტენციური განკურნების მიზნით.

**ამერიკის შეერთებული შტატების კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების ხარისხის სანიტარიული ზედამხედველობის სამმართველომ გასცა 22 პაციენტისთვის გრანულოციტების ზემძლავრი ინექციის განხორციელების ნებართვა.**

№ 183. შაბათი, 22 სექტემბერი, 2007 წელი.

# სპორტი

● დამამშვიდებელ წრეში სალირაშვილმა პოლონელი ბრჟოჟოვსკი კი დაჩაგრა, თუმცა აზერბაიჯანელ ჩამსულვარა ჩამსულვარაევს ველარ გასცდა



## ◉ ორბიტაზე

### დისკვალიფიკაციაც, ჯარიმაც



**ალბათ გახსოვთ, 12 სექტემბერს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნის მატჩში – პორტუგალია – სერბეთი, მასპინძელთა ბრაზილიელმა მწვრთნელმა ლუის ფელიპე სკოლარიმ, არცთუ უმიზეზოდ, სილა გააწნა სერბ ფეხბურთელ ივიცა დრაგუტინოვიჩს.**

სერბმა ფეხბურთელმა ამ ინციდენტისთვის ორი საკვალიფიკაციო მატჩი უნდა გამოტოვოს – 13 და 17 ოქტომბერს სომხეთთან და აზერბაიჯანთან.

სკოლარის პასუხისმგებლობაზე კი იმსჯელა უეფას საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტმა და ფეხბურთის ბრაზილიელ სპეციალისტს ოთხი მატჩის გამოტოვება და 12-ათასევროიანი ჯარიმა მიუსაჯა. ისე რომ, პორტუგალიელთა დამრიგებელი ოქტომბერში ვერ გაუძღვება აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ნაკრებებთან, ხოლო ნოემბერში სომხეთისა და ფინეთის ნაკრებებთან პორტუგალიელთა ორთაბრძოლებს.

### ორი ლიდერი

**როგორღაც გამოგვრჩა და ვერ გაცნობეთ, რომ მეხუთე ტურიდან მექსიკაში საჭადრაკო მსოფლიო ჩემპიონატზე 3,5 ქულით ინდოელი დიდოსტატი ვიში ანანდი ლიდერობდა, რაც დიდხანს არ გაგრძელებულა და მეექვსე ტურში, მხოლოდ ერთადერთი პარტია რომ იყო „შედეგიანი“.** ბორის გელფანდმა დაძაბულ ბრძოლაში 50-ე სვლაზე დაამარცხა ალექსანდრე მოროზოვიჩი და 4 ქულით წამოეწია ანანდის, რომელმაც პარტია პეტერ ლეკოსთან 21-ე სვლაზე ყაიმით დაამთავრა. ასევე „მშვიდობიანად“ დასცილდნენ ერთმანეთს გრიშჩუკი-სვიდლერი, არონიან-კრამნიკი.

6 ტურის შემდეგ კრამნიკსა და გრიშჩუკს 3,5-3,5 ქულა აქვთ. არონიანსა და ლეკოს – 2,5 თითოეულს, მოროზევიჩსა და სვიდლერს კი – 2-2.

### დედოფლიდან — მსახიობამდე

**იტალიელებს ფეხბურთის თამაშის ოსტატობაში, ტაქტიკის მოულოდნელ შეცვლაში ვინ შეედრება, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ამას პირად ცხოვრებაშიც კარგად იყენებენ. აი, თუნდაც „რომას“ მცველი მატეო ფერარი, ტაქტიკა სიყვარულის ფრონტზე რომ შეიცვალა.**

იტალიელმა პაპარაცებმა ის ახალგაზრდა მსახიობ ქალთან კატერინა ბალივოსთან დროსტარებისას გამოიჭირეს. თუმცა ამაში უჩვეულო რა არის, ჭაბუკი თუ ქალიშვილს ხვდება? როგორც ამბობენ, ღმერთმა ხელი მოუმართოთ! მაგრამ აღმოჩნდა, რომ იტალიელ ფეხბურთელს უკვე რომანი ჰქონია ვენესუელელ ლამაზმანთა დედოფალთან – აიდა ესპიცასთან (ფოტოზე). „გადონჟუანებულმა“ ფეხბურთელმა უმალ საჯაროდ მოუხადა ბოდიში ყოფილ „დობილს“ და იმედი გამოთქვა, რომ ეს პატარა ინტრიგა ვერ იმოქმედებს აიდასთან ურთიერთობაზე.

ასე რომ, მშვენიერ ახალგაზრდა მსახიობ ქალს, სულ მალე დებიუტი რომ ექნება სრულმეტრაჟიან ფილმში, პოპულარობისთვის დიდებული რეკლამა გაუწიეს, ცნობილ ფეხბურთელთან ერთად ცისფერ ეკრანზე რომ გამოაჩინეს. აი, შესაშურად ლამაზ ესპიცას კი, ალბათ, ჯერ არ გადაუწყვეტია, როგორ გააგრძელოს მატეოსთან ურთიერთობა.



## ◉ ჭიდაობა

# ყულაბაში – მხოლოდ ერთი „ბრინჯაო“

**გუშინ ბაქოში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ორთაბრძოლები ბოლო ორი წონითი კატეგორიის ფალავნებმაც დაამთავრეს. სანამ მათს შედეგებზე ვისაუბრებთ რამეს, გვინდა, წინა დღის პაექრობებსაც შევეხოთ. როგორც გაუწყეთ, 66 კილოში ბრინჯაოს მედალი გორელმა ოთარ თუშიშვილმა მოიპოვა. პირველ წრეში მან აზერბაიჯანელ რამაზან აბდურახმანოვს მოუგო, მერე ყაზახ აბდულხაკიმ შაპიევსა და ბულგარელ ნიკოლაი პასლასს სძლია, ნახევარფინალური ორთაბრძოლა კი კუბელ განდრი გარსონთან დათმო. სამაგიეროდ, დამამშვიდებელში ამერიკელი დამ შვაბის დამარცხებით მესამე ადგილი დაიკავა. ცხადია, პეკინის ოლიმპიადის საგზურიც დაიმსახურა.**

2008 წლის თამაშების მეორე ლიცენზია გელა სალირაშვილს (74 კგ.) ხვდა, რომელიც საბოლოოდ მე-8 ადგილით დაკმაყოფილდა. არადა, წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა თავიდან ორი მეტოქე (ერაყელი ვისამ ალმოალა და კანადელი მეტიუ ჯენტრი) ჩამოიცილა გზიდან, მესამე შეხვედრაში კი ქართველ ფალავანს რუსეთელმა მახაჩ მურთაზალიევმა (იგი მეორე მსოფლიო ჩემპიონიც გახდა) აჯობა. დამამშვიდებელ წრეში სალირაშვილმა პოლონელი ბრჟოჟოვსკი კი დაჩაგრა, თუმცა აზერბაიჯანელ ჩამსულვარა ჩამსულვარაევს ველარ გასცდა.

მასპინძელ ნოვრუზ ტემზოვთან პაექრობისას განიცადა ფიასკო მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების სამივე სინჯის მედლების კავალერმა რევაზ მინდორაშვილმა. მეორე წრეში აზერბაიჯანელიც დამარცხდა და გურჯაანელი ფალავანი კვარცხლბეკს მიღმა დარჩა. ამ წონაში ჩემპიონი გახდა გიორგი კეტოევი, ჩვენი ლერი ქეთიშვილის ღვიძლი უმცროსი ძმა, რომელიც ჩრდილოელ მეზობლებს ჭაბუკობისას შეეკედლა და დღეს მათს სპორტულ ღირსებას იცავს. ამ წონაში რუსებს ჰყავთ მსოფლიო ჩემპიონი საჯიდ საჯიდოვი. გიორგიმ წლეულს იგი ეროვნულ ჩემპიონატში დაამარცხა, რასაც დიდი აყალმაყალი და დავიდარაბა მოჰყვა. რუსეთის ჭიდაობის ფედერაცია იძულებული გახდა, ორივე ფალავანი ოქროს მედლით დაეჯილდოებინა. ბაქოში გასამგზავრებლად კი კეტოევს მიანიჭა უპირატესობა. როგორც ვხედავთ, არც შემცდარან. საგულისხმოა ისიც, რომ რუსებმა ექვსი წონითი კატეგორიიდან ხუთში პირველი ადგილები დაიკავეს, 66 კილოში „ბრინჯაოს“ (ირბეკ ფარნიევი) დასჯერდნენ.

გუშინ საქართველოს წარმომადგენლებმა 96 და 120 კილოგრამ წონით კატეგორიებში გიორგი გოგშელიძემ და დავით მოძმანაშვილმა საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინეს და საბოლოოდ კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ.

## ◉ რაგბი

# B ჯგუფში სამხრეთის [illegible]



**მორაგბეთა მსოფლიო თასის გათამაშების მესამე ტურში უელსმა (B ჯგუფი) იაპონიას კარდიფში უმასპინძლა.** ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებმა ძლიერ მეტოქეს ვერაფერი დაუპირისპირეს და 18:72 დამარცხდნენ. უელსელებმა ამ მატჩში 11 ლელო გაიტანეს და, ცხადია, პრემიული ქულაც დაიმსახურეს. ჯგუფში სატურნირო მდგომარეობა კი ასეთია:

| | თ | მ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 2 | 2 | 1 | 123:23 | 2 | 10 |
| უელსი | 3 | 2 | 1 | 134:67 | 2 | 10 |
| ფიჯი | 2 | 2 | 0 | 64:47 | 2 | 10 |
| იაპონია | 3 | 0 | 3 | 52:198 | 1 | 1 |
| კანადა | 2 | 0 | 2 | 33:71 | – | 0 |

**ხვალ 16.30 საათზე ავსტრალია ფიჯის დაუპირისპირდება და ერთპიროვნული ლიდერიც, ალბათ, ამ მატჩის შემდეგ გამოიკვეთება.**

## ◉ სენსაცია

# აბრამოვიჩ-მოურინიო გაიყარნენ

**ამ ამბავმა მთელი საფეხბურთო სამყარო შეძრა. „ჩელსის“ სათავეებიდან სახელგანთქმული პორტუგალიელი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს წასვლა, როგორც ამბობენ, „არისტოკრატთა“ ახლანდელ პატრონთან, რუსეთელ მილიარდერ რომან აბრამოვიჩთან ორმხრივი შეთანხმებით მოხდაო.**



ლონდონელებთან პორტუგალიელის „გაყრის“ ამბავი ხუთშაბათს დილაადრიან გახდა ცნობილი. მოგვიანებით ის თავად „ჩელსის“ მესვეურებმაც დაადასტურეს. თუმცა უმალ დადგა კითხვაც – თუ ვინ უხელმძღვანელებდა გუნდს ამ უიქ-ენდზე „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ზეპრინციპულ შეხვედრაში? არც ეს გარკვეულა ძალიან გვიან. ცნობილი გახდა, რომ კლუბის სადავეებთან დადგებოდა აბრამ გრანტისა და სტივ კლარკის დუეტი. პირველი ერთხანს ისრაელის ნაკრების მწვრთნელი, „პორსმუტის“ ტექნიკური დირექტორი იყო, ახლა კი – „ჩელსის“ საფეხბურთო დირექტორი, მეორე კი – მოურინიოს თანაშემწე გახლდათ. ორივე უკვე შეუდგა მუშაობას. თუმცა, გასარკვევია, ეს დანიშვნა მუდმივია, თუ დროებითი. რადგან ლაპარაკია მთავარი მწვრთნელის პოსტზე რუსეთის ნაკრების მწვრთნელის გუს ჰიდინკის, ხუანდე რამოსის („სევილია“) და დიდიე დეშამის (სულ ცოტა ხნის წინათ მუშაობდა „იუვენტუსთან“) კანდიდატურებზეც.

შეგახსენებთ, რომ მოურინიო „ჩელსისთან“ 2004 წლის ივნისიდან მუშაობს. ბოლო ხანებში ხშირად გაისმოდა ჭორები რომან აბრამოვიჩთან ურთიერთობის გაუარესებაზე. მისი ხელმძღვანელობით „ჩელსი“ ორჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, ორჯერვე მოიპოვა ლიგის თასი, ხოლო ერთხელ – ინგლისის თასი. 2005-2006 წლებში ის აღიარეს ინგლისის საუკეთესო მწვრთნელად. როგორც ამბობენ, „ჩელსიდან“ მისი წასვლის მიზეზი გახდა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგ მატჩში „როზენბორგთან“ ფრე – 1:1. იმასაც ამბობენ, რომ პორტუგალიელი, „ჩელსიდან“ პირის გასატეხს – 10 მილიონ დოლარს მიიღებს.

თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, ინგლისში „შერისხულ“ მწვრთნელს პორტუგალიის ნაკრებში იწვევენ.

## ◉ უეფას თასი



# „სირტაკი“ ევროპაში

**უეფას თასის გათამაშების III რაუნდის პირველი მატჩები ბერძნული კლუბების არნახული წარმატებით აღინიშნა – ელადის ხუთივე წარმომადგენელმა გამარჯვება მოიპოვა და ჯგუფური ეტაპისკენ შთამბეჭდავი ნაბიჯი გადადგა.**

რაც შეეხება ქართველ ლეგიონერებს, მათგან ყველაზე უკეთ მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივმა“ ითამაშა, თემურ ქეცბაიას გაწვრთნილი „ანორთოსისი“ კი ინგლისში შერცხვა. გაუწყებთ ევროპის სტადიონებზე ხუთშაბათს გამართული ყველა შეხვედრის შედეგს:

„სპარტაკი“ – „ჰაკენი“ 5:0, „ლარისა“ – „ბლექბერნი“ 2:0, „ლევერკუზენი“ – „ლეირია“ 3:1, „გროცლინი“ – „ცრვენა ზვეზდა“ 0:1, „ზენიტი“ – „სტანდარდი“ 3:0, „ტამპერე“ – „ბორდო“ 2:3, აეკ – „ზალცბურგი“ 3:0, „ბოლესლავი“ – „პალერმო“ 0:1, „ბაიერნი“ – „ბელენენსეში“ 1:0, „სოშო“ – „პანიონიოსი“ 0:2, „ჰამარბი“ – „ბრაგა“ 2:1, „დინამო“ (ზაგრები) – „აიაქსი“ 0:1, „დინამო“ (ბუქარესტი) – „ელფსბორგი“ 1:2, „ბრანი“ – „ბრიუგე“ 0:1, „ლოკომოტივი“ (სოფია) – „რენი“ 1:3, „რაბოტნიჩკი“ – „ბოლტონი“ 1:1, „მიდტიულანდი“ – „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:3, „სარაევო“ – „ბაზელი“ 1:2, „სიონი“ – „გალათასარაი“ 3:2, „პეტრჟალკა“ – „პანათინაიკოსი“ 1:2, „სპარტა“ – „ოდენსე“ 0:0, „არისი“ – „სარაგოსა“ 1:0, „გრონინგენი“ – „ფიორენტინა“ 1:1, „ტულუზა“ – ცსკა (სოფია) 0:0, „ანდერლეხტი“ – „რაპიდი“ (ვენა) 1:1, „ატლეტიკო“ – „ერჩიესისფორი“ 4:0, „აუსტრია“ – „ვალერენგა“ 2:0, „ნიურნბერგი“ – „რაპიდი“ (ბუქარესტი) 0:0, „სამპდორია“ – „ოლბორგი“ 2:2, „ჰერენვენი“ – „ჰელსინგბორგი“ 5:3, „ჰაპოელი“ – აიკ 0:0, „ემპოლი“ – „ციურიხი“ 2:1, „ხეტაფე“ – „ტვენტე“ 1:0, „ტოტენჰემი“ – „ანორთოსისი“ 6:1, „აბერდინი“ – „დნიპრო“ 0:0, „ფერეირა“ – „ალკმაარი“ 0:1, „ვილიარეალი“ – „ბატე“ 4:1.



● „შემოდგომის თბილისის" სიახლე იქნება ის, რომ რამდენიმე ნაწარმოები პირველად აჟღერდება საქართველოში

№ 183. შაბათი, 22 სექტემბერი, 2007 წელი.

◎ პოეტის ერთი ლექსი

# კვლავ ერთგულად ვხნათ...



**წერილი მეგობარს**

*შენ დაივიწყე ძველი თელავი,*
*გორიჯვარი და ბატონის ციხე,*
*ნადიკვრის სიო,*
*ზუზუმბოს ხედი,*
*მზისგულზე თეთრად მთვლემარე რიყე,*

*შენ დაივიწყე ის მეგობარი,*
*ვისთანაც ერთად დაქროდი ცაში,*
*იაგოსავით მორჩილი იყო,*
*ჩვენგან ნახედნი დრო-ჟამის რაში.*

*არ გვაშინებდა ზამთარ-ზაფხული,*
*თვით სიკვდილიც კი არ გვაშინებდა,*
*ერთხორც-ერთსულად გადაქცეულებს,*
*გვწამდა ვერარა დაგვაცილებდა,*

*მაგრამ ხომ უთქვამთ ჩვენზე ნაცადებს,*
*რომ სიტყვა არის ყველაფრის თავი,*
*გესლიან ისრის შხუილსა გავდა*
*შრიალი ენის, ბოროტი, ავი.*

*რაც ვერ დაგვაკლო დრომ და მანძილმა*
*დაგვმართა თქმამ და მიეთ-მოეთმა,*
*ცა დაიხურა, მზე-მთვარე გაქრა,*
*გვიგანა მწველმა ბედმა-პოეტმა,*

*მაგრამ... თუ სიტყვა არის მთავარი,*
*ჩვენც ხომ გვითქვია ერთმანეთისთვის*
*ფიცი გულწრფელი, ელვად მავალი,*
*რომლის წინაშეც ცხოვრებაც კრთება*
*და სიკვდილი კი გზაა სავალი,*
*წალკოტისაკენ სადაც სიყვარულს*
*აღარ სჭირდება შუამავალი...*

*დაბერავს ქარი და აგვიტაცებს,*
*ჩაანწნავს ულოდ ჩვენ ეულ სულებს*
*და კვლავ შევიგრძნობთ ერთურთის სუნთქვას,*
*ჟრჟოლვა დაუვლის ჩანაცრულ გულებს,*

*მაგრამ ერთს ვიტყვი, თუ აქ არ ვთესეთ,*
*იქაც ვერ მოვმკით მოსავალს მგონი,*
*ზურგი ვაქციოთ ავყია ყბედებს,*
*კვლავ ერთგულად ვხნათ თეთრი მინდორი...*

**ზურაბ არსენიშვილი**

◎ ფესტივალი იწყება

# „ფერმკრთალი" „შემოდგომის თბილისი"




**სამწუხაროდ, წლეულსაც სხვის ჭერს შეეფარა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი", რისი მიზეზიც საკუთარ ბინაში, ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში მიმდინარე გაჭიანურებული რემონტია. ცხადია, ეს გავლენას ახდენს საფესტივალო პროგრამაზეც და აფერმკრთალებს იმ ტრადიციას, რაც თბილისელთათვის ამ მეტად პოპულარულ ფესტივალს ჰქონდა, თუნდაც მრავალფეროვნების თვალსაზრისით.**

„შემოდგომის თბილისის" არსებობა წარმოუდგენელია თბილისის სიმფონიური ორკესტრის გარეშე, რადგან სწორედ ეს ორკესტრი გახლავთ ფესტივალის ერთ-ერთი დამაარსებელი 1993 წლიდან, როცა იგი შექმნა გამოჩენილმა დირიჟორმა ჯანსუღ კახიძემ. დღეს კოლექტივის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია ვახტანგ კახიძე. ტრადიციით ეს ორკესტრი ფესტივალის მთავარი მოქმედი პირია.

ასეა თუ ისე, რიგით მე-15 ფესტივალი 24 სექტემბერს იწყება ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში და 30 სექტემბრამდე იგი ხუთ საკონცერტო საღამოს სთავაზობს ინსტრუმენტული მუსიკის მოყვარულთ.

ამჯერად ფესტივალის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს საღამოებზე საზოგადოებრიობას წარუდგინონ ახალგაზრდა ქართველი შემსრულებლები: თბილისის კონსერვატორიის სტუდენტი, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი (პედაგოგი გიზი ამირეჯიბი), გერმანიის მუსიკალური სასწავლებლების სტუდენტები, მევიოლინე ირაკლი ცხადაია და ვიოლონჩელისტი გიორგი ხარაძე. ფესტივალის ერთადერთი უცხოელი სტუმარი იქნება გერმანელი მუსიკოსი, ბლოკ ფლეიტისტი იუსტუს ვილბერგი.

„შემოდგომის თბილისის" სიახლე იქნება ის, რომ რამდენიმე ნაწარმოები პირველად აჟღერდება საქართველოში.

ფესტივალს თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გახსნის ვ. სარაჯიშვილის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო კათედრის გუნდი. ამ დღეს პირველად შესრულდება ჰაიდნის „ლონდონის" სიმფონია №104 და ქერუბინის რეკვიემი (პირველი შესრულება). მომდევნო საღამოს ხატია ბუნიათიშვილი ააჟღერებს შოპენის №2 კონცერტს ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის, ასევე შესრულდება ბეთჰოვენის სიმფონია №8.

26 სექტემბერს ახმიანდება ჩაიკოვსკის ქმნილებები. სერენადასთან ერთად შესრულება სავიოლინო კონცერტი ირაკლი ცხადაიას შესრულებით. მოცარტისა და ჰაიდნის ქმნილებები აჟღერდება 28 სექტემბერს, მათ შორის პირველად გაიჟღერებს მოცარტის „ღამის სერენადა" ოთხი ორკესტრისათვის.

გერმანელი ფლეიტისტი იუსტუს ვილბერგი და სულხან ცინცაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი მოცარტის, ვივალდის, ტელემანის, ელგარის ქმნილებებს შეასრულებენ. მათგან სამი ნაწარმოების პრემიერა შედგება. კონცერტებს უდირიჟორებს ვახტანგ კახიძე.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

◎ ყურადღება!

## ცხადდება ლიტერატურული კონკურსი

**საქართველოს ქალთა საბჭო, თავის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გაზეთების „რაეოსა" და „საქართველოს რესპუბლიკის" თანადგომით, აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს (ლექსი, მოთხრობა, ნოველა, ესსე, ჩანახატი, პუბლიცისტიკა). თემატიკა თავისუფალია და 4-5 გვერდს არ უნდა აღემატებოდეს, შედეგებს ჟიური შეაჯამებს.**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში მცხოვრებ ყველა ქალს (მწერალთა კავშირის წევრების გარდა), მათ შორის — პატიმრობაში მყოფთაც.

ნაწარმოების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2007 წლის 30 ოქტომბერი. მისამართი: თბილისი, ჩუბინიშვილის 50, გაზეთ „რაეოს" რედაქცია. საკონტაქტო ტელეფონები: 96-91-86 მზია გომართელი, 95-15-48 ცისანა ქორჩეჩაშვილი, 899 79-79-90 ქეთევან გაბრუაშვილი.

**საქართველოს ქალთა საბჭო**

◎ ინფორმაცია

## ვითომ გაუმჯობესდა პატიმართა მდგომარეობა?

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა სიკვდილიანობა შემცირდა.**

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონაცემებით, 2007 წლის რვა თვეში (აგვისტოს ჩათვლით) 18 914 პატიმრიდან 72 პატიმარი გარდაიცვალა, ანუ საერთო რაოდენობის 0,38%.

აღნიშნული მონაცემი წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია. გასულ წლებში გაცილებით მეტი პატიმარი დაიღუპა. 2006 წელს 15 423 პატიმრიდან 92 გარდაიცვალა, (0,59 %), 2005 წელს 8 895 პატიმრიდან 46 გარდაიცვალა, (0,52%), 2004 წელს 7200 პატიმრიდან 43 გარდაიცვალა (0,6%).

**ინტერპრესნიუსი**

◎ ხუმარსიტყვა

# კბილების ოსტატი

**კბილების პროთეზის ოსტატს, რომელსაც ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად ენაკვიმატობაც არ აკლია, პენსიაზე გასვლის შემდეგ არცთუ იშვიათად ვსტუმრობ. გუშინაც მქონდა ბედნიერება, შევხვედროდი.**

— შემოდი, ძამა, შემოდი, — შემიპატიჟა ომახიანად, მაგრამ თვალი რომ შემავლო, ცოტა არ იყოს შეცბა:

— რავა ყვინჩილასავით აბუზულხარ ამ ხნის კაცი, — მეუბნება, — მოხდა რამე თუ?

— მეტი რაღა უნდა მომხდარიყო, ჩემო ბატონო, კბილი მომტყდა, — ამოვილუღლუღე.

— კბილი მოგტყდა? ხი, ხი, ხი (გადაფიჩინდა), — რა გიკვირს, შე კაცო, ახლა ისეთი ტორნადოებია მოდებული მთელ მსოფლიოში, ვერა ხედავ, კბილს კი არა, ხეებსა გლეჯავს.

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, ტორნადო ამერიკიდან საქართველოში კბილს როგორ მომტეხდა?

— არ გაგიკვირდეს, ჩვენ ისე ვართ ჩახუტებული ამერიკასთან, რომ დემოკრატიის ქარიშხალმა შეიძლება მარტო კბილები კი არა, თავებიც წაგვაძროს.

არგუმენტი არცთუ უსაფუძვლოდ მეჩვენა და გავჩუმდი.

— მაინც რას ჭამდი მაგისთანას, — გააგრძელა ოსტატმა, — ძვლებსა კვნეტავდი?

— არა, ბატონო, — მოვისაწყლე თავი, — ერთი ლეღვი მიდგას ეზოში, დილით იმას შევებღოტე და...

— ტყუი, ლეღვი კბილს როგორ მოგტეხდა, ეტყობა, რკინა შეგყვა.

— რკინა საიდან, ბატონო, ხომ იცი, საქართველოში გრამიც აღარ მოიძევება, სულ ჯართად გაზიდეს.

— მაშინ ფოლადი შეგყვებოდა.

— მინდოდა, შევკამათებოდი, მაგრამ...

— კარგი, ჰო, — დამიყვავა, — მოიტა კბილი და ჩავაწებებ.

— ჩააწებებ? — დავაღე პირი.

— ჰო, რა გიკვირს, ვიდრე პირი არ მოგიკუმავს, მოიძრე პროთეზი და ჩავაწებებ.

— მაგრამ კბილი რომ არა მაქვს?

— რა უყავი?

— ნაგავში მოვისროლე.

— ჰოდა, ახლა ნაგავში დამატებით კიდევ 40 ლარის მოსროლა მოგიწევს.

— ნაგავში?

— გეხუმრები, — გაიღრიჭა ოსტატი, — ნაგავში არა, ამჯერად ჩემ ჯიბეში.

— მაგდენს რაში ანგარიშობ? — გავაპროტესტე.



— როგორ თუ რაში, 30 ლარი კბილს უნდა, ჩემო ძმაო, 10 კიდევ — ჩაწებებას. აბა როგორ, კბილი თუ არავის მოტყდა ან პროთეზი არ დაუზიანდა, მე რით ვიცხოვრო?

— ახალ პროთეზებს ხომ აკეთებ, განა იქიდან ნაკლები შემოსავალი გაქვს?

— დამიწყო ახლა ამან შემოსავლებზე ლაპარაკი. რა შემოსავლები მაქვს მასეთი, კლიენტთა უმრავლესობა მხოლოდ ნახევარპროთეზსღა მიკვეთავს.

— ნახევარპროთეზი რა გასაკეთებელია? — გავიკვირვე.

— მე რას მეუბნები, ეგ მთავრობას უნდა ჰკითხო. ხომ ხედავ, ხალხს ფული არა აქვს, კლიენტები მეუბნებიან, რა საჭიროა მთელი პროთეზი, ნეტა იმდენი საჭმელი მოგვცა, ცალ ყბას რომ გასწვდებაო. განსაკუთრებით პენსიონერები არიან ცუდ დღეში, იმათგან მთელ პროთეზს თითქმის აღარავინ იკეთებს.

— თავად მთავრობის ხალხი?

— ეგენი კი, კაცო, ზოგს 3-4 პროთეზიც კი აქვს „ზაპასად" აღებული.

— მაგდენი რაში სჭირდებათ?

— რას ჰქვია, სჭირდებათ. მთელი ქვეყნის ქონება მათთან გროვდება და შეჭმა არ უნდა? გარდა მაგისა, ტრაბახსა და ლაქლაქშიც (ეს უფრო პარლამენტში) ხომ ცვდება კბილები!

— გინებაში?

— შენ წარმოიდგინე, გინებაშიც, ბენდუქიძე, მაგალითად, ყოველკვირა იცვლის კბილებს.

— გინების თუ ჭამის გამო?

— ორივეს გამო.

— ეჰ, მაგათ რა ენაღვლებათ, მე რა ვქნა, თორემ... — დავიწუწუნე.

— შენც ხომ პენსიონერი ხარ, — გაახსენდა ოსტატს, — რადგან კბილი დაკარგე და ფულიც არა გაქვს, გინდა ნახევარ პროთეზს ჩამოგაჭრი. იაფად გამოხვალ, სულ 10 ლარი დაგიჯდება.

მეწყინა, ისე წამოვედი, ოსტატს არც კი დავემშვიდობე, მაგრამ შინ რომ დავბრუნდი და დავფიქრდი, მისი წინადადება ჭკუაში დამიჯდა. ტარანი ანგარიშით არ არი? პროთეზს თუ ჩამოვაჭრევინებ, ნაღდად მოგებული დავრჩები — მორჩენილ კბილებს „ზაპასად" გამოვიყენებ, თანაც საჭმელიც ნაკლები დამეხარჯება და კბილის პასტაც.

**ოტია ჩართოლანი**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.



## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: 34 წელი ვმუშაობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აქედან 29 წელი ვიმუშავე ერთ-ერთ კათედრაზე უფროს მასწავლებლად. 2006 წლის 1 სექტემბრიდან გამათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და დამინიშნეს აკადემიური სტიპენდია თვეში 46 ლარის ოდენობით. ვარ 59 წლის მარტოხელა. გთხოვთ მიპასუხოთ. მეკუთვნის თუ არა რაიმე დანამატი სტიპენდიაზე და სხვა შეღავათები?**

**არჩილ ლომიძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის შესაბამისად, სახელმწიფო აკადემიურ სტიპენდიაზე რაიმე დანამატის დარიცხვა ან შეღავათების გავრცელება (კომუნალურ ან სხვა გადასახადებზეძ, სამწუხაროდ, გათვალისწინებული არ არის.

* * *

**კითხვა: ჩემი შვილი ღებულობდა მარჩენალდაკარგულის პენსიას 18 წელი შეუსრულდა 2006 წლის 4 დეკემბერს. ამჟამად სწავლობს II კურსზე. იანვრის შემდეგ პენსია მოუხსნეს. რამდენად სწორია სოციალური დაზღვევის ადგილობრივი სამსახურის მოქმედება?**

**ლია გვარიძიშვილი (საგარეჯოძ**

**პასუხი:** სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ადგილობრივი სამსახურის გადაწყვეტილება კანონიდან გამომდინარეა. ვინაიდან „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ კანონის თანახმად, მარჩენალის დაკარგვის გამო შვილებისათვის დანიშნული პენსიის გაცემა, სწავლის პერიოდშიც, მხოლოდ 18 წლის შესრულებამდე არის გათვალისწინებული.



* * *

**კითხვა: სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის უფროს ბიბლიოთეკარებს და სექტორის უფროსებს, რომლებიც მხოლოდ საბიბლიოთეკო საქმიანობით არიან დაკავებულნი, ეკუთვნით თუ არა ხელფასთან ერთად პენსიაც?**

**ბიბლიოთეკის თანამშრომლები**

**პასუხი:** კანონის თანახმად, მუშაობის პერიოდში პენსიის მიღების უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებიც მუშაობენ არასაბიუჯეტო სფეროში, ე.ი. იმ დაწესებულებაში, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება.

* * *

**კითხვა: ჩემს 16 წლის შვილს, სკოლის მოსწავლეს ახლახან დაეღუპა მამა, მე კი — მეუღლე. მარჩენალის დაკარგვის გამო შვილისათვის პენსიის დასანიშნად ვის მივმართო და რა საბუთების წარდგენაა ამისათვის საჭირო?**

**მზია წერეთელი**

**პასუხი:** მცირეწლოვანი შვილისათვის მამის გარდაცვალების გამო პენსიის დანიშვნის საკითხზე, გირჩევთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. უნდა წარადგინოთ მეუღლის გარდაცვალების მოწმობა, შვილის დაბადების მოწმობის ასლი, ქორწინების რეგისტრაციის მოწმობის ასლი, ცნობა, რომ შვილი იმყოფებოდა მამის კმაყოფაზე, განცხადება პენსიის დანიშვნის შესახებ და პირადობის მოწმობა. აქვე განგიმარტავთ, რომ თუ პენსიის დასანიშნად მეუღლის გარდაცვალების დღიდან 3 თვის განმავლობაში მიმართავთ, თქვენს შვილს პენსია მარჩენალის გარდაცვალების დღიდან დაენიშნება, ხოლო თუ აღნიშნულ დროს გადააცილებთ, პენსია დაგვიანებით, მიმართვის დღიდან მოგეცემათ.

* * *

**კითხვა: ომის ვეტერანებს, რომლებსაც შეღავათები ეკუთვნით ელსმენზე, მის ღირებულებას კავშირგაბმულობის განყოფილებას უნდა უხდიდეს რაიონის გამგეობის შესაბამისი სამსახური, მაგრამ იმის გამო, რომ თანხის გადარიცხვა დროულად არ ხდება, გვითიშავენ ელსმენს და ჩართვისათვის აბონენტს ახდევინებენ ერთ ლარს. რა შუაში ვართ აბონენტები?**

**მკითხველი**

**პასუხი:** თქვენ ნამდვილად არაფერ შუაში არ ხართ. გირჩევთ, საკითხის მოსაგვარებლად მოტივირებული განცხადებით მიმართოთ თქვენი რაიონის გამგებელს, რომელიც დაავალებს შესაბამის სამსახურს, მოგიგვაროთ თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი.

* * *

**კითხვა: ვცხოვრობ კოჯორში, 1998 წლის 24 დეკემბერს დამენიშნა პენსია გარდაბანში. ვინაიდან ვმუშაობდი მეღდად, პენსიას არ ვღებულობდი. 2006 წლის 18 ოქტომბერს გავთავისუფლდი აღნიშნული თანამდებობიდან, მაგრამ პენსიას მაინც არ მაძლევენ. ვის მივმართო, რომ ჩემი კუთვნილი პენსია მივიღო?**

**ვენერა წიწილაშვილი**

**პასუხი:** გირჩევთ დაუყოვნებლივ მიმართოთ განცხადებითა და სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ამონაწერით სოციალური სუბსიდიების სააგენტოს იმ განყოფილებას, საიდანაც პენსია გაქვთ დანიშნული. შეკითხვიდან გაურკვეველია, თუ 2006 წლის 18 ოქტომბრიდან არსად არ მუშაობდით, რატომ აქამდე არ მიმართეთ ზემოაღნიშნულ განყოფილებას. საბიუჯეტო დაწესებულებაში მუშაობის შემთხვევაში პენსია არ გეკუთვნით.

* * *

**კითხვა: თუ შეიძლება, თქვენი გაზეთის მეშვეობით განგვიმარტეთ, დღეს მოქმედი კანონით ვინ ანაზღაურებს ბიულეტენებს?**

**დავით ივანიშვილი**

**პასუხი:** დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნას, გაანგარიშებას და გაცემას ახორციელებს დასაქმებულის შემთხვევაში — შესაბამისი დამსაქმებელი, ხოლო მოსამსახურის შემთხვევაში — შესაბამისი საბიუჯეტო (სახაზინოძ დაწესებულება.

* * *

**კითხვა: აფხაზეთის ომში დამეღუპა ერთადერთი შვილი. ვღებულობდი მარჩენალი შვილის დაღუპვის გამო პენსიას და ჩემი შრომის პენსიას. ამჟამად მაძლევენ პენსიას მხოლოდ შვილის დაღუპვის გამო. რამდენად სამართლიანია ისედაც შვილის დაკარგვით ტრამვირებული მამის ასეთ მდგომარეობაში ჩაგდება?**

**თამაზ გოგეშვილი**

**პასუხი:** ვწუხვარ თქვენი მდგომარეობის გამო, მაგრამ მოკლებული ვართ კანონიერ შესაძლებლობას დადებითად გიპასუხოთ თქვენთვის მნიშვნელოვან საკითხზე, ვინაიდან კანონი ერთდროულად ორი პენსიის მიღების შესახებ 2006 წლის 1 იანვრიდან, სამწუხაროდ, გაუქმებულია.

* * *

**კითხვა: ვარ 65 წლის, დამენიშნა ასაკის პენსია. ვიშოვე მაღალხელფასიანი სამუშაო ბანკში. გთხოვთ, განმიმარტოთ, ორი წლის შემდეგ, შეიძლება წარვადგინო ხელფასის ცნობა და მომემატოს პენსია?**

**თენგიზ ქებულაძე**

**პასუხი:** კანონი, პენსიის როგორც ხელფასიდან გამოანგარიშების, ისე გადაანგარიშების შესახებ უკვე დიდი ხანია, აღარ არის ძალაში. ამიტომ, თუ ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო პენსიების კანონში რაიმე ცვლილება არ მოხდება, თქვენი პენსიის გადიდებისათვის საფუძველი არ იარსებებს.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-**

შპს „რეალ დიკ კოლორი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ირ. აბაშიძის №57. ტელ. 22-49-01.

შპს „კავკაზდიზაინმშენი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: გაგარინის 29ა, ტელ. 37-05-00, დამატება 3-31.

### განცხადება

სს „ალფა პლიუსი 2007“-ი 2007 წლის 22 ოქტომბერს დღის 12 საათზე ატარებს აქციონერთა კრებას მისამართზე: მოსკოვის გამზირი №25.

დღის წესრიგი:

1. სს „ალფა პლიუსი 2007“-ის შვილობილი კომპანიის დაარსების საკითხი.

## გახსენება

# დიმა ხერკელაძე



ჩვენო დიმა, ერთადერთ ვარსკვლავად ენთე შენი მშობლების ცაზე. მზის ამობრწყინებას ჰგავდა შენი ამ ქვეყნად მოსვლა. ერთბაშად გაგვილამაზე სიცოცხლე და ნათელი ღიმილით გაგვათბე. უანგაროდ იხარჯებოდი სიყვარულში, სინათლეს ხედავდი ადამიანში და იმ სინათლით ივსებოდი თავადაც ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე.

შენ მხოლოდ 23 წლის იყავი, ოცნებათა ფრთაშესხმის ზღვარზე იდექი. 19 დეკემბერს მოსკოვში, ჩვენს უბანში თავს დაგესხნენ ნეოფაშისტები. შინ დარეკვა მოასწარი. მამამ დანით სასიკვდილოდ დაჭრილს მოგისწრო. მეხის გავარდნას ჰგავდა შენი გარდაცვალება. ლამაზი სიცოცხლე ხომ მხოლოდ ქართველობისთვის წაგართვეს. შენი დანაშაული მხოლოდ ქართველობა იყო...

შენ ქართული სიმღერა შეაყვარე რუს მეგობრებს და შენს მშობლიურ ენაზეც აამღერე. იმათაც როგორ უყვარდი...

უმძიმესია შენი არყოფნის ტკივილი, რადგან არ არსებობს სიტყვები, რითაც შეიძლება ანუგეშო ერთადერთი შვილის დამკარგავი დედ-მამა.

შვილო, ბედმა მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა წილად, ჩვენ კი მარადიული ტანჯვა. ჩვენო ბიჭო, შეუსრულებელ ასაკს არავის ულოცავენ. 23 სექტემბერს 26-ის გახდებოდი. 23 წლისა რომ ისეთი ლამაზი და ვაჟკაცური იყავი, ნეტავი ახლა როგორი იქნებოდი...

ჩვენო ლამაზო და კეთილო, სამი წელია შენს გზას უიმედოდ გავცქერით. ნუგეშად მხოლოდ ის დაგვრჩა, რომ მარადისობაში გადასული, სასუფეველში გვეგულები. ამიტომაც თუ ესიზმრები ყველას ძველებურად დახატული და ბედნიერი.

გვენატრება შენი ხმა, შენი ღიმილი. ამ გაუსაძლის ტკივილსა და მონატრებაში კიდევ გავა დრო... კვლავ გაგიხსენებენ მშვენიერს, ვაჟკაცურს, თავმდაბალს, მეგობრების ერთგულს, საქართველოს მოსიყვარულეს, მშობლების ერთადერთ შვილს.

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს ჩვენო ვაჟკაცო.

შენი მშობლები ნელი და დემიკო

მძახლები ცირა და კარლო გარდაფხაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

გერონტი ტვილდიანის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის მეუღლეს ქალბატონ ლოლა ჯაფარიძეს და შვილს იოსებ ტვილდიანს.

## ინფორმაცია

### რუსმა სამშვიდობოებმა გაბაშვილი აღაშფოთეს

**რუსი სამშვიდობოები თავს უფლებას აძლევენ, საქართველოს ტერიტორიაზე იბატონონ.**

ასეთი განცხადება გააკეთა დღეს დეპუტატმა კოტე გაბაშვილმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, წვერიახოს საგუშაგოზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საგუშაგოზე რუსმა სამშვიდობოებმა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის კორტეჟი გააჩერეს და საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებად თამარაშენისკენ გადაადგილების უფლებას არ აძლევდნენ.

როგორც კოტე გაბაშვილმა აღნიშნა, დიპლომატებმა პირველად ნახეს ის მწარე რეალობა, რაც რუს სამშვიდობოებთან დაკავშირებით საქართველოში არსებობს.

### ამას დედინაცვალიც არ იზამდა

**მრავლობითი მოტეხილობებითა და დაჟეჟილობებით ერთი წლის და 6 თვის ბავშვი იაშვილის სახელობის კლინიკაშია გადაყვანილი.**

როგორც კლინიკის პრესსამსახურში განაცხადეს, საავადმყოფოში ბავშვი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ მუხიანის საავარაკო დასახლებიდან გადაიყვანა. მის სიცოცხლეს საფრთხე უკვე აღარ ემუქრება.

ბავშვის დედა აცხადებს, რომ ბავშვი უფროს შვილს ხელიდან გაუვარდა. ექიმების მტკიცებით კი, ბავშვი ნაცემია, რის გამოც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა საავადმყოფოში ბავშვის დედა დაკითხეს.

საავადმყოფოს პრესსამსახური ბავშვის გვარს არ ასახელებს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ოჯახში, სადაც ბავშვს მრავლობითი ტრავმები მიაყენეს, 6 ბავშვი იზრდება.

**ინტერპრესნიუსი**

№ 183. შაბათი, 22 სექტემბერი, 2007 წელი.

# ბოლო გვერდი

● საბავშვო ბაღები მუშაობას 1 ოქტომბრიდან დაიწყებენ. ახალარჩეულ დირექტორებს აღნიშნულ პერიოდამდე მათი საბავშვო ბაღების კოლექტივების გაცნობა და პრობლემების მოგვარება მოუწევთ. სავარაუდოდ, ნოემბრის დასაწყისში კი საუკეთესო საბავშვო ბაღის დირექტორები პოლონეთში ტრენინგებზე გაიგზავნებიან



## ინფორმაცია

### საბავშვო ბაღები პირველი ოქტომბრიდან ამოქმედდება



**თბილისის საუკეთესო საბავშვო ბაღების დირექტორები ერთკვირიან ტრენინგს პოლონეთში გაივლიან.**

თბილისის მერის მოადგილე გიორგი მელაძე და სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი მამუკა ქაცარავა გუშინ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საბავშვო ბაღის დირექტორების კონკურსში გამარჯვებულებს შეხვდნენ, სადაც მათ პოლონელი ექსპერტები ერთდღიან ტრენინგსაც ჩაუტარებენ.

– დღეიდან ვიწყებთ მუდმივ მუშაობას ახლადარჩეულ დირექტორებთან. მათ მომავალში პერმანენტული სემინარები და ტრენინგები ჩაუტარდებათ. განხორციელდება მონიტორინგი საბავშვო ბაღებში რეფორმის მიმდინარეობაზე, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე. მაქსიმალურ კონტროლზე ავიყვანთ ბაღებს და იმ დირექტორებთან, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნებს, დამშვიდობება მოგვიწევს, – განაცხადა მამუკა ქაცარავამ.

მისივე თქმით, საბავშვო ბაღები მუშაობას 1 ოქტომბრიდან დაიწყებენ. ახალარჩეულ დირექტორებს აღნიშნულ პერიოდამდე მათი საბავშვო ბაღების კოლექტივების გაცნობა და პრობლემების მოგვარება მოუწევთ. სავარაუდოდ, ნოემბრის დასაწყისში კი საუკეთესო საბავშვო ბაღის დირექტორები პოლონეთში ტრენინგებზე გაიგზავნებიან.

**ინტერპრესნიუსი**

## აღმოჩენა

### მათემატიკოსებმა ღმერთის არსებობა დაადგინეს?!

**როგორც ჩანს, ღმერთის არსებობის ალბათობის გამოთვლა მათემატიკურად შესაძლებელი ყოფილა. ეს გერმანელმა მეცნიერებმა გააკეთეს, რასაც საფუძვლად დაუდეს ჯერ კიდევ ამ ორი საუკუნის წინათ მღვდელისა და მათემატიკოსის თომას ბაესის მიერ წამოყენებული საკვლევი ფორმულა.**

მაინც რას ფიქრობენ მათემატიკოსები ღმერთის შესახებ?

გაანგარიშებანი რამდენიმე სფეროში გააკეთეს, მათ შორის იყო კოსმოსის აღმოცენება და მოწესრიგება, ევოლუცია, სიკეთე და ბოროტება, რელიგიური ცნობები. მეცნიერებმა წამოაყენეს ჰიპოთეზა, თითქოს ღმერთი არსებობს, მერე კი დასვეს შემდეგი კითხვები: რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ ღმერთმა შექმნა სამყარო? რამდენად დიდია ალბათობა, რომ ევოლუცია დედამიწაზე მისი მონაწილეობით მოხდა? რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ სიკეთე წარმოუდგენელია ღმერთის გარეშე?

ნებისმიერი დადებითი პასუხი ითვლებოდა ღმერთის არსებობის სასარგებლოდ, ამასთან დაკავშირებული რაიმე განმარტება კი მის საწინააღმდეგოდ. ყოველივე ამის შედეგად 62 პროცენტით დადგინდა, რომ ღმერთი არსებობს?!

მიჩნეულია, რომ სწავლულთა ორ მესამედს სწამს ღმერთი, მათგან საზოგადოებრივ მეცნიერებათა კორიფეები უფრო რელიგიურები არიან, ვიდრე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა „ვარსკვლავები“.

„ТРУД _7“

## უნდა ამას ბრძენთა ხმობა?

### ერთუცნობიანი, მაგრამ შემაწუხებლად მრავალპლანიანი გამოცანები

*ვარდებით მოსვლა ეს იყო გუშინ,*
*ნარინჯისფერიც ეს იყო გუშინ...*
*წლეულს ადრე რომ აყვავდა ნუში,*
*რა უდევს გულში?*

* * *

*მოდით და ვკითხოთ ჰოროსკოპს,*
*ვისთვის და როგორ სოროს ჰყოფს*
*და ვინ დაასვამს სოროსს კოპს?*

* * *

*რას იზამ, თუკი შენგან რჩეული,*
*პავლიკ ბიჭივით ხიხო,*
*პარტიის სიბრძნით გალენჩებული*
*მშობლის მოკვლისკენ გიხმობს?*

* * *

*დაკვრა სხვისი, ცეკვაც სხვისა,*
*ხელფასი აქვს სოროსისა...*
*არ რცხვენია ამის თქმისა,*
*ეს მთავრობა უნდა ვისაც?*

* * *

*არ დამჭკნარა ვარდები,*
*მაგრამ ვის ევარდება,*
*როცა კუჭი უხმება*
*და შარვალი ვარდება.*

* * *

*– საქმე შენი წარმოგაჩენს! –*
*უთხრეს რახან,*
*მოინდომა რუბიკონის გადალახვა,*
*მაგრამ ყბედის ნაკეთები ვინ სად ნახა,*
*თუნდაც ენა გადაიგდოს ყაბალახად?*

* * *

*ერთხელ მძარცველი რომ გახდა „ნაცი“,*
*„დახვდა ეკალი, ზედ დასცა ნაცი...“*
*ეს სხვასაც ელის, ვინც ლუკმას გვაცლის,*
*თვალში ბეწვს გვაცლის?*

**ალექსანდრე შენგელია**

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

## სანქცია

### გაზის მიწოდება შეუწყვიტეს

**როგორც კომპანიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, ბოლო თვეების განმავლობაში კომპანიის მიმართ ფიზიკურ პირებს 3 მლნ ლარზე მეტი, ხოლო იურიდიულ პირებს 2 მლნ ლარზე მეტი დავალიანება დაუგროვდათ.**

„ყაზტრანსგაზ-თბილისის“ თანამშრომლებმა ბუნებრივი გაზის მიწოდება შეუწყვიტეს ავტოსადგურ „ოკრიბას“, რომლის ხუთი თვის დავალიანება, დაახლოებით, 5 ათას ლარს შეადგენდა.

გაზის მიწოდება შეუწყდა ფანასკერტელის ქუჩაზე №23-ში მდებარე 8-სართულიან საცხოვრებელ კორპუსს. კორპუსი გათბობის საერთო სისტემით სარგებლობს. მათი დავალიანება თებერვლიდან 3 282 ლარს შეადგენს. გაზის მილი ჩაეჭრა ზოვრეთის №17-ში კერძო სახლსაც. აბონენტის დავალიანება 2204 ლარია.

გარდა ამისა, გაზის მიწოდება შეუწყდა რამდენიმე სამეწარმეო ობიექტს და კერძო საცხოვრებელ სახლებს.

**ინტერპრესნიუსი**

## ანეკდოტები

– ესე იგი, ყოველ ღამით გესიზმრებათ რაღაც კოშმარული არსება, რომელიც თავს გესხმით, გიყვირით და ქამრით გცემთ, არა? იგი, ცხადია, გამოღვიძებისთანავე ქრება, ხომ? – ეკითხება ფსიქიატრი პაციენტს.

– საქმეც ის არის, რომ არ ქრება, ექიმო! დილაობით იგი ჩვეულებრისამებრ მიყვირის: „გეყო ხვრინვა, უქნარავ, საბავშვო ბაღში წაიყვანე ბავშვები!“



* * *

ჩემი სიმამრი რომ პრემიერ-მინისტრად დაენიშნათ, მაშინვე გავთავისუფლდებოდი სამსახურიდან და არასოდეს დავიწყებდი მუშაობას...

* * *

– ამ ბოშებთან ჭადრაკის თამაში წარმოუდგენელია!

– რატომ?

– იმიტომ, რომ მაშინვე ცხენებს იპარავენ!

* * *

– როგორ შეიძლება, ადამიანმა არაფერი იცოდეს? – აღშფოთებულია პროფესორი გამოცდაზე.

– მაპატიეთ, პროფესორო, მაგრამ მეგონა, რომ გამოცდა ხვალ იყო!

* * *

– მომეცით, თუ შეიძლება, მოხარშულკრემიანი ორი სკლეროზი, – ეუბნება ჭაღარა მამაკაცი ნამცხვრების გამყიდველს.

– ასეთი ნამცხვარი არ არსებობს, იქნებ ზუსტი სახელი გაიხსენოთ.

– ეჰ, ჩემო კარგო, ჩემი ეკლერის პატრონისთვის განა ასე ადვილია ამის გახსენება...

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“ ტელ: 95-11-92
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები.
მისამართი: კოსტავას ქ. № 12.
ტ: 98-65-87; 899 53-76-16.
შპს „თანადგომა -1“ დავით აღმაშენებლის 150.
899 79-76-79

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
899 36-00-35;
899 53-76-16;
899 17-21-21.

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.